ზურაბ ჯავახაძე

იმერეთის საჭადრაკო ცხოვრებიდან

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2005 წელი

წიგნში იმერეთის საჭადრაკო ცხოვრებაა მიმოხილული. გახსენებულია ის შთამბეჭდავ-მომენტები ამ მხარის საჭადრაკო პერიპეტიებს რომ ამშვენებდა. საუბარია აქ აღზრდილ და დაოსტატებულ სპორტსმენებზე, ტურნირებზე, სხვადასხვა დონის შეჯიბრებებზე.

რედაქტორი ალექსანდრე არსენიძე

ISBN 99940-849-8-4

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

სიბრძნის თამაში—ასე უწოდებდა ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე სპორტის, აზროვნების, მეცნიერების და ხელოვნების ერთ-ერთ დიდ ფენომენს ჭადრაკს. ქართულ საისტორიო წყაროებში, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში თუ საქართველოში მოგზაურ შაოსან მისიონერთა ჩანაწერებში საინტერესო ცნობებია დაცული ჭადრაკის პოპულარობასთან დაკავშირებით ძველ საქართველოში.

არის მოსაზრება, რომ საქართველოში ჭადრაკს ჯერ კიდევ მეშვიდე-მერვე საუკუნეებიდან თამაშობდნენ. უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლებით—„ვისრამიანითა“ და „ამირან-დარეჯანიანით“ დასტურდება, რომ იმდროინდელ საქართველოში იცოდნენ ჭადრაკი, არსებობდა საჭადრაკო ტერმინოლოგია და დიდად აფასებდნენ ძლიერ მოჭადრაკეებს.

ამას მოწმობს მრავალი ისტორიული და არქეოლოგიური დოკუმენტი. დღემდე შემონახულია მე-13 საუკუნის ჭადრაკის კომპლექსი, რომელსაც ქართული ორნამენტები ამშვენებს. ცნობილი საჭადრაკო მკვლევარი და მიმომხილველი, საერთაშორისო არბიტრი თენგიზ გიორგაძე ფიქრობს ჭადრაკი საქართველოში ინდოელი ვაჭრების შემოტანილი უნდა იყოს.[1]

თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენი წინაპრები ჭადრაკს, რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, მზითევში ატანდნენ ლამაზი სქესის წარმომადგენლებს, თავისთავად მრავლის მთქმელია. მე-17 საუკუნის ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 20 წელი სამეგრელოში ცხოვრობდა, აღნიშნავს, რომ ჭადრაკი ქართველი მანდილოსნების თავშესაქცევის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იყო.

მე-17 საუკუნე ერთ-ერთი ურთულესი პერიოდი იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რომელიც ძნელბედობის ხანის სახელწოდებით არის ცნობილი. შინაგან აშლილობას, ძმათა შორის უაზრო სისხლის ღვრას და გაუტანლობას შედეგად მოჰყვა გარეშე მტრების ურიცხვი შემოსევები, რაც ქვეყნის დაქცევის და დაღუპვის წისქვილზე ასხამდა წყალს. მიუხედავად ასეთი ურთულესი საგარეო და საშინაო პოლიტიკისა მე-17 საუკუნიდან საქართველოში ჭადრაკის განვითარების და პოპულარობის საქმეში საინტერესო მასალები მოგვეპოვება თეიმურაზ მეორის, არჩილ მეფის და ბესიკის პოეზიაში. სულხან-საბა იმდროინდელ საქართველოში რაღაც ჭადრაკის კლუბის მსგავს არსებობასაც კი ადასტურებს, რომელსაც სამორინეს სახელით მოიხსენიებს.

---

[1] თ. გიორგაძე, ჭადრაკის დაფასთან, 1960 წელი

გვიანდელი საუკუნეების საქართველოს საჭადრაკო ცხოვრებაზე მიგვანიშნებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ქართული ორნამენტებით დამზადებული საჭადრაკო კომპლექტი.

ჭადრაკის ტრფიალში საქართველოს სხვა მხარეს არც იმერეთი ჩამორჩებოდა. ქუთაისის, ვიცე-გუბერნატორის პეტრე გნილოსაროვის ცნობით, იმერეთის უკანასკნელი გვიგვინოსანი სოლომონ მეორე, „ცუდ ამინდში წიგნს კითხულობდა, კარის მსახურებთან საუბრობდა ან ჭადრაკს თამაშობდა“.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქუთაისის საოჯახო სალონებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჭადრაკი. ეს არც იყო შემთხვევითი, რადგან საუკუნეების მანძილზე საქართველოს მეფე-დიდებულთა თუ აზნაურთა სასახლეებში ჭადრაკი საკმაოდ პოპულარული ყოფილა.

ალბათ გახსოვთ დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, რომელშიაც მწერალი მამას როსტომ წერეთელს წარმოგვიდგენს, როგორც ჭადრაკის ჩინებულად მოთამაშეს. ბუნებრივია ცნობილ მემამულეს შორეულ საჩხერეშიც კი საკუთარ სასახლეში მოწინააღმდეგე მოთამაშეებიც კი ჰყავდა და ასე იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულში. გავიხსენოთ როსტომის სიტყვები: „ნარდი, ჭადრაკი და სათამაშოები სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად გამიგონია ჩვენშიო. ხუმრობაც შეშვენის და მეც ჩვენი ქვეყნის ჩვეულებას ვადგივარ“. იმ დროისათვის ქუთაისში ცნობილი იყო მამია გურიელის, დიმიტრი ნაზარიშვილის, ფოტინე ჩიქოვანის, კლდიაშვილების, დადიანების და სხვათა საოჯახო სალონები. გადმოგვცემენ, რომ ერთხელ მამია გურიელმა პარტია წააგო ფოტინე ჩიქოვანთან. პოეტმა მწარედ განიცადა ეს მარცხი. ქართველი მანდილოსანი ფოტინე ჩიქოვანი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოჭადრაკე იყო, რომელსაც საოჯახო სალონებში არაერთი ჭადრაკის მოყვარული ღირსეული მამაკაცი დაუმარცხებია. ჩვენი ქალაქის ხშირი სტუმარი იყო ცნობილი მოჭადრაკე ანდრია დადიანი, რომელიც ქუთაისელებთან ე.წ. მსუბუქ პარტიებს თამაშობდა. მაშინ სასიქადულო მამულიშვილის სახელი ცნობილი იყო რუსეთის ფარგლებს გარეთაც და საზღვარგარეთის მთელ რიგ ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ნათამაშები პარტიები.

ჩვენამდე მოაღწია და ამჟამად ქალაქის მედიცინის მუზეუმში ინახება დიმიტრი ნაზარიშვილის საოჯახო ჭადრაკი, რომელზეც არაერთხელ უთამაშნიათ ჩვენი ერის სასიქადულო შვილებს, მათ შორის აკაკი წერეთელსაც. მეც ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ აღნიშნული ჭადრაკით მითამაშნია საქართველოს სახელოვან მეისტორიესთან ნიკო ბერძენიშვილთან. მაშინ ბატონი ნიკო ნაზარიშვილების ასულის ქალბატონ ელოს სტუმარი იყო. იმ პერიოდში ქუთა-

ისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელსაც გვიან ბატონ ნიკო ბერძენიშვილის სახელი მიანიჭეს ახლო მეგობარი იყო ნაზარიშვილების ოჯახისა. აქედან გამომდინარე ერთ დღეს მე და ბატონი პეტრე ვაჭრიძე ქალბატონ ელოს ვესტუმრეთ. ბატონ ნიკოსთან ჭადრაკის თამაშის შემდეგ სახელდახელოდ გაშლილ სუფრას მივუსხედით, საპატიო სტუმარი გახარებული და დამაჯერებელი ტონით გვესაუბრებოდა იმ წარმატებებზე, რომელიც მაშინ ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს გააჩნდა და იცით რა გვითხრა? „ქართველი ბიჭების ყოველი ასეთი წარმატება ეროვნული სიძლიერის წისქვილზე ასხამს წყალსო“.

მართალია, მე-19 საუკუნის ქუთაისის საჭადრაკო ცხოვრება მხოლოდ საოჯახო სალონების ტურნირებით გამოირჩეოდა და შორს იყო მასიური ხალხური თამაშობებისაგან, მაგრამ ამას უამრავი თავისი დამაბრკოლებელი მიზეზი ჰქონდა, რომელიც ხელს უშლიდა ქუთაისში ჭადრაკის პოპულარობას და მასიურობას. ქალაქში არ არსებობდა უბრალო საჭადრაკო ოთახი, რომ არაფერი ეთქვათ კლუბზე, რომლის აუცილებლობა თვალნათლივი იყო, არც საჭირო ინვენტარი და სათანადო ლიტერატურა მოიძებნებოდა მოსახლეობაში. ამის გამო ნუ გაგიკვირდებათ თუ მაშინდელი საქალაქო საჭადრაკო ცხოვრება არ სცილდებოდა საოჯახო სალონებს და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი შორს იყო საჭადრაკო ციებცხელებისაგან.

ბუნებრივია, ჭადრაკის სიყვარული ქართველებმა მემკვიდრეობით მიიღეს წინაპართაგან. ქართული ფოლკლორი, არაერთი ლექსი და თქმულება ამტკიცებს ქართველი ქალების დიდ საჭადრაკო ნიჭს. ერთ-ერთი ასეთი თქმულებით ცნობილი თავადი 10 კვირას ეთამაშებოდა ვილაც წარჩინებულ თათარს. თავადს მთელი ქონება წაუგია და ბოლო საქმე უკანასკნელ ხელზე მიმდგარა. ამ ხელით მას ან უნდა ამოეგო მთელი წანაგები, ან ცოლიც წაეგო. ამით გამწარებულმა ცოლმა აბაშიძის ასულმა მოწინააღმდეგეს რომ არ შეემჩნია სიცილ-ხარხარი ნიღბად აიფარა სახეზე და ქმარს, ვითომ დაცინვით მიუმღერა:

„ჯერეთ ჭადრაკი ისწავლე,
მერმედ ნაძლევი გაეცო,
მხედარსა წინა წასწიე
და ლაზიერსა გზა ეცო,
ეტლი მხარ-მარჯვნივ გარდიგდე
და კუს შამათი დაეცო,
ფუ, შენს ვაჟკაცობასა,
ცოლი ნაძლევში გაეცო.“

ამ ლექსით აბაშიძის ქალმა მიახვედრა ქმარს თუ როგორ ეთამაშა და თავადმაც მოიგო. ასე იხსნა ერთგულმა ცოლმა ოჯახი სირცხვილისგანო.—ამბობს თქმულება, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ქართველი ქალები ყოველთვის კარგად ფლობდნენ ჭადრაკს და მის საიდუმლოებას.

მე-19 საუკუნის მიწურულს საქართველოში მოსახლეობის კულტურულ-ზნეობრივი აღზრდის, გონებრივი დასვენების და გართობის მიზნით დაარსებულა სხვადასხვა სახის წრეები. ერთ-ერთი ასეთი წრე ქუთაისშიც შეუქმნიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, მან იმედები ვერ გაამართლა. ამიტომ გაზეთი „ივერია“ 1891 წლის 29 სექტემბერს გულისტკივილით აღნიშნავდა: „როგორც სხვა ქალაქებში, ისე ქუთაისშიც არსებობს ე.წ. „კრუჟოკი“, რომლის დანიშნულება ის არის, რომ თავის წევრთ გონივრულად და საამოდ დრო გაატარებინოს. ამგვარი დაწესებულება რასაკვირველია საჭირო და სასარგებლოა. ხოლო ქუთაისის „კრუჟოკი“ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, იმიტომ, რომ ბანქოს სათამაშო სარბიელად გადაქცეულა. ეს რამდენიმე წელიწადია „კრუჟოკის“ წევრებს არც ერთი სამუსიკო კონცერტი და სალიტერატურო საღამო არ გაუმართავს. ამიტომ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი ამბავი: ორმოცდაათიოდე კაცმა განიზრახა ჭადრაკის მოთამაშეთა და მოყვარულთა „კრუჟოკის“ შედგენა. ამ აზრით თადარიგსაც შეუდგნენ, მაგრამ რადგანაც საკუთრად საქმის დაწყებისათვის მეტი ხარჯია საჭირო, ამ დასმა გადაწყვიტა მიმართოს „კრუჟოკის“ გამგეობას შემდეგი სარჩელით: „ერთს-ოთახს თავის მოწყობილობით თუ დაგვითმობთ ჭადრაკის მოთამაშეთა „კრუჟოკის“ წევრები ჩავეწერებით, თუ არა თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვისო. გამგეთ შეიწყნარო ან ეგ სარჩელი და შეიძლება „კრუჟოკი“ ისეც გვეყოლება. ასე თუ ისე მცირედ ნაწილს საზოგადოებისა საშუალება მიეცემა ჭადრაკის თამაშით გაირთოს თავი“.

ქუთაისში ე.წ. საჭადრაკო ოთახის გამოყოფის საქმე და ამ საქმისათვის საჭირო ჭადრაკის კომპლექსის შედგენა დაკავშირებულია საქართველოს ბულბულის აკაკი წერეთლის სახელთან.

მე-19—მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ქუთაისის ბულვარის წინ ცნობილი წიგნების მაღაზია მდებარეობდა. იმ დროისათვის ის იყო ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და მდიდარი წიგნების მაღაზია მთელს საქართველოში. მაღაზია ამხანაგობას ეკუთვნოდა და მდიდარი იყო როგორც საქართველოში, ასევე რუსეთის ქალაქებში და ასე განსაჯეთ უცხოეთის ქვეყნებში გამოცემული წიგნებითაც კი. წიგნს მუშტარი არა აკლდა და დილიდან საღამომდე ხალხი ბლომად ირეოდა. პოპულარული მგოსანი აკაკი წერეთელი ამ მაღაზიის ხშირი სტუმარი იყო. საათობით უყვარდა მაღაზიაში დარჩენა და ერთობოდა არამარტო თანამშრომლებთან მასლაათით, არამედ წიგნის

საყიდლად მისულ ქუთაისელებთან საუბრითაც, სულმნათ პოეტს გულს უხარებდა ის ფაქტი, რომ ქუთათურებმა კარგად იცოდნენ წიგნის ფასი და ყადრი, პოეტს არც ის უკვირდა რომ წიგნებს საგუბერნიო ცენტრში დიდი გასავალი ჰქონდა. ჩვენდა საბედნიეროდ მაშინდელი ქუთაისის ინტელიგენცია ქართველი ერის ელიტის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა.

ერთ კვირა დღეს „საქართველოს ბულბული" ადრე მივიდა მაღაზიაში ჩვეულებრივად ულაპარაკნია მეგობრებთან და კარგა ხნის საუბრის შემდეგ უკითხავს ჭადარკი ხომ არ გაქვთო. როცა უარი მიიღო, მაღაზიის გამგეს სპეციალური წერილი შეადგენინა და მოსკოვში აფრინა ჭადრაკის კომპლექსის გამოსაწერად.

მოსკოვიდან პასუხმაც არ დაახანა და პასუხად მოვიდა ამანათი, რომელშიც ჭადრაკის კომპლექტი იყო. აღნიშნულ მაღაზიაში სპეციალურად ერთი ოთახი გამოყვეს ჭადრაკისათვის. დადგეს მაგიდა და სავარძლები, ჭადრაკი იქ შეიტანეს და აკაკის მოსვლამდე შიგ არავინ შეუშვეს. რამდენიმე დღის შემდეგ მაღაზიის წინ ეტლი გაჩერდა, საიდანაც აკაკი გადმოვიდა, შემოვიდა მაღაზიაში. ჩვეულებრივად ყველა მოიკითხა, ხოლო შემდეგ მაღაზიის თანამშრომლებმა სიურპრიზი შესთავაზეს და ჭადრაკის თასი უჩვენეს. მგოსანს მოეწონა მაღაზიის თანამშრომლების ეს სიურპრიზი და იქვე მათ სახელდახელო პაექრობა გაუმართა. პოეტი კიდევ უფრო ხშირი სტუმარი გახდა აღნიშნული მაღაზიისა და რაც მთავარია ხშირად მიჰყავდა ნამდვილი მეტოქეები. მაღაზიის თანამშრომლებს არაერთხელ უნახავთ საჭადრაკო დაფასთან ჩაფიქრებული მგოსანი. ვინ იცის რაზე ფიქრობდა მაშინ სამშობლოზე გულდათუთქული მამულიშვილი, რომელიც თავისი ერის ცხოვრებით ცხოვრობდა. იყო შემთხვევები, როცა პარტია დაუმთავრებელი რჩებოდა, მაგრამ მაღაზიის თანამშრომლები ფიგურას ხელს არ ახლებდნენ და ისე დაახვედრებდნენ საყვარელ პოეტს.[1]

1919 წლის 5 ოქტომბერს ქუთაისში ოფიციალურად შეიქმნა პირველი ქართული სპორტული საზოგადოება „შევარდენი", რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს კ. სულაქველიძე, მოლარედ გ. სვანიძე, მდივნად და მოურავად ს. ასლანიკაშვილი, ხოლო პირველი ვარჯიშთავი დათა ჯავრიშვილი იყო. „შევარდენი" რიონისპირა ქალაქში ხელს უწყობდა ნორჩი თაობის სწორ ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ აღზრდას. სწორედ მისი დამსახურებაა სკოლების სასწავლო პროგრამაში ფიზკულტურის გაკვეთილების შეტანა. პარალელურად „შევარდენი" ხელს უწყობდა სპორტის ცალკეული სახეობების ტანვარჯიშის, ფეხბურთის, ველოსპორტის, მოხალისე მეხანძრეების და სხვა სექციების შექმნას. იმ პერიოდში პირველი

---

[1] ზ. ჯავახაძე, სპორტული ქუთაისი, 1997 წელი

შევარდნელების მარიამ ყუფარაძის და დათა ჯავრიშვილის ინიციატივით ქუთაისში „შევარდენთან“ მოჭადრაკეთა წრეც კი ჩამოყალიბდა, რომელშიც 20 ახალგაზრდა გაერთიანდა. ესენი იყვნენ მარიამ და იულია ყუფარაძეები, თიკო წერეთელი, თამარ ბოლქვაძე, დავით და კონსტანტინე ბადრიძეები, მიქელ და ვანო პატარიძეები, ნიკოლოზ სანიშვილი, გოგი შხვაცაბაია, ლელიკო ხოტივარი, რაფიელ ელიგულაშვილი და სხვები. „შევარდენთან“ დაარსებულმა სექციამ 1922 წლამდე იარსება, რამეთუ 1922 წლის 3 ნოემბერს საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით რესპუბლიკაში სპორტული ორგანიზაციები „სოკოლი“, „სკაუტი“, „ამირანი“, „შევარდენი“ და სხვები დაშლილად გამოცხადდა და დაიწყო მათი აღვირახსნილი ლანძღვა-გინების პროპაგან და საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ მისი ხელმძღვანელების და წევრების უმრავლესობა, რომლებმაც შემდეგ ღირსეული სიტყვა თქვენს მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, მწერლობის თუ სპორტის სფეროში ერის მტრებადაც კი გამოაცხადეს. დამერწმუნებით, რომ სახელოვანი „შევარდნელები“ საბჭოთა მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, ფერადი მეტალურგიის მამამთავარი, საბჭოური ალპინიზმის ფუძემდებელი საქვეყნოდ ცნობილი ტანმოვარჯიშე და კარგი მოჭადრაკე გიორგი ნიკოლაძე. ასევე მისი და ცნობილი ქიმიკოსი, პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი შხვაცაბაია, დიდი თეატრის სოლისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ვიეტნამის და ეგვიპტის ეროვნული ოპერის თეატრის დამაარსებელი დავით ბადრიძე, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი კონსტანტინე ბადრიძე, ათეული წლების მანძილზე საქართველოს სავაჭრო პალატის თავკაცი რაფიელ ელიგულაშვილი, აკადემიკოსი თიკო წერეთელი, ქართული კინოს პიონერები თამარ ბოლქვაძე, ლელიკო ხოტივარი, ნიკოლოზ სანიშვილი, ქართული ქორეოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი დათა ჯავრიშვილი, ცნობილი მწერლები მიქელ და ვანო პატარიძეები, ქართული სპორტის მკვლევარი, პროფესორი მიხეილ გორგიძე და მრავალი სხვები. ის ღირსეული ადამიანები იყვნენ, რომლებმაც მსოფლიო არენაზე ფართოდ წარმოაჩინეს საქართველო. საქართველოში სპორტული საზოგადოებების გაუქმების შემდეგ დაარსებულ იქნა წითელი სპორტული საზოგადოება „სპარტაკი“. სამწუხაროდ, მან ვერ გაამართლა მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა და მალე შეირცხვინა თავი.

ირკვევა, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში ქუთაისელები ჩაერთვნენ საქართველოს საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში. 1928 წელს საქართველოს ვაჟთა პირველ ჩემპიონატში ქუთაისიდან ა. ოგანეზოვი მონაწილეობდა.

შესამჩნევად იმატა ჭადრაკისადმი ქუთაისელთა ინტერესმა. 1930 წლის ივნისში ქუთაისში ჩატარდა მოჭადრაკეთა მასიური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა 36 მოჭადრაკეს მიუღია. გამარჯვებული ა. შათირიშვილი გამოვიდა, რომელმაც 11 შესაძლებლობიდან 10,5 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი 9,5 ქულით დაიკავა გრ. კირკიტაძემ.

1935 წელს ქუთაისის საჭადრაკო ჩემპიონატი გაიმართა ინდუსტრიული ტექნიკუმის სააქტო დარბაზში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 19 მოჭადრაკე. 5 აპრილს დაწყებული ტურნირი თითქმის 7 კვირას გაგრძელდა, რადგან მონაწილენი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ თამაშობდნენ. ხშირად სამსახურებრივი საქმეებით დატვირთულნი შეჯიბრებაზე ვერ ცხადდებოდნენ. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ინჟინერმა ლ. ოთხმოზურმა (18-დან 15,5 ქულა).

ჩემპიონატმა გააღვივა ქუთაისელების ინტერესი ჭადრაკისადმი, იმატა გულშემატკივართა რიცხვმა. გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა ცნობები საწარმოო დაწესებულებებში ერთდროული თამაშების სეანსების გამართვის თაობაზე, მაგრამ ეს იყო ზღვაში წვეთი. თუ როგორი იყო გასული საუკუნის 30-იან წლებში ქუთაისის საჭადრაკო ცხოვრება, კარგად ჩანს 1934 წლის საქალაქო გაზეთ „მუშა და კოლმეურნეში" მოთავსებული მოჭადრაკე გრიშა კირკიტაძის კრიტიკული წერილიდან, რომელიც მოგვყავს მთლიანად:

„სსრ კავშირში საჭადრაკო საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ქუთაისის სინამდვილეში კი ამ მხრივ ძლიერ ცუდი მდგომარეობაა. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ა/კ უკანასკნელ საქალაქთაშორისო შეჯიბრებაზე ქუთაისს სრულებით არ მიუღია მონაწილეობა. ეს გარემოება იმით კი არ აიხსნება, რომ თითქოს ქუთაისს არ ჰყავდეს მოჭადრაკეები. არა ქუთაისში მოჭადრაკეთა სათანადო რაოდენობაა, მაგრამ მათ არ ეწევა სათანადო ხელმძღვანელობა.

საკმაო დროის განმავლობაში ამ საქმის „მესვეურობა" ქუთაისში ეკუთვნოდა ქუთაისის განათლების სახლს, მას ჰქონდა რამოდენიმე ცალი ჭადრაკი, საჭადარკო ოთახიც, სადაც სხვადასხვა ქალაქიდან მოსულ მოჭადრაკეებს შეეძლოთ თამაში. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ, აქ ჩატარდა მაესტრო ნენაროკოვის, ივანოვის და სხვათა ერთდროული სეანსი. 1927 წელს თბილისის საჭადრაკო სექციიდან ქუთაისში ჩამოვიდა ამხ. ლ. კარლინსკი საჭადრაკო კლუბის დასაარსებლად. ამ საკითხზე მოწვეულ სპეციალურ თათბირზე დაიწერა ხელშეკრულება ქუთაისის საჭადრაკო ბაზისათვის ბინის გამოსანახავად, მაგრამ ეს დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. შემდეგაც იყო ასეთი ცდები. საბოლოოდ კი განათლების მუშაკთა სახლმაც დახურა მოჭადრაკეთა „უკანასკნელი თავშესაფარი" 1933 წელს.

საკავშირო ფიზკულტურის თანხებიდან 10 პროცენტი უნდა ხმარდებოდეს საჭადრაკო საქმეს. ქუთაისში ეს არ ხდება. ჩვენ მოვითხოვთ ამ დადგენილების რეალიზაციას.

პირველ რიგში აუცილებელია ქუთაისში გაიხსნას ცენტრალური საჭადრაკო კლუბი და ქუთაისის ფიზკულტურის საბჭოსთან დაარსდეს საჭადრაკო სექცია, რომელსაც ეყოლება ფასიანი მუშაკი.[1]

მიუხედავად მთელი რიგი დამაბრკოლებელი მიზეზებისა ჭადრაკი ქუთათურებს შორის უფრო პოპულარული ხდებოდა.

1936 წელს ჩატარდა მოჭადრაკეთა საქალაქო ტურნირები, როგორც მოსწავლე ახალგაზრდებს, ასევე წარმოება-დაწესებულებებს შორის, რომელიც ქუთათურების ყურადღების ცენტრში იყო. ჯერ კიდევ 3 მარტის მესამე დეკადაში ჩატარებული ქუთაისის გარნიზონის პირველმა საჭადრაკო პირველობამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ტურნირი, რომელშიც 14 კაცი მონაწილეობდა ყანჩაველისა და უბერის გამარჯვებით დამთავრდა, რომლებმაც პირველი მეორე ადგილები გაიყვეს. მესამე ადგილი ვასაძეს ხვდა წილად, ხოლო მეოთხე ადგილი შიოშვილის ქალმა დაიკავა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქის საჭადრაკო-საშაშო კლუბში ჩატარებულმა ფოთისა და ქუთაისის ახალგაზრდა მოჭადრაკეების შეხვედრამ. შეჯიბრება ორ დღეს გაგრძელდა, რომელშიც ათმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. სტუმრებიდან ენერგიული თამაშით გამოირჩეოდნენ მალაშკო, ალექსანდრია და ჭანტურია. ქუთაისელებიდან კარგად ჩაატარეს თავიანთი პარტიები მაჭავარიანმა, ჭყონიამ და ლეონიდ ზაიჩიკმა, შეხვედრა დამთავრდა 6.5:3.5 მასპინძელთა სასარგებლოდ.

საქალაქო პირველობები იმართებოდა მოსწავლეთა შორისაც. მოსწავლეთა პირველი საქალაქო პირველობა ჩატარდა 1936 წელს, რომელშიც 6 მოსწავლე მონაწილეობდა. 1937 წლიდან მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრებები ტარდებოდა რამდენიმე ჯგუფად. თუ 1936 წელს ექვსი მოსწავლე მოჭადრაკის მონაწილეობით გაიმართა მოსწავლეთა საქალაქო პირველობა, უკვე 1939 წელს მაისში მონაწილეობა მიიღო 31-მა მოსწავლემ, ხოლო მომდევნო 1940 წელს 41 მოჭადრაკემ. მოსწავლე მოჭადრაკეებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლიონია ზაიჩიკი, რომელმაც პირველი ადგილები დაიკავა მოსწავლეთა 1938, 1939 და 1940 წლებში საქალაქო პირველობაზე. ხოლო 1939-1940 წლებში საქართველოს ჩემპიონი გახდა მოსწავლეთა შორის.[2]

რაც შეეხება 1938 წლის მოსწავლე მოჭადრაკეთა რესპუბლიკის ჩემპიონატს საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა.

---

[1] გაზ. „მუშა და კოლმეურნე", 1934 წელი.
[2] გაზ. „ინდ. ქუთაისი", 1940 წ. 2 აგვისტო.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის და ფოთის წარმომადგენლებმა. პირველი-მეორე ადგილი ქუთაისელმა დავით ჩირაძემ და ბათუმელმა თანიმანიდიმ გაიყვეს, რომლებმაც ათი შესაძლებლობიდან 8,5-8,5 ქულა შეაგროვეს. მესამე ადგილი თბილისელ ლაპიდის ხვდა წილად. მეოთხე და მეხუთე ადგილები ბათუმელმა პარიკოვმა და თბილისელმა მესროფოლოვმა გაიყვეს.

მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში ქუთაისში ჩქეფდა საჭადრაკო ცხოვრება. ტარდებოდა საჭადრაკო ტურნირები არამარტო მოსწავლე ახალგაზრდებს შორის, არამედ წარმოება-დაწესებულებებსა და ფაბრიკა-ქარხნებს შორის.

1937 წლის აპრილის თვეში ჩატარებულ მასწავლებელთა საჭადრაკო საქალაქო ჩემპიონატმა ქუთათურების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ორი კვირის მანძილზე პედაგოგთა პირველმა საჭადრაკო ტურნირმა არაერთი ნიჭიერი მოჭადრაკე გამოავლინა. პირველი ადგილი ცნობილმა პედაგოგმა დავით მხეიძემ დაიკავა. რომელმაც 11 შესაძლებლობიდან 9 ქულა დააგროვა, მეორე ადგილი ნიკა კაციტაძეს ხვდა წილად, ხოლო მესამეზე დავით ინოზენცევი გამოვიდა, მეოთხე ადგილი 7 ქულით დეკანოსიძეს ხვდა წილად. ამათ გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ცნობილი პედაგოგები: ი. ბალანჩივაძე, კ. ოდიკაძე, ვ. ჭეიშვილი, ნ. გურგენიძე, ტ. შუბლაძე და სხვები.

1937 წლის 20 ივნისს გაზეთი „სტალინელი" წერდა: „ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან არსებულმა საჭადრაკო სექციამ 5 ივნისიდან ჩაატარა მასობრივი შეჯიბრება ჭადრაკში.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ქუთაისის სხვადასხვა საწარმოების მოჭადრაკეებმა 50 კაცის რაოდენობით. ასეთი მასობრივი შეჯიბრება ქუთაისში პირველად ჩატარდა. მონაწილენი დაყოფილი იყვნენ 5 ჯგუფად. გამარჯვებული გამოვიდნენ მოჭადრაკეები: ვ. გვაზავა (პედინსტიტუტი), ვ. ფანჯავიძე (აბრეშუმის კომბინატი), დ. ჩირაძე (საზ-ბა „ლოკომოტივი"), გ. ბოკერია (დაუსწრებელი ინსტიტუტი), ჩხარტიშვილი (მაუდის ფაბრიკა), გამარჯვებულთაგან გამოირჩეოდნენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები დ. ჩირაძე და გ. ბოკერია.[1]

იმ პერიოდში ფიზკულტურისა და სპორტის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ქალაქის ცენტრალურ ბულვარში გახსნა საზაფხულო საჭადრაკო ბაზა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საკავშირო პირველი კატეგორიის მოჭადრაკე გრიშა კირკიტაძე. როგორც გაზეთი „სტა-

[1] გაზ. „სტალინელი", 1937 წელი, 20 ივნისი

ლინელი“ წერდა: „ფიზკულტურის ქუთაისის კომიტეტს განზრახული აქვს მოაწყოს შეჯიბრებები, ლექცია--საუბრები და სხვა. ამ მოკლე ხანში ჩატარდება საჭადრაკო შეჯიბრება მედსანშრომის კავშირის ხაზით. ქუთაისში მრავლად არიან ჭადრაკის მოყვარულნი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საჭადრაკო ხელოვნებით. ჩვენი სკოლის მოსწავლეები განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებიან ამ საქმეს. საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება ამ საქმისადმი და დახმარება.

კარგი იქნება თუ ფიზკულტურის კომიტეტი დროულად იზრუნებს საზამთრო ბინისათვის, შეიძენს საჭადრაკო ლიტერატურას, რითაც ხელს შეუწყობს ქალაქში საჭადრაკო საქმის განვითარებას.[1]“

იმავე 1938 წლის 21 აპრილს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საჭადრაკო შეჯიბრი ქალაქის პირველობაზე, რომლის ინიციატორი ქალაქის ფიზკულტურის კომიტეტი იყო. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო წარმოება-დაწესებულებების საუკეთესო მოჭადრაკეებმა, გამარჯვებულთათვის გამოყოფილ იქნა სამი ჯილდო.

რაც შეეხება თვით ასპარეზობას ოთხი ტურის შემდეგ წინ იყვნენ: გრ. კირკიტაძე, ნ. ჟივატოკი, ლ. ოთხმზური, დ. მხეიძე, კ. მეძმარიაშვილი. ჩემპიონატი გრიშა კირკიტაძის დამსახურებული გამარჯვებით დამთავრდა.

ასევე საინტერესოდ ჩატარდა საბინაო მეურნეობის ჯგუფებთან არსებული სპორტული საზოგადოება „კიმის“ პირველობა ჭადრაკში. ტურნირი, რომელშიც 11 ინჟინერ-ტექნიკოსი მონაწილეობდა კ. აბულაძის გამარჯვებით დამთავრდა. მომდევნო ადგილები დაიკავეს გ. ბოგდანოვმა და ვ. შალამბერიძემ.

ქუთაისში გამოცოცხლებულ საჭადრაკო ცხოვრებაზე გაზეთი „სტალინელი“ წერდა: „მიმდინარე წელს ქუთაისის საჭადრაკო ფედერაციამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქალაქის საჭადრაკო ცხოვრება, წინათ ქუთაისში არც ერთი კვალიფიციური მოჭადრაკე არ იყო. ამჟამად მათი რიცხვი 36-ს აღწევს, საჭადრაკო კატეგორიის წიგნაკი ქუთაისში პირველად მიიღო დოცენტმა მ. მენაბდემ (პედინსტიტუტი), ბუცხრიკიძემ და სხვებმა. საკავშირო მასშტაბით გამართულ შეჯიბრებაში წელს პირველად მონაწილეობს მხეიძე, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა საჭადრაკო შეჯიბრებაში, ჩატარდა აგრეთვე ქალთა საჭადრაკო საკვალიფიკაციო ტურნირი.[2]“

საინტერესოდ ჩატარდა 1938 წლის ქალთა საქალაქო საჭადრაკო პირველობა. ტურნირში 14 მონაწილე ჩაება. პირველ ადგილზე სტუ-

---

[1] გაზ. „სტალინელი“, 1938 წელი, 1 ოქტომბერი
[2] გაზ. „სტალინელი“, 1938 წელი, 1 ოქტომბერი

დენტი ქალი ელენე ტერ-აბრამოვა გამოვიდა. მეორე ადგილი ნინო ჩარექოვამ დაიკავა. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს მ. ჟორჟოლაძემ და თ. კოსტავამ. მეხუთე ადგილი ა. შავგულიძეს ხვდა წილად.

ქალაქში ტრადიციად იქცა მოჭადრაკეთა სასკოლო ტურნირები, საინტერესოდ ჩატარდა მეოთხე საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა სასკოლო პირველობა, რომელშიც 16 მოსწავლე მონაწილეობდა: დ. ვაშაკიძე, ჩ. ბერამელოვა,შ. გოშაძე, ი. ნიჟარაძე, შ. ფიჩხაძე, გ. ყაველაშვილი, ო. ცაგარელი, ლ. ძოძუაშვილი, ვ. მელიავა, მ. იაკობაშვილი, კ. გეგელაშვილი, კ. ჩიხლაძე, თ. ესაიაშვილი, რ. თავდიშვილი, და კ. დვალი.

გამარჯვებული მე-8 კლასის მოსწავლე ოთარ ესაიაშვილი გამოვიდა, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს აკაკი დვალმა და ჩიტო ბერამელოვმა.

რაც შეეხება სტალინის სახელობის 24-ე საშუალო სკოლის ნორჩ მოჭადრაკეთა ასპარეზობას ბ. მამრიკიშვილის გამარჯვებით დამთავრდა (11 ქულა).

მეორე ადგილი 10 ქულით თ. ბილიხოძეს ხვდა წილად. მესამე ადგილი მ. გოზალიშვილს ხვდა წილად (8 ქულა).

1939 წლის დასაწყისში დაიწყო პიონერ-მოსწავლეთა საჭადრაკო საქალაქო პირველობა, შეჯიბრება სამ ჯგუფად ჩატარდა. პირველ ჯგუფში საშუალო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მეორე ჯგუფში არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეები, ხოლო მესამე ჯგუფში — მოსწავლე გოგონები. პირველ ჯგუფში, სადაც თამაში ჩატარდა ორ წრედ გამარჯვებულ ფრიადოსან მოსწავლეთა შორის უდაოდ ნიჭიერმა მოჭადრაკემ ლეონიდ ზაიჩიკმა პირველობა არავის დაუთმო. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს დ. ჩირაძემ და ბ. მამრიკიშვილმა. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირში სუსტად თამაშობდა საკავშირო მეორე კატეგორიის მოჭადრაკე დ. ჩირაძე, რომელმაც მოწაფეთა 1938 წლის რესპუბლიკურ პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. კომისიის გადაწყვეტილებით მესამე კატეგორია მიენიჭა ნორჩ მოჭადრაკეებს ა. ტყეშელაშვილს და თ. ბილიხოძეს.

მეორე ჯგუფში ტ. ანიჩენკომ იმარჯვა. მეორე ადგილზე გ. კოგანი გავიდა, მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს კ. ნიჟარაძემ და ა. დვალმა.

მოჭადრაკე გოგონებიდან საპრიზო ადგილები დაიკავეს ლილი ძოძუაშვილმა, ლია კოღუაშვილმა და სარა ციციაშვილმა.[1]

რაც შეეხება ქუთაისელ მოჭადრაკეთა სარაიონო პირველობას გრიშა კირკიტაძის გამარჯვებით დამთავრდა (ქვედა სიმონეთის ვ.

[1] გაზ. „სტალინელი", 1938 წელი

სტურუას სახელობის კოლმეურნეობა), მეორე ადგილი გ. მარდალეიშვილმა (მაღლაკის კოლმეურნეობა „მოწინავე პირველი") დაიკავა

ქალაქის უძლიერესი მოჭადრაკეები დ. მხეიძე, ი. ბალანჩივაძე, კ. ოდიკაძე, პ. წულუკიძე, ნ. დეკანოსიძე, მ. კუჭუხიძე, პ. პერტაია, ა. მესხი და სხვები აქტიურად მონაწილეობდნენ მოჭადრაკეთა სხვადასხვა რანგის ტურნირებში.

1939 წელს გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისი" იუწყებოდა იმ საჭადრაკო ქალთა საქალაქო შეჯიბრებაზე, რომელსაც ქალაქის ცენტრალურმა საჭადარკო-საშაშო კლუბმა უმასპინძლა. 6 ტურის შემდეგ ლ. ძოძუაშვილი პირველობდა. მას ფეხდაფეხ მოყვებოდნენ ტერ-აბრამოვა, შავგულიძე და ბალათურია. ტურნირი ლილი ძოძუაშვილის გამარჯვებით დამთავრდა.

რაც შეეხება დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშათა პროფკავშირების ქუთაისის კომიტეტის მიერ ჩატარებული მასწავლებელთა საჭადრაკო ტურნირი დავით მხეიძის გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც 16 შესაძლებლობიდან შეაგროვა 14 ქულა. მეორე ადგილი ისაკ ბალანჩივაძემ დაიკავა 13,5 ქულა, მესამე ადგილზე 13 ქულით მიშა კუჭუხიძე გავიდა.

იმავე 1939 წელს საინტერესოდ ჩატარდა ქალთა მეორე სარაიონო საჭადრაკო ტურნირი. ტურნირში 12 საუკეთესო მოჭადრაკე ქალი გამოდიოდა. პირველი ადგილი წაუგებლად დაიკავა ელენე ტერ-აბრამოვამ (პედ. ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის მეორე კურსის სტუდენტი). მეორე ადგილი ლილი ძოძუაშვილს ხვდა წილად (სტალინის სახელობის 24-ე საშუალო სკოლა), მესამე—მე-9 სკოლის მოსწავლე ს.შავგულიძეს. რაც შეეხება 1939 წლის საქალაქო პირველობას უძლიერესი მოჭადრაკეების მონაწილეობით დაძაბულად და საინტერესოდ ჩატარდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: კირკიტაძე, ზაიჩიკი, ოთხმოზური, მაჭავარიანი, მამრიკიშვილი, შივატოვი, გედენიძე, ხეცურიანი, გრიგოლია, ჰერცი და ესაიაშვილი. 8 ტურის შემდეგ 6 ქულით წინ გ. კირკიტაძე მიდიოდა, მას კვალში მიჰყვებოდნენ ლ. ოთხმოზური და ლ.ზაიჩიკი. შეჯიბრება ლ. ზაიჩიკის გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც მძლავრი ფინიშის წყალობით ყველა მეტოქე ჩამოიტოვა უკან. შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ ლეონია ზაიჩიკი ცნობილი დიდოსტატის გენადი ზაიჩიკის მამაა.

იმ პერიოდში ქუთაისში ჭადრაკის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ვაუ მოჭადრაკეთა მესამე ჩემპიონატს 1939 წლის სექტემბერ-ოქტომბერში რიონისპირა ქალაქმა უმასპინძლა, ქუთაისში საასპარეზოდ ჩამოვდიდნენ ცნობილი მოჭადრაკეები თბილისელები: ა. ებრაელიძე, მ. შიშოვი, ფირცხალავა და სხვები, ლენინგრადელი ა. ილინ-ჟენევსკი, მასპინძლებიდან გ. კირკიტაძე და რ. მაჭავარიანი ასპარეზობდა. ტურნირი ა. ებრაე-

ლიძის გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც 18 შესაძლებლობიდან 14 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი წილად ხვდა ა. ილინ-ჟენევსკის 13 ქულა, 12 ქულით მესამე ადგილი მ. შიშოვს ხვდა წილად. ჩემპიონატის პარალელურად სახელოვანი მოჭადრაკეები ქალაქში მართავდნენ ერთდროული თამაშების სეანსებს. ქუთათურების წინაშე წარსდგნენ: მ. შიშოვი, გ. კირკიტაძე, ა. ილინ-ჟენევსკი და სხვები.

1942 წელს დიდი ინტერესი გამოიწვია ქუთაისში ცნობილი დიდოსტატის სოლომონ ფლორის სტუმრობამ. ერთი კვირის მანძილზე ჩეხი დიდოსტატი ქუთათურების წინაშე საინტერესო ლექციების ციკლს კითხულობდა მსოფლიოს საჭადრაკო წარსულიდან, ხოლო შემდეგ ერთდროული თამაშების სეანსებში იწვევდა ქუთათურებს. 24 ივლისს ქალაქის საჭადრაკო კლუბში სოლომონ ფლორს ნაუკითხავს ლექცია თემაზე: „ბრძოლა მსოფლიოს პირველობისათვის ჭადრაკში". ლექციის შემდეგ 37 დაფაზე საპატიო სტუმარმა მიიწვია მასპინძლები. დიდოსტატმა 32 პარტიაში იმარჯვა. ორ პარტიაში დამარცხადა ვ. მაჭავარიანთან და მ. ჩხიკვაძესთან, ყაიმით დაამთავრა სამი პარტია ე. ტერ-აბრამოვასთან, ვ. ფორჩხიძესთან და ლომთაძესთან.

26 ივნისს საქართველოს საპატიო სტუმარმა ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდები მიიწვია და 33 დაფაზე ერთდროული თამაშების სეანსი გამართა. გროსმეისტერმა 31 პარტია მოიგო, ერთი დამარცხება განიცადა მოსწავლე დუდუჩავასთან და ერთიც ყაიმით დაამთავრა შეუ ხორხენთან.

ამის შემდეგ სოლომონ ფლორი ბ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმკომბინატს ესტუმრა, სადაც ლექციის შემდეგ ერთდროული თამაშების სეანსები გამართა 22 დაფაზე. მან მოიგო 20 დაფაზე. წააგო ს. გრიგოლიასთან და ერთი პარტია ყაიმით დაამთავრა მუშა ღირდალაძესთან.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი" წერდა: „ამას წინათ ქუთაისში ჩამოვიდა ცნობილი მსოფლიო მოჭადრაკე სოლო ფლორი, რომელიც შეხვდა ჩვენი ქალაქის მოჭადრაკეებს და მათთან ჩაატარა რამდენიმე სეანსი. სოლო ფლორი ესტუმრა ჩვენი გაზეთის რედაქციას. ჰქონდა საუბარი თანამშრომლებთან. ჭადრაკის მეტად ბევრ საინტერესო საკითხზე. მან გადმოგვცა ბარათი, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ: „მადლობას ვუძღვნი ყურადღებისათვის ქუთაისის მშვენიერი საქართველოს ამ მეორე ქალაქის ყველა მოჭადრაკეს". ბუნებრივია დიდმა საჭადრაკო ციებცხელებამ მთელი ქუთაისი მოიცვა. ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამის შემდეგ წარმოება-დაწესებულებები თუ ფაბრიკა-ქარხნები სასწავლებლების პარალელურად ატარებდნენ შიგა საკოლექტივო პირველობებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ ისევ გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისს" დავესესხები. ვ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის

კომბინატში ჩამოყალიბებულია მოჭადრაკეთა სექცია, რომლის ხელმძღვანელად გამოყოფილია ამხ. ი. გოგიაშვილი, სექციაში 15 ამხანაგია გაერთიანებული, ამხ. გოგიაშვილმა სექციის ჩამოყალიბებისთანავე ენერგიულად მოჰკიდა ხელი მუშაობას და მიიზიდა ახალი ამხანაგები. ასე მაგალითად, მოჭადრაკეთა სექციაში ახლა ჩაერიცხა ვ. არველაძე, ნ. კილატოვა, შ. ტყეშელაშვილი და ი. ბრეგაძე. ახალ წევრებს მიემაგრა კვალიფიციური მოჭადრაკეები. მოჭადრაკე ვ. თუთბერიძემ იკისრა, რომ ახლად ჩარიცხულ მოჭადრაკეებს მოკლე დროის განმავლობაში შეასწავლიდა თამაშის ხერხებს. „წითელი ვარდის" რესპუბლიკური საბჭოს მომართვის საფუძველზე კომბინატში ჩატარდა მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12-მა მოჭადრაკემ. პირველი ადგილი დაიკავა ვ. თუთბერიძემ, მეორე ი. გოგიაშვილმა, მესამე ი. ჩარგეიშვილმა. სექციის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საფაბრიკო კომიტეტმა შეჯიბრებაში გამარჯვებულნი დააჯილდოვა ფოტოაპარატით, ჭადრაკით და სხვა ნივთებით. სექციამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მაუდის ფაბრიკის მოჭადრაკეთა წრე.[1]

ომის მრისხანე წლებში ქუთაისის საუკეთესო შენობები სამხედრო ჰოსპიტლებად გადაკეთდა, სადაც 62000-სმა დაჭრილმა მებრძოლმა იმკურნალა. ქალაქში ცნობილ მოჭადრაკეებს დავით ჩირაძეს, ბენო მამრიკიშვილს, გრიშა კირკიტაძეს, ისაკ ბალანჩივაძეს, მიხეილ კუჭუხიძეს და სხვებს ხშირად შეხვდებოდით იღლიაში ჭადრაკამოდებულებს დაჭრილებთან, სისტემატურად ართობოდნენ ჭადარკის თამაშით მებრძოლებს.

ომის შემდგომ წლებში ქუთაისის საჭადრაკო ცხოვრებამ ახალი იმპულსი შეიძინა. რამეთუ ქუთაისელი მოჭადრაკეები საქალაქთაშორისო მატჩებში წარმატებით ასპარეზობდნენ თბილისის, ბათუმის, სტალინირის, ფოთის და სხვა ქალაქების მოჭადრაკეებთან პაექრობაში.

1947 წლის მარტის თვეში სამთო ტექნიკუმში ჩატარებულ საკვალიფიკაციო ტურინზე ასპარეზობაში მონაწილეობა მიუღია 14 კაცს. საკავშირო მეხუთე კატეგორია მიენიჭა 9 კაცს. პირველი—მეორე ადგილები 13 შესაძლებლობიდან 10-10 ქულით გაიყვეს გ. ჩიქოვანმა და ა. ანილოვმა. მესამე ადგილი ვ. გვაზავას ხვდა წილად, იქვე ერთდროული სეანსი ჭადრაკში ჩაატარა მეორე თანრიგის მოჭადრაკემ ოთარ ტაბიძემ.

იმავე პერიოდში წარმატებით ჩატარდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საქალაქო პირველობა ჭადრაკში, ასპარეზობაში 15 მოჭადრაკე ჩაება. გამარჯვებული ალექსანდრე კვიცარიძე (არტელ „კომკავშირელი") გამოვიდა, მეორე ადგილი წილად ხვდა გ. ყავე-

---

[1] გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი", 1942 წელი, 29 მაისი.

ლაშვილს („სპარტაკის“ საბჭო), ხოლო მესამე ადგილი გ. ჯიქიძეს (არტ. „მეხშუბა“) ხვდა წილად.

ომის შემდგომ წლებში ქუთაისის საჭადრაკო ცხოვრებას ახალი სული შთაბერა ჭადრაკის დიდმა სპეციალისტმა დავით ჩირაძემ.

საყოველთაოდაა ცნობილი ვახტანგ ქარსელაძის ფასდაუდებელი წვლილი საქართველოში ჭადრაკის განვითარების საქმეში. თავისი საქმის დიდი სპეციალისტი სამაგალითო ადამიანურ ღირსებებთან ერთად ნიჭის გამოცნობის საოცარი უნარითაც იყო დაჯილდოებული. ვინ თუ რა, ყველაზე უკეთ ვახტანგ ქარსელაძემ იცოდა დავით ჩირაძის ბოლომდე გამოუმჟღავნებელი დიდი საჭადრაკო პოტენციალი. ამიტომ იყო, რომ ქუთაისის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას ურჩია ჭადრაკში სამუშაოდ მისი თანასკოლელი (ორთავემ ვახტანგ ქარსელაძემ და დავით ჩირაძემ ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლა დაამთავრეს) დავით ჩირაძე მოენვიათ, რომელიც 1947 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ რიონის 8-წლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და ამავე დროს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. მაშინ დავით ჩირაძე ჭადრაკზე არ ფიქრობდა, მაგრამ ბრძნული თამაშის ინტერესმა მასში მაინც იძალა და 1949 წელს იგი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში საჭადრაკო კაბინეტის ხელმძღვანელად დანიშნეს.

ტრადიციად იქცა საქალაქო ტურნირები და ასევე ქუთათურები წარმატებებს აღწევენ რესპუბლიკურ ტურნირებში. 1948 წლის საქალაქო ჩემპიონატზე 15 უძლიერესი მოჭადრაკე ასპარეზობდა, მათ შორის იყვნენ: მამია დუდუჩავა, ლ. ლიბერმანი, ო. ტაბიძე, ო. ესაიაშვილი, პ. ჯაფარიძე, ვ. ფორჩხიძე, თ. ბილიხაძე, ზ. ესაიაშვილი, ლ. ჯახუა, მამრიკიშვილი, გულბანი, ყურაშვილი და სხვები. ტურნირს მსაჯობდნენ: გრ. კირკიტაძე, ს. გრიგოლია და ს. ლოსაბერიძე.

1948 წლის ივლისში ქუთაისში ჩატარდა საქართველოს გუნდური პირველობის ფინალური მატჩი ქუთაისისა და თბილისის გუნდებს შორის. თბილისელთა რიგებში იყვნენ ბლაგიძე, გიორგაძე, მელიქიძე, გამრეკელი და აგაბალიანი. ქუთაისის სპორტულ ღირსებას იცავდნენ გრიშა კირკიტაძე, დავით ჩირაძე, ოთარ ტაბიძე, ლევან ჯახუა, მამია დუდუჩავა. დებულებით მეტოქეები ერთმანეთს ორჯერ უნდა შეხვედროდნენ. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 6:4 და ღირსეულად მოიპოვეს საქართველოს 1948 წლის გუნდური პირველი ადგილი.

საყურადღებოა, რომ შემდგომ გუნდურ პირველობებში 1954 და 1955 წლებში ქუთაისელებმა კვლავ მოიპოვეს რესპუბლიკაში უძლიერესის სახელი. იმ პერიოდში სპეციალისტები ერთხმად გამოყოფდნენ ქუთაისელ მოჭადრაკეებს ლევან ჯახუას, ალექსანდრე

რაზოვსკის, ზ. გოგოლაშვილს, ზ. ესაიაშვილს, გ. გაბუნიას, შ. ჟვანიას, ჯ. რობაქიძეს, ჯ. ქარჩხაძეს და სხვებს.

პარალელურად საფუძველი ჩაეყარა ქუთაისის რაიონის მოჭადრაკეთა პირად გუნდურ ტურნირებს. 1953 წელს ჩატარებულ ასეთ სარაიონო ჩემპიონატზე პირველი ადგილი ბაშის კულტურის სახლმა დაიკავა. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ქვიტირის და მაღლაკის წარმომადგენლებმა. ინდივიდუალური პირველი ადგილი დაიკავა კვახჭირელმა ა. ჩხიკვაძემ, მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს გეგუთლებმა ჯ. თევდორაძემ და მ. მაჩალაძემ. რაც მთავარია, საჭადრაკო არენაზე გამოდიან დავით ჩირაძის აღსაზრდელები: გულნარა ბუცხრიკიძე, იზოლდა გედენიძე, ლია ფხაკაძე, ეთერი სეფიაშვილი, გ. ბებიავა, ხოლო ვაჟებიდან აღსანიშნავია ლევან ჯახუას, გიორგი სერჟანოვის, ალექსანდრე რაზოვსკის, გარი ბუცხრიკიძის, ბონდო გაბრიაძის, ზ. გოგოლაშვილის, ელგუჯა აბრამიძის, ბ. გურგენიძის, თენგიზ სვანიძის, რ. ჩირგაძის, გიორგი ქანთარიას, ცქვიტიშვილის და სხვათა სპორტული მიღწევები.

ქების ღირსნი არიან ქუთაისელი ჭადრაკის ცნობილი ეტიუდისტები რ. დადუნაშვილი, ო. ტაბიძე, ი. კოტრიკაძე, ჯ. მახათაძე, რომლებმაც საჭადრაკო კომპოზიციის საუკეთესო ტრადიციებს ჩაუყარეს საფუძველი კოლხეთის უძველეს ქალაქში.

1959 წელს დავით ჩირაძის აღზრდილმა ბონდო გაბრიაძემ, თბილისში გამართულ ჭაბუკ მოჭადრაკეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა, საპრიზო ადგილები გაიყო მ. ჩაგანავასთან და თელაველ ხაბურძანიასთან ერთად.

მათ შორის ვინც რიონისპირა ქალაქში და საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ქართულ საჭადრაკო კომპოზიციას თვალსაჩინო ადგილი ოთარ ტაბიძეს უკავია. 40-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ქუთაისელი მოჭადრაკე წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა რანგის საქალაქო და რესპუბლიკურ ტურნირებში.

ომის შემდგომ წლებში ქუთაისელი მოჭადრაკეები დავით ჩირაძე, ლიონია ზაიჩიკი. ოთარ ტაბიძე, ლევან ჯახუა, ბენო მამრიკიშვილი, გრიგოლ კირკიტაძე, სიპი გრიგოლია და სხვები უძლიერესები იყვნენ რესპუბლიკაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ ბიჭებმა 1948 წელს გუნდურ ასპარეზობაში თბილისის ძლიერი გუნდიც კი დაამარცხეს და რესპუბლიკის ჩემპიონობაც მოიპოვეს. ამ წარმატებაში დიდი იყო ოთარ ტაბიძის წვლილიც.

შემდეგ კი სრულიად ახალგაზრდა ჩაება საჭადრაკო კომპოზიციების ფერხულში. ბუნებრივია პრაქტიკულმა თამაშმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

პირველი ამოცანა ჟურნალ „შახმატ სსრ-ში“ 1939 წელს გამოაქვეყნა. მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში.

1947 წელს მეორე პრიზი დაიმსახურა მისმა ორმა ამოცანამ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გამოცხადებულ კონკურსზე.

1957 წელს ჩატარებულ საქართველოს პირველ ჩემპიონატზე საჭადრაკო კომპოზიციაში ორსვლიან ამოცანებში მეორე, ხოლო სამსვლიან ამოცანებში პირველი ადგილები დაიმსახურა. ეტიუდებში კი მეოთხე იყო. ნიჭიერმა შემოქმედმა 1972 წელს ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის წოდება მისი მრავალწლიანი შრომის ნაღდი აღიარება იყო.

დიდია ღირსეული მამულიშვილის წვლილი საქართველოში ახალი დარგის—ფილოსოფიური ანთრეოპოლოგიის დაფუძნებაში. გარდაიცვალა 61 წლის ასაკში 1986 წლის 8 ივნისს შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში.

მას შემდეგ, როცა საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით, 1952 წელს, საქართველო ორ ოლქად თბილისის და ქუთაისის ოლქებად დაიყო, ერთგვარ ტრადიციად იქცა საოლქო ტურნირების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მათ შორის ჭადრაკში. გაზეთ „სტალინელის“ ცნობით ქუთაისში ჩატარებულ მოჭადრაკეთა 1952 წლის საოლქო პირველობაზე ოლქში შემავალმა 17 ქალაქისა და რაიონის ნაკრებმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა ქალაქების ქუთაისის, ჭიათურის, ზუგდიდის, აგრეთვე ზემო სვანეთის, ქვემო სვანეთის, ცაგერის, ზესტაფონის, ვანის, სამტრედიის, ცხაკაიას, აბაშის, ლანჩხუთის, საჩხერის, მახარაძის, ტყიბულისა და ქუთაისის რაიონების გუნდებმა საპრიზო ადგილებისათვის უშელავათო ბრძოლები გააჩაღეს.

გამარჯვებული 36,5 ქულით ქუთაისის მოჭადრაკეთა გუნდი გამოვიდა (დ. ჩირაძე, ლ. ჯახუა, თ. ნანიკაშვილი). მეორე ადგილი 30 ქულით ზუგდიდელებმა მოიპოვეს (ბ. დემურია, რ. ბერულავა, თ. ბოჭორიშვილი). 29,5 ქულით მესამე ადგილზე მახარაძელები აღმოჩნდნენ (გ. ლომიძე, რ. ჭყონია, თ. ანდღულაძე).

—1953 წლის 23 იანვარს გაზეთ „სტალინელს“ სახელობის გარდამავალ თასზე დაიწყო საოლქო შეჯიბრება ჭადრაკში პირად გუნდურ პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ოლქში შემავალი 15 ქალაქის და რაიონის ნაკრები გუნდი. ქუთაისი სამი გუნდით იყო წარმოდგენილი. ფინალში მონაწილეობის უფლება 9 გუნდმა მოიპოვა. ესენი იყვნენ ქუთაისის პირველი და მეორე, მახარაძის, ჭიათურის, ვანის, ცხაკაიას, ჩოხატაურის, ტყიბულის და სამტრედიის, გუნდები. ფინალური შეხვედრები მწვავე და საინტერესო

ბრძოლებით აღინიშნა. დღემდე ჩატარდა ოთხი ტური. მეოთხე ტურში ყურადღების ცენტრში იყო მახარაძის და ჭიათურის გუნდების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ფრედ 5:5, ასეთივე ანგარიშით დამთავრდა ცხაკაიას და ვანის მოჭადრაკეთა შეხვედრა, ხოლო ქუთაისის პირველმა გუნდმა დაამარცხა ტყიბული 4:1 (ერთი პარტია გადადებულია). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ქუთაისის მეორე გუნდის და ჩოხატაურის ნაკრები გუნდის შეხვედრა. ქუთაისის გუნდი, რომელიც ბავშვთა სპორტსკოლის მოჭადრაკეებით არის დაკომპლექტებული საინტერესო შემოქმედებით თამაშს უჩვენებს წერდა გაზეთი „სტალინელი“.

იმ პერიოდში ქალაქში უძლიერესი მოჭადრაკეები იყვნენ: ლევან ჯახუა, საშა რაზოვსკი, ჯემალ რობაქიძე, დავით ჩირაძე, ზ. გოგოლაშვილი, ზ. ესაიაშვილი ვ. შენგელია, ჯ. ქარჩხაძე, შ. ჟვანია და სხვები.

რაც შეეხება 1953 წლის მოჭადრაკეთა საქალაქო პირველობას ოსტატობის კანდიდატის თენგიზ გიორგაძის გამარჯვებით დამთავრდა. რომელიც კონკურსის გარეშე მონაწილეობდა. მეორე-მეოთხე ადგილები დავით ჩირაძემ, საშა რაზოვსკიმ და ლევან ჯახუამ დაისაკუთრეს.

ჩემპიონატის შემდეგ ქუთათურების სტუმარმა ოსტატობის კანდიდატმა თენგიზ გიორგაძემ ლითოფონის ქარხნის კლუბში წაიკითხა ლექცია თემაზე: „მსოფლიოს ჩემპიონობისათვის ბრძოლა ჭადრაკში“. ლექციამ ქუთათურების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. შემდეგ საპატიო სტუმარმა ლითოფონის ქარხნის ჭადრაკის მოყვარულებს ჩაუტარა ერთდროული თამაშის სეანსი 15 დაფაზე. თ. გიორგაძემ მოიგო 13 პარტია. წააგო ერთი ს. სებუასთან და ერთიც ფრედ დაამთავრა (ვ. ცხადაძესთან).

1954 წლის 10 იანვარს გაზეთი „სტალინელი“ წერდა 6 იანვარს ქალაქის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო ნახევარ ფინალური შეჯიბრება ჭადრაკში საქართველოს პირველობაზე.

ტურნირში მონაწილეობენ შ. შავლაყაძე (ქუთაისის რაიონი), დ. ჩირაძე, ზ. გოგოლაშვილი, ჯ. რობაქიძე, ო. ბერუჩაშვილი, ნ. ჯახუა, ზ. ესაიაშვილი, ა. რაზოვსკი, ჯ. ქარჩხაძე (ყველა ქუთაისიდან) გ. ძინძიბაძე (ჭიათურა), გ. კირკიტაძე (თერჯოლა), ი. რუხაძე (სამტრედია), პ. თენეიშვილი, რ. ჭყონია (მახარაძე), პირველ ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა გოგოლაშვილი-ქარჩხაძის პარტია. გაიმარჯვა ქარჩხაძემ. შავლაყაძემ წააგო ჭყონიასთან. რობაქიძე _ძინძიბაძის პარტია ყაიმით დამთავრდა. თენეიშვილ-ესაიაშვილის, ბერუჩაშვილ-რუხაძისა და რაზოვსკი-ჯახუას პარტიები გადაიდო. უპირატესობა თენეიშვილის რაზოვსკისა და ბერუჩაშვილის მხარეზეა. ჩირაძე-კირკიტაძის პარტია არ გათამაშებულა. მეორე ტურში ჭყონიამ მოუგო რობაქიძეს, შავლაყაძემ გოგოლაშვილს, ჯახუამ

ქარჩხაძეს, კირკიტაძემ ძინძიბაძეს. რუხაძე-ჩირაძის პარტია ყაიმით დამთავრდა.

რაზოვსკი-თენეიშვილის პარტია არ შემდგარა თენეიშვილის ავადმყოფობის გამო. ტურნირი თერჯოლელი გ. კირკიტაძის გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილზეა ს. რაზოვსკი, ხოლო მესამე-მეოთხე ადგილები ასევე ქუთაისელმა ლევან ჯახუამ და მახარაძელმა ჭყონიამ გაიყვეს.

1960 წლის მარტის შუა რიცხვებში რიონისპირა ქალაქს რესპუბლიკის უძლიერესი მოჭადრაკე ქალთა ელიტა ესტუმრა, რომლებმაც რესპუბლიკის მორიგი მე-19 ჩემპიონატი გაითამაშეს. საქვეყნოდ ცნობილი ოსტატების ნონა გაფრინდაშვილის, მანანა ტოგონიძის, ალა ჩაიკოვსკაიას, ქსენია გოგიავას, ს. ივანოვას, ნაჭყებიას, ჯანგველაძის, ჩომახიძის, ლოლიშვილის, მანველოვას, ბათუმელი ჯანაშიას, სოხუმელი კორეშკოვას გვერდით ასპარეზობდნენ ქუთაისელი მოჭადრაკეები გულნარა ბუცხრიკიძე, ც. გედენიძე და ბებია. ტურნირი მომავალი მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვებით დამთავრდა. მეორე და მესამე ადგილები მანანა ტოგონიძემ და ალა ჩაიკოვსკაიამ გაიყო. მეოთხე ადგილი ჩვენს თანაქალაქელს გულნარა ბუცხრიკიძეს ხვდა წილად.

1962 წლის თებერვალში ვორონეჟში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნახევარ ფინალი ჭადრაკში ქალთა შორის, რომელშიც 14 სპორტსმენი მონაწილეობდა, 9,5 ქულით გაიმარჯვა გულნარა ბუცხრიკიძემ და მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

დიდი ინტერესი გამოინვია იმავე წელს ქუთაისის ადგილობრივი მრეწველობის დაწესებულებათა პირველობამ ჭადრაკში, ყველასთვის მოულოდნელად 19 თამაშიდან 18 ქულით გაიმარჯვა საფეხბურთო კლუბ „იმერეთის“ ფეხბურთელმა ნ. მიქაიამ. მეორე ადგილი ა. კუჭავამ (ავეჯის ფაბრიკა), ხოლო მესამე უსინათლოთა საზოგადოების წარმომადგენელმა ჯ. ყვავაძემ დაიკავა. 1963 წლის აგვისტოს მეორე დეკადაში ქუთაისს დიდი ჭადრაკი ენვია. ქალაქში გამოკრული აფიშები ქუთაისელებს მოუხმობდა სტადიონზე „ცოცხალი ჭადრაკი“—მონანილეთა შორის იყვნენ ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიოში აღიარებული მოჭადრაკეები ტიგრან პეტროსიანი და დავით ბრონშტეინი. მრავალრიცხოვანი ქუთათურები გულთბილად მიესალმა სახელგანთქმულ მოჭადრაკეებს. ასპარეზობის მსაჯი იყო დიდოსტატი იური ავერბახი. მატჩს კომენტარს უკეთებდა ცნობილი კომენტატორი ვადიმ სინიავსკი. თეატრალიზებულმა წარმოდგენამ, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა ქუთაისელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

იმ პერიოდში რესპუბლიკის სარბიელზე წარმატებას აღწევენ ქუთაისელი მოჭადრაკეები. 1962 წლის გაზაფხულზე თბილისის

მასწავლებელთა სახლში მოეწყო მასწავლებელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი ჭადრაკში. რომელშიც 32 პედაგოგი მონაწილეობდა. ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ლევან ჯახუამ, რომელმაც ყველა რვა პარტია მოიგო. გამარჯვებულს ორი ქულით ჩამორჩა შარშანდელი ჩემპიონი ი. ლოლუა და კ. პეტრიაშვილი.

1964 წლის თებერვალში ქუთაისში გამართულ საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატის ნახევარფინალში ქუთაისიდან თამაზ გიორგაძე, გიორგი ქანთარია და ბანძელაძე მონაწილეობდნენ. ფინალში თამაშის უფლება თამაზ გიორგაძემ მოიპოვა.

იმავე წელს თბილისში გამართულ სპორტსაზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკეთა პირველობაზე ქუთაისელმა საშა რაზოვსკიმ გ. კალატოზიშვილთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო.

1967 წელს წყალტუბოში გამართულ მოჭადრაკეთა 28-ე რესპუბლიკურ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა ჩვენმა თანაქალაქელმა თამაზ გიორგაძემ, რომელმაც 9,5 ქულით რომან ჯინჯიხაშვილის შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ცნობილი მოჭადრაკე თამაზ გიორგაძე პირველი საერთაშორისო დიდოსტატია ჩვენი ქალაქიდან. ეს წოდება მას 1977 წელს მიანიჭეს. ამაგდარმა მწვრთნელმა დავით ჩირაძემ თამაზ გიორგაძე ჭადრაკის ანბანს გასული საუკუნის 60-იან წლებში აზიარა. ნიჭიერმა მოჭადრაკემ შეიძლება ითქვას თავისუფლად აუღო ჭადრაკის ურთულეს ლაბირინთებს და 1967 წელს 20 წლის მოჭადრაკეს სპორტის ოსტატის საპატიო წოდება მიანიჭეს. ერთი წლის შემდეგ თბილისის ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო 1972-73 წლებში ორჯერ ზედიზედ საქართველოს ჩემპიონიც გახდა.

არაერთ საკავშირო ჩემპიონატებში მიუღია მონაწილეობა ქუთაისელ მოჭადრაკეს, ხოლო 1978 წელს საკავშირო არენაზე საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა. ეს კი იმის დასტური იყო, რომ პერსპექტიული მოჭადრაკე სსრ კავშირის უძლიერეს მოჭადრაკეთა ათეულის წევრი იყო. მოგეხსენებათ მაშინდელი საბჭოეთის დიდი ქვეყნის მოჭადრაკეთა დიდი ელიტა ამშვენებდა ჩვენს პლანეტას, რომლის ღირსეული წევრები იყვნენ მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონები, საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებულები, საქვეყნოდ ცნობილი დიდოსტატები: მიხეილ ბოტვინიკი, დავით ბრონშტეინი, ვიქტორ სმისლოვი, მარკ ტაიმანოვი, ვფიმ გელერი, ვიქტორ კორჩნოი, ტიგრან პეტროსიანი, ბორის სპასკი და მრავალი სხვა, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ჩვენს პლანეტაზე. მათთან პაექრობაში თამაზ გიორგაძე ოლიმპიური სიმშვიდით იბრძოდა გამარჯვებებისათვის.

მის სპორტულ ბიოგრაფიას ამშვენებს გამარჯვებათა სერიალი 1974 წლის დეჩიმისა და თბილისის, 1976 წლის ჟილინის, 1977 წლის სოხუმის, 1979 წლის დორტმუნდის, 1985 წლის სევილიის და მრავალ სხვა საერთაშორისო მოჭადრაკეთა ტურნირებში, ჩვენს თანამემამულეს ასევე წარმატებით უასპარეზნია გეტებორგის, ჰასტინგის, ჰალეს, პრიმორსკის და მრავალ სხვა ქალაქების საერთაშორისო ტურნირებზე.

თამაზ გიორგაძე პოზიციური სტილის მოჭადრაკე იყო და რაც მთავარია ბრწყინვალედ აქვს დამუშავებული სადებიუტო თეორიები.

ნუ დაგვავიწყდება, რომ თამაზ გიორგაძე 1969 წელს ქ. ბათუმში ჩატარებულ სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატზე გამარჯვებულიცაა. იმავე წელს დრეზდენში ჩატარებულ სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე თამაზ გიორგაძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მეოთხე დაფაზე მოასპარეზე მოჭადრაკემ 9 შესაძლებლობიდან 6,5 ქულა მოაგროვა, რაც ბუნებრივია მხოლოდ ძლიერ მოჭადრაკეს ხელეწიფება.

სპორტის მოყვარულებს მოგეხსენებათ, რომ ტრადიციად ქცეული სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები, ეს იყო ქვეყნის სპორტული ცხოვრების ძალების ერთგვარი შემოწმება და სამზადისი ოლიმპიური თამაშებისათვის. მოჭადრაკეები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე პირველად 1959 წელს გამოჩნდნენ დ აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა გათამაშებაში. თამაზ გიორგაძემ 1967 წელს პირველად მიიღო მონაწილეობა ხალხთა მეოთხე სპარტაკიადაზე და საკმაოდ წარმატებით ითამაშა.

9 შეხვედრაში მის მიერ მოპოვებული 5,5 ქულა შეიძლება ითქვას დამაჯერებლად წაადგა საქართველოს ნაკრებ გუნდს. ვაუებიდან ასეთი მიღწევა საქართველოს არცერთ გუნდის წევრს არ ჰქონია.

1975 წლის ხალხთა სპარტაკიადაზე თამაზ გიორგაძის აქტივში 8 თამაშიდან 4,5 ქულა იყო, ხოლო მომდევნო 1979 წელს ისევ 8 შეხვედრიდან 5,5 ქულა დააგროვა.

1983 წლის ხალხთა მორიგ სპარტაკიადაზე მის აქტივში 8 თამაშიდან 3,5 ქულა იყო.

1986-92 წლებში თამაზ გიორგაძე ესპანეთის ნაკრები გუნდის მწვრთნელად მუშაობდა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ესპანელი მოჭადრაკეების მსოფლიო სარბიელზე ფართოდ წარმოჩენის საქმეში.

ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე იყო ლევან ჯახუა, როცა თავი ისახელა მოსწავლეთა საქალაქო ტურნირებში, რასაც თან მოჰყვა წარმატებები რესპუბლიკურ ჩემპიონატებში მოსწავლეთა შორის.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის კურსდამთავრებულს მრავალწლიან პედაგოგიურ საქმიანობასთან

ერთად არ გაუწყვეტია კავშირი სიბრძნის თამაშიდან და წარმატებით გამოდიოდა მოჭადრაკეთა სხვადასხვა რანგის ტურნირებში. 1952 წელს მოჭადრაკეთა საქალაქო საკვალიფიკაციო შეჯიბრებაზე საპატიო პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო იმავე წელს ქუთაისში ჩატარებულ შეჯიბრებაში ოლქის პირველობაზე ჭიათურის, ფოთის, მახარაძის, სამტრედიის, ტყიბულის და სხვა ქალაქების წარმომადგენლებთან ჭიდილში უძლიერესის სახელი დაიმსახურა. რესპუბლიკურ სპარტაკიადებზე ქუთაისის მოჭადრაკეთა გუნდი, რომლის ნევრიც ლევან ჯახუა იყო, სისტემატურად იკავებდა მეორე საპრიზო ადგილს და ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა თბილისის საკმად ძლიერ გუნდს.

1962 წელს ლევან ჯახუამ კვლავ ისახელა თავი საქართველოს პირველობაზე მოსწავლეთა შორის, სადაც რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა. რა თქმა უნდა, იოლი არ იყო ამ ტურნირში გამარჯვება, რადგან მისი მეტოქეები თბილისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, ფოთის და სხვა ქალაქების წარმომადგენლები ღრმად იყვნენ ჩახედული საჭადრაკო თეორიაში და არც პრაქტიკული გამოცდილება აკლდათ.

პოპულარული მოჭადრაკე, ასევე ავტორიტეტით მადლმოსილი პედაგოგი იყო, რომელიც წლების მანძილზე ღირსეულად ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

ქალაქის მეორე, მეხუთე, მეცხრე, 25-ე საშუალო სკოლებში, სადაც კი უმოღვაწია ჩვენს თანამოქალაქეს ყველაფერს აკეთებდა, რომ იტყვიან, მათემატიკური სიზუსტით, რათა საგნები საინტერესო და შინაარსიანი ყოფილიყო ნორჩი თაობებისათვის.

ხუთი წლის მანძილზე ლევან ჯახუა თავკაცობდა ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს და აქედან გამომდინარე მოგეხსენებათ თუ რა ყოველდღიურად რთული პრობლემები ექნებოდა გადასაწყვეტი ამაგდარ პედაგოგს.

თითქმის ორი ათეული წელია, რაც ლევან ჯახუა სათავეში ედგა კოოპერაციულ ტექნიკუმს, დღეს, რომ კოლეჯის სახელით არის ცნობილი. ის ფაქტი, რომ აღნიშნული სასწავლებლის შრომისმოყვარე პედკოლექტივი ყველაფერს აკეთებს იმერეთის რეგიონისათვის ბუღალტრების, ეკონომისტების და სხვა დარგის სპეციალისტების აღზრდისათვის, საყოველთაოდაა ცნობილი. ნუ დავივიწყებთ, რომ თუ უკანასკნელ პერიოდს არ მივიღებთ მხედველობაში გასაგები მიზეზების გამო 90-იან წლებამდე აღნიშნულ სასწავლებელში სათანადო სიმაღლეზე იდგა ფიზიკური აღზრდა და სპორტული საქმიანობა. დირექციის ხელის შეწყობით სასწავლებლის აღზრდილები წარმატებას აღწევენ სხვადასხვა რანგის საქალაქო და რესპუბლიკურ ტურნირში სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

მიუხედავად ასეთი რთული და დაძაბული პედაგოგიური ურთიერთობებისა ლევან ჯახუას ცალი თვალი ჭადრაკისაკენ გაურბოდა და თუ ქუთაისში სახელოვანი მოჭადრაკეები ჩამოვიდოდნენ ლევან ჯახუას ოჯახი მათი გულღია მასპინძელი იყო. ამას წინათ ქუთაი-

სის სპორტულ მუზეუმს ცნობილი დიდოსტატის იური ავერბახის წიგნი გადასცა საჩუქრად, რომელსაც ამშვენებს ავტოგრაფი მსოფლიოს ექსჩემპიონების და დიდოსტატების ნონა გაფრინდაშვილის, ტიგრან პეტროსიანის, დავით ბრონშტეინის, იური ავერბახის, ედუარდ გუფელდის და მრავალი სხვა.

სასიხარულოა, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ზეობა საჭადრაკო ოლიმპზე ახალმა ამომავალმა ვარსკლავმა მაია ჩიბურდანიძემ. ყველაფერი კი მშობლიურ ქუთაისში დაიწყო, როცა 1967 წლის მაისის ერთ წყნარ საღამოს ლამარა ჩიბურდანიძემ თავისი უმცროსი და 6 წლის მაია ქუთაისის საჭადრაკო-საშაშო კლუბში მოიყვანა, მაშინ აღნიშნული კლუბის დირექტორად ვმუშაობდი და სისტემატურად თავს იყრიდნენ ქალაქში ადრე გამოჩენილი მოჭადრაკეები, იმჟამად უკვე ვეტერანები ლევან ჯახუა, კოლია ქუთათელაძე, აბესალომ ცაგარეიძვილი, ჟვანია და სხვები. ქალბატონმა ლამარამ ვეტერანებს სთხოვა, რომ მაიასთან ჭადრაკი ეთამაშათ. ყველას სახეზე ღიმილმა გადაგვიარა, როცა ჭადრაკის დაფასთან დამჯდარი პატარა მაია ძლივს წვდებოდა ჭადრაკის ფიგურებს. ადგილი ლევან ჯახუას დავუთმეთ. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა თუ 6 წლის ციცქნა გოგონა როგორ ფიქრობდა და რა ჭკვიანურ სვლებს აკეთებდა. შემდეგ მაიამ გაზეთ „ქუთაისის" რედაქციაში გადაინაცვლა, და როცა 7 წლის გოგონამ გაზეთ „ქუთაისის" რედაქტორის მოადგილე სერგო მაღლაფერიძე პირველ პარტიაში დაამარცხა, გაცვიფრებული თვალებით უცქერდა მშვიდად მოთამაშე საოცრებას. პირველს მეორე დამარცხებაც მოჰყვა. ერთი სიტყვით, ჟურნალისტები მიხვდნენ, რომ ამ პატარა გოგონასთან თამაში ხუმრობა საქმე არ იყო.

1971 წელს ქუთაისში ცნობილი დიდოსტატები ედუარდ გუფელდი მოვიწვიეთ. სახელოვანმა მოჭადრაკემ ქალაქის წარმოება-დანესებულებებში რამდენიმე საჯარო ლექცია წაიკითხა და ერთდროული თამაშის სეანსებიც ჩაატარა. როცა პატარა მაია უჩვენეს და მასთან მსუბუქი პარტიაც ითამაშა, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ცოტა უფრო გვიან ედუარდ გუფელდი იტყვის: „ქუთაისში ცხოვრობს ერთი გოგონა, რომელიც ჯერ მხოლოდ 10 წლისაა. პედაგოგიური მოსაზრების გამო მის გვარსა და სახელს ჯერ არ დავასახელებ, მაგრამ მალე მასზე ყველა გაიგებს". გუფელდის ეს საიდუმლო და უცნობი გოგონას ვინაობა სულ მალე ცნობილმა უკრაინელმა ჟურნალისტმა ეფიმ ლაზარევმა გაამჟღავნა.

შემდეგ კი მოხდა ის, რასაც თვით გუფელდიც კი ვერ წარმოიდგენდა რამეთუ ჩიბურდანიძეების ე.წ. საოჯახო დელეგაციამ დაჟინებული თხოვნით მიმართა ედუარდ გუფელდს, რომ იგი ყოფილიყო პატარა მაიას მწვრთნელი. საქმეს ის ართულებდა, რომ ერთ დროს ედუარდ გუფელდი ნონა გაფრინდაშვილის მწვრთნელი იყო და მაინც დაეკითხა ქალბატონ ნონას ხომ არ იქნებოდა წინააღმდეგი მაიასთან ემუშავა.

შემდეგ სახელოვანი დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე აღნიშნავს: „მხოლოდ გუფელდთან ორი წლის მეცადინეობის შემდეგ მივხვდი რა არის ჭადრაკი. იცით? მე არ მიყვარდა მეცადინეობა. მიყვარდა მხოლოდ თამაში. გუფელდმა კი მაიძულა, რომ დამეძლია ეს სიზარმაცე."

1973 წელს სსრ კავშირს იუგოსლავიის ნაკრებ მოჭადრაკეთა გუნდი ესტუმრა. თბილისში ჩამოვიდნენ საქვეყნოდ ცნობილი იუგოსლაველი მოჭადრაკეები. გრიგორიჩის თავკაცობით. ორივე გუნდში მართლაც რომ სახელოვანი მოჭადრაკეები თამაშობდნენ, მაგრამ მაინც ყველას ყურადღება 12 წლის მაიასკენ იყო მიპყრობილი, სადაც მისი მეტოქე საკმაოდ ასაკოვანი და გამოცდილი მოჭადრაკე კალხბრენერი იყო. მეტოქეები ერთმანეთს ოთხჯერ შეხვდნენ და ყველას გასაკვირად მაიამ ოთხი გამარჯვება მოიპოვა. რა იყო ეს? სენსაცია, შემთხვევითობა, თუ კანონზომიერი მოვლენა? რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი.

მაიას თბილისში გადაყვანის საკითხი მთელ რიგ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. საყოფაცხოვრებო პირობებთან ერთად აუცილებელი იყო მაიას სკოლის შეცვლა, მისი მწვრთნელის საკითხის მოგვარებაც და მაიას დედის ქალბატონი ნელის თბილისში გადასვლის და პედაგოგიური მოღვაწეობის საკითხიც. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს განათლების მინისტრის ქალბატონ თამარ ლაშქარაშვილის 1972 წლის 13 მაისის მიმართვა ქუთაისის განათლების განყოფილების გამგის ილია გენძეხაძისადმი. მოგვყავს წერილის ტექსტი: „სათანადო ორგანოების მიერ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ქუთაისი მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლე მაია ჩიბურდანიძე, რომელიც ჭადრაკში პირველთანრიგოსანია და მასთან საქართველოს ჩემპიონი, გადმოყვანილ იქნეს ქ. თბილისში ერთი წლით ჭადრაკში დახელოვნების მიზნით.

რადგან ბავშვი თბილისში მარტო ვერ იცხოვრებს, ამიტომ მას უნდა გადმოჰყვეს დედა, ქუთაისის 27-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ.ჰ. ხურციძე, რომელიც თანახმაა გადმოვიდეს ამ ვადით თბილისში, თუ მას შეენახება სამუაშო ადგილი.

სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია დააკმაყოფილოს ნ. ხურციძის თხოვნა, რისთვისაც მისი საათები სასწავლო წლის ბოლომდე გადაუნაწილეთ სხვა მასწავლებლებს, ხოლო 1973-74 სასწავლო წლიდან ამხანაგ ნ. ხურციძეს დაუბრუნებთ მის საათებს".

ამ საკითხის მოგვარების შემდეგ მთავარი პატარა მაიას მწვრთნელის საკითხი იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქალბატონ ნელის წერილი ბატონ დავით ჩირაძისადმი. ირკვევა, რომ გიგლა გაჩეჩილაძის და დავით ჩირაძის თხოვნით ცნობილმა ოსტატმა იური ჩიქოვანმა გადაწყვიტა მაიას მწვრთნელი გამხდა-

რიყო. შემდეგ კი, როცა მაიამ სარეკორდო დროში შეძლო მაღალი სპორტული მწვერვალების დაპყრობა, მისი მწვრთნელებიც იცვლებოდა. უფრო გვიან დიდოსტატმა ედუარდ გუფელდმა გულთან მიიტანა მაიას დიდი საჭადრაკო ტალანტი და მისი ერთგული მწვრთნელი გახდა.

მახსენდება 1978 წლის იანვრის ერთი სუსხიანი დილა, როცა თბილისში ჩიბურდანიძეების ოჯახს ვესტუმრე. ის-ის იყო დედა-შვილი ემზადებოდნენ საქართველოს სპორტკომიტეტში გიგლა გაჩეჩილაძესთან სავიზიტოდ. იყო რაღაც წვრილმანი მოსაგვარებელი საკითხები ალა კუშნირთან ფინალში ასპარეზობასთან დაკავშირებით. ტაქსი დავიჭირე და გზას გავუდექი. მოულოდნელად გზაზე საავარიო სიტუაცია შეიქმნა. მძღოლი იძულებული შეიქნა მანქანა მოულოდნელად დაემუხრუჭებინა. ინერციით მანქანა გზიდან გადავიდა, თუმცა ყველანი გადავრჩით. მანქანიდან გადმოვედი და მძღოლს ვეუბნები: იცი, შენს მანქანაში ვინ ზის? როცა მაია ვახსენე, მძღოლი რომელიც წარმოშობით სომეხი იყო, უცებ გონს მოეგო, მანქანიდან სწრაფად გადმოვიდა, უკანა კარი გააღო, აცახცახებულ დედა-შვილის წინაშე მუხლი მოიყარა და წარმოთქვა: ჩემს ოთხ ქალიშვილს თქვენი სურათი თავთან უკიდია და უფრო გაოცებული იყო მომავალი მსოფლიო ჩემპიონთან ასეთი მოულოდნელი შეხვედრით.

ბიჭვინთაში კი მოხდა ის, რასაც არავინ არ ელოდა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთან ნონა გაფრინდაშვილთან უშელავათო მარათონულ ბრძოლაში 17 წლის მაია ჩიბურდანიძემ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი დაიმსახურა.

არ იფიქროთ, რომ გზა დაფნის გვირგვინამდე, რომელიც ქუთაისელმა საოცრებამ განვლო ია-ვარდით იყო მოფენილი. 1976 წელს თბილისის საზონათშორისო ტურნირში საპრიზო ადგილის დაკავების შემდეგ მაიამ თანმიმდევრობით დაამარცხა ნანა ალექსანდრია, ელენე ახმელოვსკაია, ირინა ლევიტინა, ელენე ფატალიბეკოვა და ალა კუშნირი. ერთი სიტყვით იმ დროისათვის ქალთა ცნობილი საჭადრაკო ელიტა. შემდეგ კიდევ ოთხჯერ მოუწია საპატიო ტიტულის დაცვა სახელოვან დიდოსტატს. მრავალ საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში უსახელებია თავი ჩვენი წერილის გმირს. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა საჭადრაკო ოლიმპიადებზეც მრავალჯერ თქვა ღირსეული სიტყვა. ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადებში მრავალგზის გამარჯვებულმა ასევე მრავალ საერთაშორისო ტურნირებში ისახელა თავი. ოთხჯერ 1984, 1985, 1986 და 1987 წლებში ჭადრაკის ოსკარი დაიმსახურა. სახელოვანი დიდოსტატი წლების მანძილზე წარმატებით ასპარეზობდა მამაკაცი მოჭადრაკეების წინააღმდეგ. სხვადასხვა წლებში მაიას დაუმარცხებია ცნობილი დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები:

ტაიმანოვი, ოსნოსი, ტუკმაკოვი, სუეტინი, ვასიუკოვი, ანტონშინი, სახაროვი, ხარიტონოვი, როდრიგესი, კლარიჩი, დიუბოევიჩი და მრავალი სხვები. ფრედ დაუმთავრებია შეხვედრები რიშევსკისთან, დორფმანთან, მიკენასთან და სხვებთან. მსოფლიოს ექსჩემპიონი დღესაც აგრძელებს სპორტულ ცხოვრებას.

კიდევ ერთი სახელოვანი ქუთაისელი მოჭადრაკე მინდა წარვუდგინო ჩვენს მკითხველს. თუმცა საერთაშორისო დიდოსტატი გია გიორგაძე კარგად არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში. იგი 1964 წელს დაიბადა ქუთაისში და აქვე დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა. ჭადრაკის ანბანს ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში ეზიარა. ცნობილმა პედაგოგმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა დავით ჩირაძემ, იმთავითვე ამოიცნო ნიჭიერი შეგირდის ბრწყინვალე მონაცემები და ამით ამაყობდა. ბატონ დავითს ხშირად უთქვამს, რომ გია გიორგაძის სახით კიდევ ერთი სახელოვანი მოჭადრაკე შეემატება მოჭადრაკეთა საუკეთესო კოჰორტას.

საოცარი ის იყო, რომ ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე დიდი სერიოზულობით და ოლიმპიური სიმშვიდით საათობით უჯდა საჭადრაკო მაგიდას და სათაყვანებელი მასწავლებლის ყოველ გაკვეთილს დიდი გულისყურით ისმენდა და ინიშნავდა. არც ის იყო გასაკვირი, რომ სკოლის მერხიდან მან ყველას დაამახსოვრა თავი. მის სპორტულ ბიოგრაფიას ამშვენებს წარმატებათა სერიალი მრავალ რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებში. გასული საუკუნის მიწურულს ქვეყნის გართულებულმა და გაუკუღმართებულმა ცხოვრებამ ჩვენი მოჭადრაკეები სულით ააფორიაქა. წლიდან წლამდე, სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ტურნირიდან ტურნირებზე მოგზაურობს, იღვწის და შრომობს ჩვენი თანაქალაქელი. დღეს უკვე თითქმის 40 წელს მიღწეული საერთაშორისო დიდოსტატი წლების მანძილზე საქართველოს ოლიმპიური ნაკრები გუნდის წევრს მართლაც რომ მოსვენება არ ჰქონდა. ახლა კი ცნობილი დიდოსტატის განვლილ სპორტულ გზას გადავავლოთ თვალი და დარწმუნდებით თუ რა შესაშური და ენერგიის ფასად აღნევდა წარმატებებს სხვადასხვა რანგის ტურნირებში.

საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა მოსწავლეთა შორის, ორჯერ 1982-1988 წლებში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა უფროსი ასაკის მოჭადრაკეთა შორის. გია გორგაძეს წარმატებით უასპარეზია ლენინგრადის, მოსკოვის, დორტმუნდის, ბადენ-ბადენის, ბელგრადის და მრავალი სხვა ქვეყნების საჭადრაკო ტურნირებში. 2001 წელს ესპანეთის ქალაქ ვიგოში მოჭადრაკეთა მე-9 კატეგორიის ტურნირზე 10 მონაწილეს შორის გია გიორგაძემ პირველი ადგილი დაიკავა...

1990 წელს გია გიორგაძე მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა თავის სეკუნდანტად აიყვანა მსოფლიო პირველობისათვის მოსამზადებელ მატჩში. ბუნებრივია წლების მანძილზე პლანეტის რჩეული მოჭადრაკე კარგად იყო გათვითცნობიერებული მსოფლიოს საჭადრაკო ცხოვრების ყოველდღიურ წვრილმანშიც კი და არჩევანის გაკეთება ერთ-ერთ სეკუნდანტად ქუთაისელი მოჭადრაკის თაობაზე ხანგრძლივი დროის ფიქრის და განსჯის ნაყოფი იყო. მოგვიანებით მსოფლიო ჩემპიონი იტყვის, რომ ქართველმა დიდოსტატმა ღირსეული წვილილ შეიტანა მსოფლიო ჩემპიონის სახელის დაცვის საქმეში.

ქართველ მოჭადრაკეს საჭადრაკო ოლიმპიადაზეც არაერთხელ დაუცავს საქართველოს სპორტული ღირსება.

ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ 10 წლის წინათ მოხდა 32-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე. 1996 წლის სექტემბრის მეორე დეკადაში ერევანს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილე 74 ქვეყნის გუნდი ესტუმრა. საქართველოს 6 კაციანი გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო. ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, გენადი ზაიჩიკი, ლაშა ჯანჯღავა და ხვიჩა სუპატაშვილი. ქუთათურების საამაყოდ საქართველოს გუნდში ორი ჩვენი თანაქალაქელი გია გიორგაძე და ხვიჩა სუპატაშვილი ასპარეზობდნენ.

ოლიმპიადა შვეიცარული სისტემით 14 ტურად ჩატარდა. საქართველოს ნაკრები გუნდის შედეგი 33 ქულით მე-8 მოპოვებული ადგილი დებიუტანტისათვის არცთუ ისე ურიგო შედეგი იყო. რაც შეეხება მეორე დაფაზე მოასპარეზე გია გიორგაძეს მან 13 პარტიაში იასპარეზა. 6 მოიგო, 5 ფრედ დაამთავრა და მხოლოდ ერთ შეხვედრაში განიცადა დამარცხება. რაც მთავარია 8,5 ქულით თავის დაფაზე მესამე ადგილი და პირველი ოლიმპიური ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა ქართული სპორტის ისტორიაში.

მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზეც არაერთხელ დაუცავს საჭადრაკო ოლიმპიადებზე ქვეყნის სპორტული ღირსება.

რაც მთავარია, 2003 წელს, გია გიორგაძის რეიტინგი 2601-მდე ავიდა საქართველოს მოჭადრაკეთა საერთაშორისო რეიტინგებში, მეორე დიდოსტატი იყო ზურაბ აზმაიფარაშვილის შემდეგ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში თვალსაჩინოა ქუთაისელი მოსწავლე მოჭადრაკეების წარმატებები რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში. საკავშირო ახალგაზრდული თამაშები, საკავშირო ჩემპიონები ქალ და ვაჟ ახალგაზრდებს შორის, „თეთრი ეტლის“ პრიზის გათამაშება და სხვა. მაღალი დონის ტურნირები ქუთაისელი მოჭადრაკეების ერთგვარ საჯილდაო ქვად იქცა. პირველი მერცხალია ლეგენდარული მაია ჩიბურდანიძე, რომელმაც 1976 წელს მოიპოვა ოქროს მედალი. ჩვენი თანაქალაქელი სპორტის ოს-

ტატი თამილა მესხი სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონია გოგონათა შორის, ხოლო ამავე ტურნირებზე საპირზო ადგილები დაუკავებიათ ქუთაისელ გოგონებს გულნარა ბუცხრიკიძეს, მაია ჩიბურდანიძეს, სოფიკო ნიკოლაძეს, თეა ლანჩავას. სხვადასხვა წლებში გოგონათა საკავშირო ჩემპიონატებში რიონისპირა ქალაქიდან უასპარეზნიათ ირმა აბზიანიძეს, ეკატერინე ფახიროვას, თამილა მესხს, ი. ესებუას, ჰენრიეტა ლაგვილავას, ნათია წკეპლაძეს, ივეტა კურცხალიას და სხვებს.

რაც შეეხება სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა პირველობებს, 1969 წელს თამაზ გიორგაძემ ბათუმში გამართულ ქვეყნის უძლიერეს ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატზე ბრწყინვალედ იასპარეზა და 15 შესაძლებლობიდან 10,5 ქულით ოქროს მედალი მოიპოვა. სხვადასხვა წლებში აღნიშნულ ტურნირებში თამაზ გიორგაძის გარდა უასპარეზია გია გიორგაძეს და მაია ჩიბურდანიძეს.

საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში არაერთხელ უასპარეზია ქუთაისელ მოჭადრაკეებს ვ. აფრიდონიძეს, გია მენაბდეს, მაია ჩიბურდანიძეს, გია გიორგაძეს, ნუკრი მანაგაძეს, ხვიჩა სუპატაშვილს და სხვებს.

წლების მანძილზე საბჭოეთის დიდ ქვეყანაში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა პიონერთა რაზმეულების საკავშირო გუნდური პირველობა, რომელიც ცნობილი იყო „თეთრი ეტლის“ სახელწოდებით. ამ ტურნირს საფუძველი 1969 წელს ჩაეყარა. მისი თავისებურება ის იყო, რომ თითოეულ გუნდში ერთი სკოლის მე-3, მე-7 კლასელი ოთხი ბიჭი და ერთი გოგონა იყო. გოგონებს უფლება ჰქონდათ ვაჟთა დაფაზეც ეთამაშათ. სულ „თეთრი ეტლის“ პრიზი 22-ჯერ გათამაშდა და მასში 16-ჯერ მიიღეს მონაწილეობა ქუთაისელმა მოსწავლეებმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქუთათურები 16-ჯერ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები აღნიშნული პრიზის გათამაშებაში. პირველად იალტაში გამართულ „თეთრი ეტლის“ პრიზის გათამაშებაში ქუთაისის 31-ე საშუალო სკოლის შეგირდებმა მონაწილეობა 1971 წელს მიიღეს. მაშინ გუნდის შემადგენლობაში იყვნენ. გიორგი მენაბდე, პავლე მაღლაკელიძე, მერაბ ნიქაბაძე, სერგო გაბუნია და ნატო მჟავანაძე. სულ 5-ჯერ მიიღეს მონაწილეობა აღნიშნულ ტურნირზე აღნიშნული სკოლის შეგირდებმა და ყველაზე საუკეთესო მე-4 ადგილი 1976 წელს დაიკავეს. ამ ტურნირებში სკოლის სპორტული ღირსებას იცავდნენ: გიორგი დიასამიძე, ავთანდილ გაბუნია, თეიმურაზ დანგაძე, კობა შავგულიძე, ილია ლომინაძე, მურადი ხანთაძე, ზაზა ჟორჟოლიანი, თამილა მესხი, ზაზა ფხაკაძე, კობა კუხიანიძე, გელა ლომიძე, ზაალ ბუხრაშვილი, ჰენრიეტა ლაგვილავა. მწვრთნელები. გიორგი სერჟანოვი და თენგიზ ხარლამპიდი.

ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის ნორჩმა მოჭადრაკეებმა აღნიშნულ ტურნირზე პირველად ძალები 1977 წელს მოსინჯეს. მწვრთნელების ალექსანდრე რაზოვსკის და თენგიზ ხარლამპიდის შეგირდებმა თამილა მესხმა, კობა შავგულიძემ, კონსტანტინე რაზოვსკიმ, ელზა ანტონოვამ და ეკატერინე ფახიროვამ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. ერთი წლის შემდეგ მათ ერთი საფეხურით წინ წაიწიეს, გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: კობა შავგულიძე, ზაზა ლომინაძე, კონსტანტინე რაზოვსკი, ინგა ესებუა და ეკატერინე ფახიროვა. მწვრთნელები ისევ ალექსანდრე რაზოვსკი და თენგიზ ხარლამპიდი.

1979 წელს მე-15 საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა კვლავ ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. ამჟამად გუნდი შეცვლილი შემადგენლობით ასპარეზობდა.

სპორტის მოყვარულებმა დაფებთან პირველად იხილეს პაატა თუთურაშვილი, ავთანდილ თუთურაშვილი და ირმა აბზიანიძე.

1983 წლის საკავშირო გათამაშებაში ქუთაისის მე-15 სკოლელებმა კვლავ მე-3 ადგილი დაისაკუთრეს. ამჟამად გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ხვიჩა სუპატაშვილი, ბერდია ტურაბელიძე, ემზარ ჩოგოვაძე, ნინო ხარლამპიდი და სოფიკო ნიკოლაძე. გუნდს წვრთნიდნენ: თენგიზ ხარლამპიდი და ლამარა ჩიბურდანიძე.

ყველაზე დიდი წარმატება ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა 1988 წელს მიაღწიეს, როცა „თეთრი ეტლის" საკავშირო გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავეს. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: შოთა კუჭუხიძე, ალექსანდრე ყაშაშვილი, კახა ჟორჟოლიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, სოფიკო ნიკოლაძე, მწვრთნელი თენგიზ ხარლამპიდი. სხვადასხვა წლებში აღნიშნულ ტურნირებზე უასპარეზია ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეებს: თუთარაშვილს, ნუკრი მანაგაძეს, ემზარ ჩოგოვაძეს, გაგა ედიბერიძეს, ეკა გიორგაძეს, ქუთათელაძეს და სხვებს.

1985 წელს აღნიშნულ ტურნირზე ქუთაისის რკინიგზის 23-ე სკოლამ (თემურ მასხარაშვილი, შოთა კუჭუხიძე, ალექსანდრე გულოვი, კახა ჟორჟოლიანი და თეა ლანჩავა) მიიღო მონაწილეობა და მეათე ადგილი დაიკავა.

1972 წელს გაზეთი „ქუთაისი" წერდა: „ჩვენი ქალაქის 31-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. გველესიანი) დიდი ყურადღება ექცევა სპორტის სხვადასხვა სახეობათა განვითარების საქმეს. აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი სხვადასხვა სპორტული სექციების ნაყოფიერი მუშაობისათვის. ყოველივე ამის შემდეგ აღნიშნული სკოლის მოსწავლე სპორტსმენები დიდ წარმატებას აღწევენ არა მარტო საქალაქო შეჯიბრებაში, არამედ რესპუბლიკური მასშტაბის ასპარეზობებშიც. შესანიშნავი სპორტული მაჩვენებლები აქვთ სკოლის ნორჩ მოჭადრაკეებს, რომლებიც სამართლიანად ითვლებიან

უძლიერესად რესპუბლიკაში. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს მათი ამასწინდელი წარმატება „თეთრი ეტლის“ ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატთა პრიზზე, რომელიც ცხაკაიაში გაიმართა. ეს იყო პიონერული გუნდების საკავშირო პირველობის მესამე ეტაპი.

ამ საინტერესო ასპარეზობაში, რომელიც საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში ჩატარდა, მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთის, გორის, ცხაკაიას ნორჩი მოჭადრაკეები. ქუთაისის გუნდი მთლიანად 31-ე საშუალო სკოლის პიონერული რაზმეულის მოჭადრაკეებით იყო დაკომპლექტებული. ესენი არიან გ. მენაბდე, პ. მაღლაკელიძე, მ. ნიქაბაძე, ს. გაბუნია, ნ. მჟავანაძე. ქუთაისელმა სპორტსმენებმა თანმიმდევრულად დაამარცხეს თბილისის (4:0), ცხაკაიას (4:2), აჭარის (3,5:1,5), აფხაზეთის (4:1), გორის (5:0) გუნდები და 20,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქალაქის ნორჩმა მოჭადრაკეებმა 6 ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გამოსულ აჭარის კოლექტივს. მესამე ადგილი წილად ხვდა თბილისელ პიონერებს. გამარჯვებულ კოლექტივს გადაეცა თასი და ვიმპელი, ხოლო გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით. გუნდის ეს წარმატება განაპირობა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ნ. კორძაძის, მოჭადრაკეთა გუნდის მწვრთნელების დ. ჩირაძისა და თ. ხარლამპიდის ნაყოფიერმა და ბეჯითმა მუშაობამ. აღსანიშნავია, რომ 31-ე საშუალო სკოლის ნორჩმა მოჭადრაკეებმა ჯერ კიდევ გასულ წელს ისახელეს თავი რესპუბლიკურ შეჯიბრებაში, რომელიც ჩატარდა თბილისში. ამ დიდ ასპარეზობაში მათ დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი, რითაც თასი და სიგელი დაიმსახურეს. გასული წლის ოქტომბერში კი ისინი შესანიშნავად გამოვიდნენ არტეკში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში, სადაც პირველი ადგილი დაიკავეს. მშობლიურ სკოლას დაუბრუნდნენ საპატიო სიგელით, რომელსაც ხელს აწერს მსოფლიოს ექსჩემპიონი მ. ბოტვინიკი. ქუთაისელმა ნორჩმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს უფლება ითამაშონ საკავშირო პირველობის ფინალში, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში ჩატარდა ლატვიის ქალაქ ლიეპაიაში.

ამას წინათ 31-ე საშუალო სკოლის სააქტო დარბაზში მოეწყო პედაგოგიური კოლექტივისა და მოსწავლეების საზეიმო შეხვედრა ნორჩ მოჭადრაკე გუნდის წევრებთან. სკოლის დირექტორმა მ. გველესიანმა ნიჭიერ მოსწავლე სპორტსმენებს მიულოცა ესოდენ მაღალი წარმატება, ფასიანი საჩუქრები გადასცა მათ და უსურვა ახალი წარმატებანი სწავლასა და სპორტში.

იმ პერიოდში განათლების ბავშვთა კომპლექსურ სკოლასთან არსებული საჭადრაკო კაბინეტი ყველაფერს აკეთებდა ნორჩი მოჭადრაკეების აღზრდა-დაოსტატების საქმეში. აქ აღზრდილი მოჭადრაკეები წარმატებით ასპარეზობდნენ არა მარტო რესპუბლი-

კურ და საკავშირო ტურნირებზე, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ყოველწლიურად ყურადღების ცენტრში მოსწავლეთა საჭადრაკო საკვალიფიკაციო ტურნირები იყო. ნათქვამის საილუსტრაციოდ ისევ 1972 წლის გაზეთ „ქუთაისს“ მოვიშველიებთ: „საზაფხულო არდადეგების პერიოდში განათლების ბავშვთა კომპლექსში სპორტული სკოლის საჭადრაკო კაბინეტში ჩატარდა მოსწავლეთა საკვალიფიკაციო შეჯიბრება ჭადრაკში. მონაწილეები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში 13 შესაძლებლობიდან 10,3 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ვ. კალანდარიშვილმა (მე-12 სკოლა). 10 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა გ. თავდიდიშვილი (მე-19 სკოლა), ხოლო მესამე ადგილი 9 ქულით წილად ხვდა ე. ბურუაშვილს.“[1].

რა თქმა უნდა, ჭადრაკის თამაში ქუთაისელი ებრაელებისათვის არ იყო უცხო ხილი. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ომამდელი წლების ქუთაისელი ებრაელი მოჭადრაკეები. შემდეგ პერიოდში მოღვაწეობდნენ ოსტატობის კანდიდატები მიხეილ ხანიაშვილი, ალეკო თავდიდიშვილი, მერაბ და ლევან ელიკაშვილები. იოსებ ელიგულაშვილი იანიკ აგალაროვი, დავით ციციაშვილი და მრავალი სხვა...

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჩვენი თანაქალაქელი ონკოლოგი, დერმატოლოგი და ვენეროლოგი, აკადემიკოსი შალვა მარდახიაშვილი, რომელიც ამჟამად შვეიცარიაში ცხოვრობს და ფარმაცევტულ საწარმოთა ქსელის პატრონია. აქვს თავისი კლინიკები ბაზელში, ქაიროში იერუსალიმსა და პარიზში. ბატონი შალვა ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო და თავის დროზე ჭადრაკით დაავადა შვილები ლაურა და ჯიმი, შემდგომში ოსტატობის კანდიდატები და მრავალი საქალაქო, რესპუბლიკური თუ საქალაქთაშორისო ტურნირის მონაწილენი.

90-იან წლებში საქალაქო ტურნირებში წარმატებით ასპარეზობდნენ ირაკლი ხახანაშვილი, კახა სეფიაშვილი, მამუკა ჩიკვაშვილი, დათო გაგულაშვილი და სხვები.

საყურადღებოა, რომ 1988 წელს ბელორუსიის ქალაქ კობრინში ჩატარებულ მეოთხე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე — „კობრინი-88“ მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის, რუსეთი, უკრაინის, ბელორუსიის და საქართველოს ნორჩმა სპორტსმენებმა. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ქუთაისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორი (თ. ქიმუცაძე) აღსაზრდელები იცავდნენ.

ასეთ დიდ შეჯიბრებაში, სადაც ძლიერი კოლექტივები გამოდიოდნენ, ქუთაისელი ნორჩი მოჭადრაკეები პირველად მონაწილეობდნენ და უნდა ითქვას, რომ ეს დებიუტი წარმატებით დაგვირ-

---

[1] გაზეთი „ქუთაისი“, 1972 წელი, 26 აპრილი.

გვინდა, მწვრთნელები თავიდან მეხუთე-მეექვსე ადგილებს უგეგმავდნენ შეგირდებს, მაგრამ მათ საკმაოდ წარმატებით ითამაშეს და სულ 1,5 ქულით ჩამორჩნენ მეორე ადგილზე გასულ ქ. კობრინის გუნდს. პირველი ადგილი კი ბრესტის ნაკრებმა დაიკავა.

ქუთაისის გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მიხეილ ჩოგოვაძე (პირველი საშუალო სკოლა), დავით ჭარხალაშვილი, მაია ტუკვაძე (ორივე მე-12 საშუალო სკოლა), ზაქრო ინწკირველი, ეკა ბაკურაძე (ორივე მე-11 საშუალო სკოლა), არჩილ და ასმათ კვანტალიანები (მაღლაკის არასრული საშუალო სკოლა), კახი მაჩიტიძე (მეორე საშუალო სკოლა), ჯონი კინწურაშვილი (28-ე საშუალო სკოლა) და ირაკლი ხანანაშვილი (მე-9 საშუალო სკოლა). მათ ბრიჯაოს მედლები და მესამე ხარისხის დიპლომები გადაეცათ. თავიანთ დაფებზე მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს ზაქრო ინწკირველმა და ირაკლი ხახანაშვილმა.

გუნდი შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა ალექსანდრე რაზოვსკიმ და ლერი ესაძემ.

ცნობილი თბილისელი მოჭადრაკის, საერთაშორისო დიდოსტატის რომან ჯინჯიხაშვილის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი პლანეტის საჭადრაკო ცხოვრებაში. მას არაერთხელ გაუმარჯვნია სხვადასხვა რანგის მოჭადრაკეთა დიდ ტურნირებში.

1976 წელს საცხოვრებლად გადავიდა ისრაელში და 1978 წელს საერთაშორისო დიდოსტატის რანგში ისრაელის ჩემპიონობა მოიპოვა. ცოტა უფრო გვიან ბატონი რომანი საცხოვრებლად გადავიდა აშშ-ში და ასევე წარმატებით ასპარეზობდა ამ ქვეყნის ჩემპიონატებში. სხვადასხვა ტურნირებში ნიჭიერ მოჭადრაკეს დაუმარცხებია მსოფლიოს ჩემპიონები მიხეილ ბოტვინიკი, ვასილ სმისლოვი, ცნობილი დიდოსტატები ალექსანდრე ბელიავსკი, მარკ ტაიმანოვი და მრავალი სხვები. საყურადღებოა, რომ სახელოვანი მოჭადრაკე ქუთაისის ხშირი სტუმარი იყო, ქალაქში ხშირად მართავდა ერთდროული თამაშების სეანსებს და საინტერესო ლექციების ციკლს უკითხავდა ხალხმრავალ აუდიტორიას ჭადრაკზე.

ქუთაისელ მოჭადრაკეთაგან ყურადღებას იპყრობს ოსტატობის კანდიდატების ალექსანდრე ბლიუნგარდის, ალექსი ფიჩხაძის, იური რიჟინაშვილის და სხვათა სპორტული წარმატებანი. ალექსანდრე ბლიუნგარდი საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონია გუნდურ პაექრობაში. წლების მანძილზე ასევე წარმატებებს აღწევდნენ რესპუბლიკურ და საქალაქთაშორისო შეხვედრებში ალეკო ფიჩხაძე და იური რიჟინაშვილი.

ქების ღირსია უდაოდ მზარდი მოჭადრაკე ირაკლი ხახანაშვილი, ისიც ოსტატობის კანდიდატი იყო, როცა მშობლიური ქუთაისი დატოვა და როგორც გვითხრეს ნარმატებით ასპარეზობს როგორც ისრაელში, ასევე ქვეყნის გარეთაც.

ნორჩ მოჭადრაკეს პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეს ეკა ამიროვას არაერთ ტურნირში უსახელებია თავი. 1990 წელს უკრაინის ქალაქ კშეტოლოვკაში გამართულ მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეზა ქუთაისის მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ეკა ამიროვაც იყო. ტურნირში მოასპარეზე 20 კოლექტივს შორის ქუთაისლებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს ლატვიის ნაკრები გუნდის შემდეგ.

ამავე წლის სექტემბრის მესამე დეკადაში ეკა ამიროვამ და მისმა თანაგუნდელებმა პოლონეთის ქალაქ ბიადა-პოდლისკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ითამაშეს. მეხუთე დაფაზე მოასპარეზე ნიჭიერმა გოგონამ ცხრა შეხვედრაში 7 ქულა დააგროვა, რაც მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

სპორტის ოსტატი თამილა მესხი ქუთაისის საჭადრაკო სკოლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თენგიზ ხარლამპიდმა 1969 წელს 31 საშუალო სკოლის მესამე კლასის მოსწავლეში დიდი საჭადრაკო მონაცემები აღმოაჩინა, შემდეგ კი წლების მანძილზე აკვალიანებდა და აოსტატებდა ნიჭიერ შეგირდს. ჯერ კიდევ 1973 წელს მოსწავლეთა საჭადრაკო ტურნირზე, რომელიც ცნობილი იყო „თეთრი ეტლის" სახელწოდებით პირველად იასპარეზეს 31-ე სკოლის აღსაზრდელებმა. ამ სკოლის საჭადრაკო ტრადიციების შესახებ არაერთხელ ითქვა და მრავალჯერ დაიწერა. თუნდაც ის ფაქტი, რომ აღნიშნული სკოლის მოსწავლეებმა გამოცდილი მწვრთნელის თენგიზ ხარლამპიდის ხელმძღვანელობით „თეთრი ეტლის" პრიზის საკავშირო გათამაშებაში ხუთჯერ მიიღეს მონაწილეობა და პარალელურად ხუთჯერვე გახდნენ საქართველოს ჩემპიონები თავისთავად მეტყველებს სკოლის მდიდარ საჭადრაკო ტრადიციებზე. თამილა მესხმა სამჯერ მიიღო მონაწილეობა ამ დიდ ტურნირზე და შესაბამისად 31-ე სკოლამ მე-8, მე-4 და მე-3 ადგილები დაიკავა.

1976 წელს საკავშირო კატეგორიის მსაჯი რევაზ თავარიანი წერდა: „ამას წინათ დნეპროპეტროვსკში დამთავრდა პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების მერვე საკავშირო შეჯიბრების ფინალი, რომელშიც მონაწილეობდა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 7 ოსტატობის კანდიდატი. ლიდერობა თავიდანვე მესხმა იგდო ხელთ. ბოლო წუთის ნინ იგი შარშანდელ ჩემპიონს ოსტატობის კანდიდატ ი. არონოვას ნახევარი ქულით უსწრებდა. ჩემპიონობის ბედიც სწორედ ბოლო ტურნირს უნდა გადაეწყვიტა. სადაც ლიდერები ერთმანეთს ხვდებოდნენ. გადამწყვეტ პაექრობაში საყაიმო პრაქტიკამ მესხს გამარჯვების რეალური შანსი დააკარგვინა. კიეველმა არონოვამ შეინარჩუნა ჩემპიონობა, მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ვილნიუსელი ოსტატობის კანდიდატი ლ. ნასარავაიტე.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ა. როხლინმა ვერცხლის მედალი და მეორე ხარისხის მედალი გადასცა მესხს და მიულოცა ოსტატობის კანდიდატობა. ქუთაისელი ქალიშვილის წარმატება შემთხვევითი როდია. ივნისსა და ივლისში მან ორი დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმა. ჯერ დაუგავპილსში გამართულ პიონერ რაზმეულთა საკავშირო გუნდურ პირველობაზე, სადაც ჩემპიონთა სახელობის თასის „თეთრი ეტლის" გათამაშებაში, სადაც თავის დაფაზე პირველი ადგილი დაიკავა, შემდეგ კი ქ. ვოლგოგრადში „გამარჯვების" სახელობის თასზე გამართულ მესამე საკავშირო გუნდურ შეჯიბრებაში 7 პარტია მოიგო, ხოლო ორი ყაიმით დაამთავრა, რამაც პირველი ხარისხის დიპლომი და თასი მოუტანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კიდევ ერთი საიმედო მოჭადრაკე ეზრდება."[1]

რა თქმა უნდა, სახელოვანი მოჭადრაკის სპორტული მიღწევები ამით არ ამოიწურება, სსრ კავშირის გოგონათა საკავშირო ჩემპიონატებზე ზედიზედ ორჯერ 1979 და 1980 წლებში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის საპატიო წოდება მოიპოვა.

1980 წელს იუგოსლავიის ქალაქ სენატაში გამართულ გოგონათა ევროპის ჩემპიონატზე 15 მონაწილეს შორის ჩვენი ქალაქის წარგზავნილმა 14 შესაძლებლობიდან 10 ქულით საპატიო მესამე ადგილი დაიკავა. არც საქართველოს ჩემპიონატებში შეურცხვენია თავი ნიჭიერ ოსტატს. მართალია, მისი დებიუტი რესპუბლიკურ სარბიელზე 1978 წელს შედგა, მაგრამ, მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, საკმაოდ წარმატებით იასპარეზა და, ციური კობაიძესთან ერთად, 12 ქულით მე-4-მე-5 ადგილი გაიყო.

ერთი წლის შემდეგ, საქართველოს მორიგ ჩემპიონატზე, რომელსაც აბაშამ უმასპინძლა თამილა მესხის გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც 15 შესაძლებლობიდან 13 ქულა დააგროვა. 1981 წელს სენაკში გამართულ საქართველოს მორიგ 38-ე ჩემპიონატზე თამილა მესხი მეორე იყო.

წლების მანძილზე ნიჭიერ მოჭადრაკეს არაერთხელ უსახელებია თავი სხვადასხვა რანგის მოჭადრაკეთა ტურნირებში, როცა აქტიურ სპორტს ჩამოშორდა ძალები მწვრთნელის ამპლუაში სცადა და არცთუ უსაფუძვლოდ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში კიდევ ერთმა ნიჭიერმა ქუთაისელმა მოჭადრაკემ ვალერი გაფრინდაშვილმა მიიპყრო სპორტის მოყვარულთა ყურადღება. ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ, როცა ქუთაისის მესამე საშუალო სკოლის 12 წლის ქუთაისელმა მოსწავლემ უნგრეთის ქალაქ სომბათხითში ევროპის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა თავისი ასაკის მოჭადრაკეთა შორის ჭიათურე-

---

[1] გაზ. „ლელო", 1976 წელი, 28 აგვისტო.

ლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დიდი ქართველი პოეტის სეხნია-მოგვარეს ფუძე ჭიათურის რაიონის სოფელ მღვიმიდან მოდის. მე ამ ძვირფას სოფელშიც ვყოფილვარ, სადაც 300 კომლზე მეტი მხოლოდ გაფრინდაშვილები ცხოვრობენ და აქედან იყვნენ წარმოშობით დიდი ქართველი პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილის მამა ტერენტი გაფრინდაშვილი და მრავალი სხვა სახელოვანი ადამიანები.

უნგრეთში გამარჯვება რომ შემთხვევითი არ იყო ვალერი გაფრინდაშვილმა მომდევნო წელსაც დაადასტურა, როცა რუმინეთში ჩატარებულ ევროპის 1994 წლის ჩემპიონატზე კვლავ ოქროს მედალი დაისაკუთრა იმავე ასაკის მოსწავლეთა შორის ნუ დაგვავიწყდება, რომ აღნიშნულ ჩემპიონატზე ჩვენს თანაქალაქელს ისეთი ძლიერი მეტოქეების დამარცხება უწევდა, როგორებიც იყვნენ: რუსები, მანკევიჩი, ფედორჩუკი, ფრანგი ბაკრო, ესპანელი ვალერიო და სხვები.

1995 წელს შორეულ ბრაზილიაში გამართულ 14 წლის ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატზე კვლავ წარმატებით იასპარეზა ვალერი გაფრინდაშვილმა. ბუნებრივია ძნელი იყო 60 ქვეყნის წარმომადგენელთა ჭიდილში ოქროს მედლის მოპოვება, მაგრამ საქართველოს წარგზავნილმა ბრწყინვალე სტილში იასპარეზა და 14 შეხვედრაში 13 მეტოქე დაამარცხა და მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრა ყაიმით. შეჯიბრის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ვალერის ულოცავდნენ გამარჯვებას, როცა მომავალმა ჩემპიონმა ორი ესპანელი მოჭადრაკე დაამარცხა, უკრაინის ნაკრები გუნდის ერთ-ერთმა მწვრთნელმა უთხრა: „ყოჩაღ ვალერი, მართლაც გმირობა ჩაიდინე, ესპანეთის გუნდის მწვრთნელმა შენი წინა ნათამაშები პარტიები კომპიუტერში ჩადო და თავის შეგირდებს შენი ძლიერი და სუსტი ადგილები გაშიფრა. შენ კი კომპიუტერსაც სძლიე"

მაშინ გაზეთ „ქუთაისში" პატარა წერილიც ვუძღვენი, რომელიც აქვე მოგვყავს მთლიანად: „ჩვენი ქვეყნის სპორტულ სამყაროს დიდი ზეიმი აქვს, ასრულდა ნანატრი ოცნება — მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპზე ვიხილეთ ქართველი კაცი. უფრო სწორად 14 წლის ახალგაზრდა, რომელიც პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკეა თავის თანატოლებში, თანაც გვარად გაფრინდაშვილია, სახელად ვალერი.

12 წლის ასაკის მოჭადრაკეებიდან ევროპის ორგზის ჩემპიონმა თავიდანვე მიიპყრო სპეციალისტების ყურადღება და ნუ გაგიკვირდებათ თუ თვით ჭადრაკის დიდოსტატი და თეორეტიკოსი ლევ პოლუგავსკიც კი დაინტერესდა ვალერი გაფრინდაშვილის ნიჭით. რა თქმა უნდა, ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება არ არის იოლი საქმე. უფრო მეტიც, უცხოეთში ასეთი რანგის ლაურეატებს ძეგლებსაც კი უდგამენ და თავიანთი ცხოვრება ყოველმხრივ უზრუნველყოფილი აქვთ.

ჩვენი თანაქალაქელი ყმაწვილი კი თანატოლებისაგან მხოლოდ ერთით გამოირჩევა, ქალაქის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლე გამოცდებს ექსტერნად აბარებს, სხვათა შორის ძალიან იოლად და ფრიადის გარდა სხვა შეფასება არ იცის.

ვალერი ცნობილ დიდოსტატს ნანა ალექსანდრიას ეთამაშებოდა. შუა თამაშში ჭაბუკმა პოზიციური უპირატესობა მიიღო და სახელოვანი დიდოსტატი დილემის წინაშე აღმოჩნდა. მაშინ ნანას ღიმილნარევი იუმორით უთქვამს: „რა არის ხატზე ხომ არ ვარ გადაცემული, რომ ეს გაფრინდაშვილები ვერ ჩამოვიშორე გზიდანო“.

საოცარი და საინტერესო ის არის, რომ ჭადრაკის ამომავალ ვარსკვლავს ყოველი ჩემპიონატის სტარტზე ფავორიტებთან უხდება პაექრობა და იმდენად ძლიერად ეთამაშება, რომ ჩემპიონატების დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე უზრუნველყოფილი აქვს პირველი ადგილი. ასე იყო ბრაზილიაშიც, სადაც 11 მოჭადრაკესთან პაექრობაში ზედიზედ 8 ქულა დააგროვა, ხოლო როცა მსოფლიოს ჩემპიონობის მედალი თითქმის განაღდებული ჰქონდა ბოლო სამი შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

ერთი სიტყვით, ჩვენი თანაქალაქელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა შეხვედრას საკუთარი სცენარით წარმართავს, როცა ბრაზილიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ვალერიმ ორი ესპანელი მოჭადრაკე დაამარცხა, უკრაინელმა მწვრთნელმა ქებით მოიხსენია ჩვენი თანაქალაქელი. თურმე ნუ იტყვით და კომპიუტერის საშუალებით ესპანელებს არჩეული ჰქონდათ ქართველი მოჭადრაკის წინა ტურების პარტიები. გაანალიზებული იყო მისი სუსტი და ძლიერი მხარეებიც, მაგრამ ვალერიმ კომპიუტერიც დაჯაბნა.

რა თქმა უნდა, მე წარმატებებს მოველი ვალერისაგან და მჯერა, რომ ასე იქნება. მაგრამ არის მტკივნეული საკითხი — ფინანსები, ამ მხრივ ახალ მსოფლიო ჩემპიონს ნამდვილად ესაჭიროება ქუთათურების თანადგომა და მხარდაჭერა.

დღეს საქართველოს ნაკრები გუნდის წევრს დიდოსტატ ვალერი გაფრინდაშვილს წინ დიდი საჭადრაკო ბატალიები ელის. მასზე საუბარი კი ჩემი ექსპრომტით მინდა დავამთავრო.

ევროპის ორგზის ჩემპიონს
მსოფლიოს ოქრო გამშვენებს,
ქუთაისს შენი სახელი
შენი დიდება ამშვენებს.

უშელავათო ბრძოლებში
იმარჯვე გახდი პირველი,
შენ დიდი გვარის გენი ხარ,
რა არის გასაკვირველი.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რამდენიმე წლის პატარა სოფიკო ტყეშელაშვილი ჭადრაკის ფიგურებით დააინტერესა დეიდამ, ქალბატონმა ლია შანიძემ, რომელიც ღრმად იყო ჩახედული საჭადრაკო ხელოვნებაში.

შემდეგ კი ყველაფერი კინემატოგრაფიული სისწრაფით წარიმართა. ბავშვი დედოფალასთან და სხვა სათამაშოებთან თამაშს მცირე დროს უთმობდა. ხოლო ჭადრაკის ფიგურებთან კი საათობით იჯდა და ფიქრობდა. ბავშვის ასეთი საჭადრაკო ინტერესი თავდაპირველად დედამ ქალბატონმა შორენა შანიძემ შეამჩნია და ნორჩი შეგირდი ახალგაზრდა მწვრთნელს ლერი ესაძეს მიუყვანა. გაგიკვირდებათ, მაგრამ ფაქტია, 6 წლის ასაკში ჯერ კიდევ საბავშვო ბაღის აღსაზრდელმა, პატარა სოფიკომ პირველი თანრიგის ნორმა შეასრულა. 8 წლის ასაკში იგი საქართველოს ჩემპიონი გახდა. მასზე 4 წლით უფროსი 12 წლის ასაკის მოჭადრაკე გოგონათა შორის. წლების მანძილზე მწვრთნელები თენგიზ ხარლამპიდი, ეკატერინე ფახიროვა და საშა რაზოვსკი ყველაფერს აკეთებდნენ ნორჩი მოჭადრაკის დაოსტატებისათვის.

ბუნებრივია სისტემატურმა წვრთნამ, ხალას ნიჭთან ერთად, თავისი ნაყოფი გამოიღო. 1989 წელს სოფიკომ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა 10 წლამდე ასკის ნორჩ მოჭადრაკეთა შორის. ეს დიდი წარმატება რომ შემთხვევითი არ იყო, სოფიკომ 1991 წელსაც დაადასტურა, რომ 12 წლის ასაკამდე მოჭადრაკე გოგონათა შორის კვლავ ოქროს მედალს დაეპატრონა. რაც მთავარია, ამ გამარჯვებით ქუთაისელმა საოცრებამ ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ცოტა უფრო გვიან რუმინეთის ქალაქმა მამაიამ უმასპინძლა ჩვენი კონტინენტის უძლიერეს 12 წლამდე ასაკის გოგონათა ასპარეზობას. სოფიკოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ შეუშინდა ძლიერ მეტოქეებთან ასპარეზობას და დაძაბულ ორთაბრძოლებში ღირსეულად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი. იმავე წელს ჩვენმა თანაქალაქელმა ასევე წარმატებით იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატზე და ვერცხლის მედალს შეწვდა. მართალია, მსოფლიო ჩემპიონს სოფიკომ ფარხმალი დააყრევინა, მაგრამ მოულოდნელად დამარცხდა ვიეტნამელ გოგონასთან პაექრობაში, რაც ოქროს მედლის დაკარგვის ფასად დაუჯდა.

1993 წლის ზაფხულიდან სოფიკოს ჰყავს ახალი მწვრთნელი ცნობილი მოჭადრაკე ხვიჩა სუპატაშვილი, რომელსაც სპორტის გულშემატკივრების წინაშე წარდგენა არ სჭირდება.

ჩვენ შეგნებულად არ ვახსენებთ სოფიკოს წარმატებათა მთელს სერიალს სხვადასხვა რანგის რესპუბლიკურ ტურნირებში, რომელთა ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. ერთი კი ცხადია, ნორჩი მოჭადრაკე თავისთავად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს ნებისმიერი ტურნირის მონაწილეებისათვის. ასე იყო 1993 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა და ჩემპიონატის მასპინძლების — ჩეხეთისა და სლოვაკეთის პრესა აალაპარაკა. მართალია, ბრატისლავაში პირველი ადგილი ინგლისელმა გოგონამ დაიკავა, მაგრამ შეჯიბრება შვეიცარული სისტემით წარიმართა და სოფიკოს უბრალოდ საშუალება არ მიეცა, მსოფლიო ჩემპიონს შეხვედროდა.

ნორჩი მოჭადრაკის 1993 წლის ასპარეზობის ბოლო აკორდი გახდათ ევროპის ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში, რაც ესოდენ პოპულარულია დღეს ჩვენს პლანეტაზე. ჩემპიონატი, რომელსაც საფრანგეთმა უმასპინძლა, შვეიცარული სისტემით ჩატარდა. გაიმარჯვა ბულგარელმა სტეფანოვამ, ხოლო სოფიკო მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ჩვენი თანაქალაქელი ტურნირის ორგანიზატორებმა სპეციალური ვერცხლის თასით დააჯილდოვეს.

ამ დღეებში სახელოვანი მოჭადრაკე ქალაქის სპორტულ მუზეუმს ეწვია. მართალია, სოფიკო სიტყვაძუნწი გამოდგა და საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარს, მაგრამ ქალბატონმა შორენამ ბევრი რამ გვიამბო ქალიშვილის სპორტული ცხოვრებიდან.

ტყეშელაშვილების ოჯახი დიდად მადლიერია ქალაქის მერიის თავკაცებისა, რომლებმაც საფრანგეთში წასასვლელი ხარჯები გაიღეს. ასევე მადლობის მეტი რა გვეთქმის ფირმა „კაქტუსის“ (პრეზიდეტნი დიდი სტურუა) მიმართ, რომელიც ფინანსურ დახმარებას უწევს ნორჩ მოჭადრაკეებს.[1]

ქართული საჭადრაკო სკოლის საქვეყნოდ აღიარება და მისი დიდი ავტორიტეტი ჩვენს პლანეტაზე საყოველთაოდაა ცნობილი. რა თქმა უნდა სახელოვანი დიდოსტატების ნონასა და მაიას მსოფლიო ჩემპიონობის ათივე გვირგვინი ქართული სპორტის სისხლსავსე ცხოვრების ნათელი, გაუხუნებელი ფურცლებია, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

რაც მთავარია, მოდის ნიჭიერი თაობა ახალგაზრდებისა, რომლებიც მოკლე დროში ღირსეული მემკვიდრეები იქნებიან სახელოვანი წინაპრებისა და უშეღავათო ბრძოლებში გაიკვლევენ გზას მსოფლიოს ჩემპიონობისაკენ.

---

[1] გაზ. „ქუთაისი“, 1995 წელი, 14 ნოემბერი.

ამჟამად საუბარი გვიხდება ნათია აფხაიძეზე, რომელთა სტაბილური წარმატებები სხვადასხვა რანგის საჭადრაკო ტურნირებში კარგად არის ცნობილი და რაც მთავარია ჩვენს სასიქადულო ქალიშვილს მაღალი წონა აქვს საერთაშორისო სარბიელზეც.

17 წლის ნათია აფხაიძემ საოცრად სწრაფად განვლო გზა რესპუბლიკის ჩემპიონობიდან მსოფლიო ჩემპიონობამდე 16 წლის ასაკის გოგონათა შორის. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ დიდ მიღწევას თავისებურ ფონს უქმნიდა გამარჯვებათა სერიალი რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა შორის. სასახელო წარმატებები რომ შემთხვევითი არ იყო, ნიჭიერმა მოჭადრაკემ კვლავ დაადასტურა ახლახან ბრაზილიაში ჩატარებულ გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატზე. ტურნირში, რომელიც შვეიცარული სისტემით ჩატარდა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის 37 მოჭადრაკე იბრძოდა საპრიზო ადგილებისათვის. გამარჯვებული რუმინელი დიდოსტატი კორინა ჰეპტანი გამოვიდა. მეორე ადგილი წილად ხვდა ნიკოლაი დაკოშს, ხოლო ჩვენმა თანაქალაქელმა ნათია აფხაიძემ მკერდი ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა.

სევდანარევი ღიმილთ გვიამბო ნიჭიერმა გოგონამ, რომ მოულოდნელად საყაიმო პოზიციაში წააგო გამარჯვებულთან და, შეიძლება ითქვას, თვალსა და ხელს შუა დაკარგა ოქროს მედალი.

ტურნირის სიძლიერეზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მასში ასპარეზობდა 4 საერთაშორისო და 5 ფიდეს ოსტატი.

ბრაზილიის ქალაქ გუარა-პუაში პარალელურად გაიმართა 16 წლის ასაკის ნორჩ მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი გოგონათა შორის, რომელიც შვეიცარული სისტემით ჩატარდა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 48 მონაწილე იბრძოდა საპრიზო ადგილებისათვის.

რა თქმა უნდა, ასეთი მაღალი რანგის ტურნირებში ბრძოლები ყოველთვის დაძაბული და საინტერესოა და შვეიცარული ტურნირის ერთი თავისებურებაც ისაა, რომ ყოველ ტურნირში ლიდერები ერთმანეთს ხვდებოდა. ასე რომ, სოფიკოს ბრძოლები ტიტულოვან მოჭადრაკეებთან უხდებოდა. ტურნირი სოხუმელი რუსუდან გოლეთიანის გამარჯვებით დამთავრდა, რაც გასაგები მიზეზების გამო ორმაგად სასიხარულოა, მეორე ადგილი სოფიკომ დაიკავა, ხოლო ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა რუმინელ სიდონია ვაიდას.

საქართველოს მრავალაგზის ჩემპიონს, ყოფილი სსრ კავშირის ჩემპიონს 12,14 და 16 წლის ასაკის გოგონათა შორის, ევროპის 1991 წლის ჩემპიონს და მსოფლიოს სამგზის ვიცეჩემპიონს ახალგაზრდებს შორის, საკმაო დიდი წონა აქვს საჭადრაკო სამყაროში. ისიც ნუ გაგიკვირდებათ თუ ნებისმიერ ტურნირზე სოფიკო მხოლოდ ოქ-

როს უმიზნებს და ბუნებრივია, ყოველივე ეს დიდ ძალისხმევას და ვნებათა ღელვას მოითხოვს.

ჩვენ საუბარი გვქონდა ნიჭიერი მოჭადრაკის მწვრთნელთან გია მენაბდესთან. რა თქმა უნდა, მწვრთნელი კმაყოფილია შეგირდების მიღწევებით, მაგრამ კარგად იცის და ღრად სწამს, რომ მის აღსაზრდელებს კიდევ მეტის გაკეთება შეუძლიათ. თუმცა, როცა ნათიას ნათამაშებ პარტიებს გადაავლო თვალი, დარწმუნდა რომ აუცილებელია მოსწავლეებს მწვრთნელი თან უნდა ახლდეს ნებისმიერ შეჯიბრებაზე.

გოგონა აღფრთოვანებულია ბრაზილიელების დიდი ინტერესით ჭადრაკისადმი და გულთბილი მასპინძლობით. ყოველ ტურს ზღვა ხალხი ესწრებოდა და რაც მთავარია ჩვენმა სახელოვანმა თანაქალაქელმა მრავალი თანატოლი მეგობარი შეიძინა.

ნათია აფხაიძე აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული ენების (გერმანული) ფაკულტეტის სტუდენტია და ვთხოვთ სასწავლებლის თავკაცებს ღირსეული ყურადღება მიაპყრონ ქართული ჭადრაკის მშვენებას.

სოფიკო ტყეშელაშვილი ქუთაისის სპორტული ლიცეუმის (დირექტორი თამაზ ჭაბუკიანი) მოსწავლეა და მწვრთნელთან ერთად დიდ მადლობას უხდის ლიცეუმის პედკოლექტივს.

ასევე მადლიერების გრძნობით მოვიხსენიებთ ელექრომექანიკური ქარხნის სპორტკლუბ „იმერეთის“ ხელმძღვანელობას. მოჭადრაკეებისათვის დარბაზის გამოყოფისა და წვრთნისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის.

სახელოვანი გოგონები კვლავ გაგვახარებენ ახალი წარმატებებით. — ვწერდი 1995 წლის 31 დეკემბერს გაზეთ „ახალ ქუთაისში“.

წლების მანძილზე წარმატებებით გვახარებდა საერთაშორისო ოსტატი სოფიკო ნიკოლაძე. საქართველოს არაერთგზის ჩემპიონს წარმატებებით უასპარეზია საერთაშორისო ტურნირებში. ოთხი შვილის დედა დღესაც აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის საჭადრაკო ცხოვრებაში.

გასაოცარი ამბები ხდება ჩვენი ქალაქის საჭადრაკო ცხოვრებაში, შეიძლება თამამად ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში მოვიდა სახელოვანი მოჭადრაკეების ნიჭიერი თაობა, რომლებმაც თავისი სიტყვა თქვა მსოფლიოს სპორტულ სარბიელზე. ერთ-ერთი მათგანია ინგა ჭარხალაშვილი, რომელიც 7 წლიდან დიდი რუდუნებით ეუფლება ამ ბრძნულ თამაშს.

ჯერ კიდევ პირველი კლასის მოსწავლე იყო, როცა ნუგზარ ჭანტურიძემ თავის სანვრთნელ ჯგუფში მიიწვია და ორი წელი მისი მწვრთნელი იყო, შემდეგ მოჭადრაკე საშა რაზოვსკის ხელმძღვანელობით ოსტატდებოდა, ხოლო ბოლო ორი წელიწადია, რაც ნიჭიერი მწვრთნელი გია მენაბდე ავარჯიშებს.

შთამბეჭდავია მოჭადრაკის სპორტული შედეგები: არის საქართველოს ორგზის ჩემპიონი 10 და 12 წლის გოგონათა შორის, 1998 წლის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ხოლო წლეულს მსოფლიო ჩემპიონატზე 12 წლის ასაკის გოგონათა შორის ინგამ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. სულ ახლახან იმერეთის მხარის მოჭადრაკეთა ჩემპიონატი მოიგო.

რა თქმა უნდა, ძნელია ამ ასაკში, როცა მოჭადრაკის საბრძოლო ხასიათი და ფსიქიკა ყალიბდება, 12 წლის ბავშვს მაღალი საჭადრაკო ხელოვნება მოსთხოვო. ეს ყველაფერი მომავლის საქმეა. მანამდე პატარა ინგა თავის ასაკთან შედარებით ჭადრაკს უფრო სერიოზულად და ჩაფიქრებული დაჰყურებს.

ჩვენთან საუბარში ინგას დედამ ქალბატონმა ლია კვიტაშვილმა აღნიშნა, რომ ინგა დღეში ხანდახან 4-5 საათი უზის ჭადრაკის დაფას. მოულოდნელი იყო ინგას გამოჩენა დიდ საჭადრაკო არენაზე. 1991 წელს ინგა და დედამისი ქალბატონი ლია კვიტაშვილი თბილისში იყვნენ და ჭადრაკის სასახლეში შემთხვევით დაესწრნენ საქართველოს ღია ჩემპიონატს, რომელშიც ნებისმიერი ასაკის ქალი თუ კაცი მონაწილეობდა. ტურნირში ინგაც ჩაება. პირველ ტურში მისი მეტოქე ქუთაისელი ცნობილი მოჭადრაკე შოთა კუჭუხიძე იყო. 8 წლის ბავშვმა საგონებელში ჩააგდო საქართველოს ჩემპიონი, აღნიშნულ პარტიას თვალყურს ადევნებდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სულიკო მეგრელიშვილი, რომელიც დღესაც თამამად ამბობს, ინგა ჭარხალაშვილი ჩემი აღმოჩენაა.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ 12 წლის ბავშვს დიდი საჭადრაკო გამოცდილება აქვს. ხუთჯერ იასპარეზა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე.

საბედნიეროდ, ინგა ჭარხალაშვილი ჩვეული ენთუზიაზმით განაგრძობს ნვრთნას გია მენაბდის ხელმძღვანელობით. ბავშვი დიდი სიყვარულით აღნიშნავს იმ დიდ თანადგომას და მხარდაჭერას, რასაც განიცდის 22-ე საშუალო სკოლის დირექტორის, ქალბატონ ნუნუ ქათამაძისა და პედკოლექტივისაგან.

დარწმუნებული ვარ ინგა მრავალჯერ ასახელებს თავის სკოლას, თანატოლებსა და მშობლიურ ქალაქს.

ქართული საჭადრაკო სკოლის მშვენება, საერთაშორისო დიდოსტატი 16 წლის ნანა ძაგნიძე ღირსეულად აგრძელებს იმ მდიდარ საჭადრაკო ტრადიციებს, რომელსაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაეყარა რიონისპირა ქალაქში.

1999 წელს გაზეთი „ქუთაისი“ წერდა: „სასიხარულო და სასიამოვნო ინფორმაცია მივიღეთ ესპანეთის ქალაქ ოროპესა დელ მარშიდან, სადაც 1999 წლის 24 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე მიმდინა-

[1] გაზ. „ქუთაისი“, 1996 წელი, 4 იანვარი.

რეობდა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: 10,12,14,16 და 18 წლამდე ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა შორის, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ტურნირი ჩატარდა შვეიცარული სისტემით 11 ტურად. ჩვენმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს ორი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი. 12 წლის ასაკის გოგონათა შეჯიბრებაში ბრწყინვალედ იასპარეზა და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა ჩვენმა თანაქალაქელმა, ნიჭიერმა გოგონამ ნანა ძაგნიძემ, რომლის მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გოგი მაჭარაშვილი. ნანა ქუთაისის 25-ე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-7ᵃ კლასის მოსწავლეა, რომელიც ჭადრაკის თამაშს მამის სურვილით 4 წლინახევრიდან პირველად ეზიარა ქუთაისის ბალახვნის სპორტულ კომპლექსურ სკოლაში, რომლის დირექტორია ბატონი თემური ქიმუცაძე. ნანას ჭადრაკის თამაში ასწავლა ოსტატობის კანდიდატმა ხათუნა გუბელაძემ, ხოლო შემდეგ მისი ოფიციალური მწვრთნელები იყვნენ: ლერი ესაძე, ნონა ჭოფხაძე და გია მენაბდე.

ჩემპიონატში ნანამ 11 პარტიიდან 9 მოიგო და 2 ყაიმით დაამთავრა. რისთვისაც მას გადაეცა ოქროს მედალი.

მანამდე ნანა ძაგნიძე სექტემბრის თვეში საბერძნეთის ქალაქ ლიტოჰოროში თანატოლთა შორის გახდა ევროპის ჩემპიონი, ცნობისათვის ის 1997 წელს 10 წლამდე ასაკში გახდა ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი".[1]

1992 წლის მიწურულს საბერძნეთში კუნძულ კრეტაზე გამართულ მსოფლიო ჩემპიონტაზე ჭადრაკში 10-დან 18 წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა შორის სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იყო. ასპარეზობაში საქართველოდან 9 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის ქუთაისიდან 4-დან 16 წლამდე ასაკში ასპარეზობდა ნანა ძაგნიძე. საქართველოს ეკროპის და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი სხვადასხვა ასაკში, საერთაშორისო სპორტის ოსტატის მწვრთნელები იყვნენ გია მენაბდე და გიორგი მაჭარაშვილი.

12 წლამდე ასაკში მონაწილეობდა საქართველოს ორგზის ჩემპიონი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი თანატოლებს შორის დავით ბენიძე (მწვრთნელი გია მენაბდე) და ცნობილი მწვრთნელის ხათუნა გუბელაძის ორი შეგირდი საქართველოს ვიცე-ჩემპიონი 10 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის ბექა ნემსაძე და ნიჭიერი მოჭადრაკე გიორგი მელიავა, ტურნირის ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მასში 82 ქვეყნის 860 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

16 წლამდე ასაკში გოგონათა შორის 70 სპორტსმენი მიუჯდა საჭადრაკო დაფას ჩინებულად იასპარეზა ნანა ძაგნიძემ. 11 პარტიი-

---

[1] გაზ. „ახალი ქუთაისი", 1998 წ. 23 ნოემბერი.

დან 8 მოიგო, ორი ყაიმით დაამთავრა, ერთი წააგო და პირველი მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ კოეფიციენტით მეორე ადგილი ხვდა წილად და ვერცხლის მედალი გადაეცა. რაც მთავარია, ნიჭიერი მოჭადრაკე სტაბილურობით გამოირჩევა, 16 წლის ასაკში რესპუბლიკურ, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მის მიერ მოპოვებული ორი ოქროს, სამი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი ნათლად მეტყველებს მის დიდ საჭადრაკო მონაცემებზე.

საერთაშორისო ოსტატმა ნანა ძაგნიძემ არც 2003 წელს უღალატა ტრადიციას და წარმატებით იასპარეზა აზერბაიჯანის ქალაქ ნახჭევანში 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატზე. აზერბაიჯანს საასპარეზოდ 28 ქალი და 50 ვაჟი ესტუმრა, მათ შორის 4 საქართველოს წარმომადგენელი იყო.

წარმატებით იასპარეზა ნანა ძაგნიძემ, რომელმაც ზედიზედ 7 მეტოქეს სძლია. ბოლო ოთხ ტურში კი სამი პარტია ყაიმით დაამთავრა, ერთში გაიმარჯვა და 9,5 ქულით ოქროს მედალი დაიმსახურა. ქართული საჭადრაკო სკოლის მშვენებას ტიტულები და სპორტული ჯილდოები არ აკლია, უბრალოდ, მკითხველს შევახსენებთ, რომ ნანა ძაგნიძე ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონია სხვადასხვა ასაკში, ორ-ორჯერ მსოფლიოს და ევროპის პირველობებზეც უმარჯვნია, ამდენჯერვე ფლობდა ვერცხლის მედალს, ნუ დაგვავიწყდება, რომ 2002 წლის 20 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ხოლო დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჭაბუკთა საერთაშორისო სპორტულ თამაშებზე გამარჯვებული გამოვიდა, თბილისის „ნტნ“-ის შემადგენლობაში ევროპის ქალთა საკლუბო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

განსაკუთრებულ წარმატებებს ნანამ წლეულს მიაღწია. 18 და 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე ყველას აჯობა. შემდეგ ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში მოიპოვა ოქროს მედალი, ორჯერ იყო საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი, ამჟამად ნანა ძაგნიძე ქუთაისის სპორტული ლიცეუმის მე-11 კლასში სწავლობს და ემზადება მომავალი წლისათვის 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებამდ.

2003 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში სასიხარულო ცნობა მოვიდა ნიგერიის ქალაქ აბუაშიდან, სადაც გამართულ ფიდეს მიერ საერთაშორისო ჭადრაკის სხდომაზე გადაწყდა, რომ ნანა ძაგნიძისათვის მიენიჭებინათ საერთაშორისო დიდოსტატის საპატიო წოდება.

მსოფლიო ჩემპიონს 18 და 20 წლის გოგონათა შორის წინ ახალი სპორტული ორთაბრძოლები ელის. რაც მთავარია, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული გუნდის წევრს ღრმად სწამს ნათელი მომავლისა.

წლების მანძილზე ქუთაისელი ლამაზი სქესის წარმომადგენლები სისტემატურად მონაწილეობდნენ მოჭადრაკეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატებში და საკმაოდ წარმატებითაც. მათ არაერთხელ მოუპოვებიათ ჩემპიონობა და დაუკავებიათ საპრიზო ადგილები. სხვადასხვა წლებში ქუთაისიდან საქართველოს ჩემპიონატებში უასპარეზიათ მ. ტერ-აბრამოვას, ლ. ძოძუაშვილს, ნ. ნანოიშვილს, ლ. ნანიკაშვილს, გ. ბუცხრიკიძეს, გ. ბებიავას, ს. გედენიძეს, დ. სვანიძეს, ე. ლომიძეს, მ. ჩიბურდანიძეს, თ. ყიფიანს, მ. კლიმჩუკს, ნ. მჟავანაძეს, მ. ჭირაქაძეს, მ. ხანთაძეს, თ. მესხს, ლ. ფაჩუაშვილს, ი. აბზიანიძეს, ე. ფახიროვას, ი. ესებუას, ნ. ჭოფხოძეს, მუსერიძეს, ი. კურცხალიას, ი. ამბროლაძეს, მ. ცხვედიანს, ჰ. ლაგვილავას, ნ. წკეპლაძეს, ნ. გაბაძეს, ნ. ხარლამპიდს, ს. ნიკოლაძეს, ი. ნაროუშვილს, ი. თუთბერიძეს, თ. ლანჩავას, ნ. აფხაიძეს და სხვებს. საქართველოს ჩემპიონატებში ასპარეზობა არც ქუთაისელი ვაჟ მოჭადრაკეებისათვის იყო უცხო ხილი. არაერთხელ უმარჯვნიათ თამაზ და გია გიორგაძეებს, შოთა კუჭუხიძეს, კ. შალამბერიძეს, თ. ხანთაძეს და სხვებს. არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა ქვეყნის ჩემპიონატებში ცნობილ ქუთაისელ მოჭადრაკეებს ლ. ზაიჩიკს, დ. ჩირაძეს, გ. ბუცხრიკიძეს, გ. კირკიტაძეს, ო. ტაბიძეს, გ. სერჟანოვს, შალამბერიძეს, ე. აფრიდონიძეს, ხეცურიანს, გ. მენაბდეს, ნ. მანაგაძეს, ხ. სუპატაშვილს და სხვებს.

მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო დღეს ემიგრანტი მოჭადრაკეები: ეკატერინე ფახიროვა, ჰენრიეტა ლაგვილავა, თამილა მესხი, თეა ლანჩავა, ნათია აფხაიძე, ინგა ხურცილავა, ნიკოლოზ მანაგაძე, ბესარიონ ხეცურიანი, თენგიზ ხარლამპიდი, საშა რაზოვსკი.

უკანასკნელ წლებში ქუთაისსა და მთელს იმერეთში აშკარად იგრძნობა დიდი საჭადრაკო ბუმი, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის შესაშურ მუშაობასთან, რომელსაც სათავეში უდგანან პრეზიდენტი, ცნობილი დიდოსტატი გია გიორგაძე და იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი საჭადრაკო კლუბ „მაიას" დირექტორი ალექსანდრე არსენიძე. ამ დაუღალავი დუეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რიონისპირა ქალაქში ათეული წლების მანძილზე ე.წ. პრივილეგირებულ სპორტის სახეობებს ფეხბურთს, კალათბურთს, კრივს, ჭიდაობის ყველა სახეს ჭადრაკი გაუთანაბრეს.

ქუთაისის მერის პრესტიჟულ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში და დღესაც, ყურადღებას და დახმარებას არ აკლებს პრეზიდენტი მის საყვარელ სპორტის სახეს და გვჯერა, რომ მომავალშიც ასე იქნება.

ახლა კი დროა ჭადრაკს გამიჯნურებული კაცი ალექსანდრე არსენიძე წარმოგიდგინოთ. ამ დაუღალავმა ფუტკარივით მოფუსფუსე

კაცმა ცხოვრების სულ რაღაც მესამედი საუკუნის მანძილზე თითქმის ყველაფერი მოასწრო. სკოლის და ინსტიტუტის დამთავრებასთან ერთად საქართველოს ფიზიკური აღზრდის და სპორტის აკადემიის ასპირანტურაც წარმატებით დაამთავრა. მზად აქვს სადისერტაციო ნაშრომი „ფიზიკური მომზადების ადგილი და მეთოდური თავისებურებანი მოჭადრაკის მომზადებაში". ერთი პერიოდი თავადაც თამაშობდა ჭადრაკს და 1991 წელს საქართველოს ჩემპიონიც კი გახდა 20 წლამდე ჭაბუკთა შორის. ამით მსოფლიო ჩემპიონატის საგზურიც კი მოიპოვა, მაგრამ მაშინ, როცა ქვეყანაში დენთის და სისხლის სუნი ტრიალებდა, ვკარგავდით სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს, ვანგრევდით თბილისს და ვძარცვავდით სხვა ქალაქებს, სპორტისათვის, თუნდაც ჭადრაკისათვის ვიღას ეცალა. ასე გულდაწყვეტილმა დაამთავრა სპორტული კარიერა, შემდეგ კი, როგორც სპორტსმენები იტყვიან, მეორე სუნთქვა გაეხსნა და ქუთაისი საჭადრაკო კლუბ „მაიას" ჩაუდგა სათავეში. ასევე არჩეულ იქნა იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის გენერალურ მდივნად.

შესანიშნავი წიგნი უძღვნა საჩუქრად ნორჩ აღსაზრდელებს სათაურით „ჭადრაკი დამწყებთათვის", რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს დიდოსტატებმა ნინო გურიელმა, ზურაბ აზმაიფარაშვილმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა საჭადრაკო კომპოზიციებში დავით გურგენიძემ, ქართული ჭადრაკის მემატიანემ თენგიზ გიორგაძემ და სხვებმა. როგორც პედაგოგს, მოჭადრაკეს და შემოქმედს, ნიჭიერ ახალგაზრდას ღრმად სწამს, რომ ბევრ რამეს გააკეთებს ქართული ჭადრაკის საკეთილდღეოდ. აქვე დავძენთ მის დახმარებას, სათანადო მასალების მოწოდების საქმეში, რაც საფუძვლად დაედო ამ წიგნს.

ბუნებრივია, რომ არა ქუთაისსა და იმერეთის რეგიონის სახელოვან მოჭადრაკეთა მწვრთნელთა სახელოვანი რაზმი, მარტო ერთი და ორი კაცი ვერაფერს გააკეთებდა ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში. თავდაპირველად მათ ნიჭიერ მომავალ თაობას წარმოგიდგენთ, რომლებმაც უკვე პირველი სპორტული წარმატებები დააჭაშნიკეს და ყოველდღიურ შრომაში, წრთობასა და ვარჯიშში ღრმად ეუფლებიან ბრძნული თამაშის საიდუმლოებას. ესენი არიან:

ყუფარაძე გიგა
ბენიძე დავითი
ნიჟარაძე ფარნაოზი
სირბილაძე სულხანი
ხაჟალია სიმონი
ჩორგოლაშვილი ნინო
ჭოხონელიძე სალომე
არაბიძე მერი

ბენიძე გიგა
ბობოხიძე ვიკა
ბერძენაძე ანა
ბერუაშვილი დავითი
გალდავაძე ანა
დათუაშვილი დავითი
დავითულიანი დიანა
თეთელიშვილი გიორგი
ცქიფურიშვილი ანა
თედოშვილი დიმიტრი
თევზაძე თინათინი
ლაცაბიძე გიორგი
მარდალეიშვილი ანა
მეფარიძე ნინო
მეძმარიაშვილი ანა
ნემსაძე ბექა
რიჟამაძე ფატი
ტორონჯაძე რობერტი
უგულავა ლელა
უშვერიძე გიორგი
ფახურიძე რომანი
ფოფხაძე ირაკლი
შამათავა ანა
შენგელია ნიკოლოზი
ჩხიკვაძე შალვა
წივწივაძე რეზო
ჭოლაძე თემური
ხურციძე ნათია
ხუციძე სოფიკო
ჯავახაძე ზურაბი
გიორგაძე კახა
გორდულაძე გიორგი
გიორგაძე რატი
დარსაველიძე გიგა
კილაძე დავითი
კილაძე ემელიანე
მაჩიტიძე გრიგოლი
დვალიშვილი დიმიტრი
მელიავა გიორგი
ნიშნიანიძე ნიკა
რუხაძე აკაკი
სანთელაძე თორნიკე

გოგოლაძე ირაკლი
გოგოლაძე ალექსანდრე
გამყრელიძე ანანო
თევზაძე მარიამი
კვირკველია სალომე
კობახიძე თამარი
მიქაძე გვანცა
ფარჯიანი თეკლა
ყიფშიძე მადონა
ჭოლაძე მარიამი
ჯიშკარიანი ლალი
დვალიშვილი ვაჟა
ლორთქიფანიძე საბა
მამასახლისი არჩილი
მარგველაშვილი ირაკლი
მაჩიტიძე გრიგოლი
სალდაძე ბექა
ჩხიკვაძე ალექსი
ცქიფირუშვილი გიორგი
ჩაკვეტაძე დეა
ქანთარია ვიოლა
ბენიძე მარიამი
შავგულიძე მარიამი
თედოშვილი ანა
ჩხიკვაძე თამარი
კალანდარიშვილი ლილიანა
მებურიშვილი თეკლა
ასათიანი ვასილი
ბერძენაძე ნიკა
ბიწაძე გიორგი
ბუხრაიძე ზურაბი
გვენეტაძე გივი
გრძელიძე ბესიკი
გრძელიძე ლუკა
ებანოიძე რეზიკო
ელკადი ჯონი
ეფრემიძე ალეკო
ვადაჭკორია გიგი
ვაშაკიძე თორნიკე
თაბუკაშვილი ლაშა
თუთისანი ნოე
ლაღაძე ბუბა

ლორია გიორგი
მეტონიძე ჯუბა
ნინუა შალვა
ქოჩაკიძე მამუკა
ქოჩაკიძე ტარიელი
ცირამუა ზურაბი
ცირეკიძე ბაქარი
ცხაკაია გიორგი
ძოწენიძე საბა
ახალაძე ნატალია
კირთაძე ანა
კუხიანიძე გვანცა
ლომსიანიძე მარიამი
ჩიქოვანი ნათია
ჯაოშვილი ეკა
ბარაბაძე ლიკა
ამბროლაძე ემზარი
ახალაძე დავითი
ბაბუნაშვილი გუჯა
ბრეგაძე ბენიამინი
დანგაძე გიორგი
დევიძე გურამი
თაბუკაშვილი ლაშა
კაკაბაძე რომეო
კაპანაძე დავითი
ლეშკაშელი ზურაბი
მეფარიშვილი გიორგი
საკანდელიძე მევლუდი
სანიკიძე ლევანი
სვანიძე არჩილი
სულავა აკაკი
ქაფიანიძე თორნიკე
ჭიქაბერიძე პაპუნა
ხიდაშელი საბა
ქარქაშაძე გიორგი
ჯიბაშვილი ლევანი
ვაშაკიძე ვაჟა
ცირეკიძე გიორგი
ბუაძე შოთა
ვაშაკიძე მამუკა
კუბლაშვილი ლიკა
შენგელია სოფიკო

ხუჭუა მიხეილი
ჯულაყიძე გიორგი
ახალაძე ბექა
გიგიაძე ლაურა
გვენეტაძე ანა
დონდუა ნოდარი
დუნდუა რეზო
კიკვიძე ხატია
ლომთაძე საბა
მინდელი ჯიმი
რუსია გიორგი
სულავა აკაკი
ჩიკვაიძე თათია
წულაია მარიამი
ყვავაძე გიორგი
ბერელიძე გიორგი
დოლაბერიძე გოგა
დოლაბერიძე ლაშა
დოლენჯაშვილი გიორგი
კაპანაძე ვაჟა
კოხოძე გენა
თადიაშვილი დათო
მიქაუტაძე ბექა
ტყავაძე ალეკო
ქურდაძე ბექა
ჭელიძე გიორგი
ჯიშკარიანი დავითი
აბრამიშვილი ქეთევანი
ასათიანი ლადო
ბარბაქაძე მურადი
ბაღდავაძე გიორგი
ბუცხრიკიძე იულონი
გაბუნია დავითი
გამყრელიძე ნუგზარი
გიგინეიშვილი გიორგი
გეგუჩაძე გიორგი
გელაზონია ნინო
გოგეშაშვილი დიანა
დანელია თამაზი
ეგუტიძე ვახტანგი
ვერულაშვილი ბაქარი
თაბუკაშვილი გიორგი

ჩიხლაძე ნინო
კაკაბაძე თორნიკე
კახიძე ლაშა
კვესელია გიორგი
კირთაძე ვახტანგი
კუბლაშვილი ნიკოლოზი
როხვაძე ელენე
სურგულაძე ალექსანდრე
ფხაკაძე გვანცა
ქორიძე გიორგი
გეგუჩაძე გვანცა
ფანცულაია გიორგი
ჩაგუნაშვილი ოთიკო
ჩაჩხიანი ვახტანგი
ჩუბინიძე გენკა
ჩხეტიანი ნინო
ცანავა ლუკა
ძაგნიძე ბაკური
ჯანგველაძე დავითი
ჩირაძე გიორგი
თაბუკაშვილი ოთიკო
და სხვები.

ახლა კი მათ მწვრთნელებს წარმოგიდგენთ: გიორგი ქანთარია, მერაბ მეტრეველი, გია მენაბდე, მურმან ესაძე, სერგო გაბუნია, ხათუნა გუბელაძე, მარინა, ირინა და ბადრი კლიმჩუკები, ირინე ქლიბაძე; ნინო ვარდოსანიძე, სოსო და სულხან სირბილაძეები, თამრიკო ესაძე, ნუკრი ჩარკვიანი, ფრიდონ ერისთავი, ინგა არსენიძე, იურა სერჟანოვი, თენგიზ ხარლამპიდი, თამრიკო ესაძე, ზურაბ ბურკაძე, ჟორა სერჟანოვი.

სასიხარულოა, რომ იმერეთში გრძელდება მდიდარი საჭადრაკო ტრადიციები, რომელსაც სათავეში უდგანან სამტრედიაში გოჩა ჩაჩუა, ბესო ლეჟავა, ვადიმ დუნდუა, ნინო კოხრეიძე, ბაღდათში სერგო აკიმჩევი, მირიან ენდელაძე, წყალტუბოში ალეკო გოლეთიანი, ხონში ტარიელ ბენდელიანი და თამაზ მანაგაძე, ზესტაფონში დაუღალავი და უბერებელი ჯემალ მახათაძე, რომელსაც ამ დღეებში, როცა ეს წიგნი იწერებოდა. დაბადების 70 წელი შეუსრულდა. მივესალმებით იუბილარს და ვუსურვებთ წინსვლას და გამარჯვებებს, რომელსაც მხარში უდგას რამაზ დათუაშვილი, თერჯოლაში მერი ჩაფიძე და ემზარ ჭუმბურიძე, ხოლო ტყიბულში ნანა რაზმაძე და რამაზ ბერეკაშვილი.

მწვრთნელებს ეამაყებათ, რომ მათი შეგირდები რეზო წივწივაძე, რამინ ფახურიძე, ნოდარ ბაკურაძე, ომარ წულაია, მარიკა ძნელაძე,

მერი არაბიძე, გიორგი ლორია, სოსო კაპანაძე, სოფო და ნიკა შენგელიები, მარიკა ძნელაძე, გიგა ყუფარაძე და მრავალი სხვები ქართული ჭადრაკის ხვალინდელი დღეა.

მადლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ სახელოვანი მოჭადრაკე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი, ჭადრაკის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ქუთაისელი ჭაბუკის ასპარეზობა სხვადასხვა მაღალი რანგის ტურნირებში. არის მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში ახალგაზრდებს შორის, მწვრთნელის მანტიაში ქუთაისელმა ყმაწვილმა ფართოდ წარმოაჩინა ზეციდან მომადლებული საჭადრაკო ნიჭი. ბრწყინვალე თეორეტიკოსი რამდენიმე წელიწადია მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის მწვთნელია, პარალელურად საქართველოს ქალთა ოლიმპიური ნაკრები მოჭადრაკეთა გუნდის უფროსი მწვრთნელიცაა. ღრმად გვწამს, რომ ახალგაზრდა პედაგოგი ყველაფერს გააკეთებს ნორჩი შეგირდების დაოსტატების საქმეში.

ჭადრაკი სპორტის, ხელოვნების თუ მეცნიერების დარგია, ეს დღესაც ჩვენი პლანეტის სპორტის მოყვარულთა საპოლემიკო საკითხია. იმასაც კი ამბობენ ჭადრაკი ჩვენს ყოველდღიურ ბობოქარ ცხოვრებას ჰგავსო. ეს პატარა შავ-თეთრი კვადრატი ხან მძაფრი, უშეღავათო ორთაბრძოლის და დიდი ქარიშხლის არენაა, ხანაც მშვიდი. დინჯი საპაექრო სარბილი, სადაც იბადება სიხარული და სინანული, წარმატება და წარუმატებლობა, დრამა და ტრაგედია.

ჭადრაკს აქვს რაღაც უხილავი და ზეგარდმო ძალა, რომელიც მაგნიტურად იზიდავს თაყვანისმცემელთა მრავალმილიონიან არმიას.

ძნელია იმის თქმა თუ როდის გაუმიჯნურდა პირველად ჭადრაკის სიბრძნეს თანამედროვე ქართული საჭადრაკო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დავით ჩირაძე. ერთი კი ცხადია, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში ქუთაისის რკინიგზის საშუალო სკოლის მოსწავლემ, საბჭოთა საჭადრაკო სკოლის პატრიარქთან, შემდგომში სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელთან ვახტანგ ქარსელაძესთან ერთად პირველად მოსინჯა ძალები საქალაქო რესპუბლიკურ ტურნირებში და საკმაო წარმატებითაც.

ბავშვობის განუყრელ მეგობრებს დავით ჩირაძეს და ვახტანგ ქარსელაძეს ცხოვრებამ ურთულესი, მაგრამ ფრიად საპატიო მისია დააკისრა: ერთი საქართველოს დედაქალაქში, ხოლო მეორე ქუთაისში სათავეში ჩაუდგა საჭადრაკო საქმის წინსვლისა და განვითარების საქმეს. ვერ ვიტყვით, რომ ომის წინა წლებში ქუთაისში ჭადრაკი არ იყო პოპულარული. პირიქით აქ იმართებოდა საქალაქო და რესპუბლიკური ტურნირები, რომლებშიც რესპუბლიკის უძლიერე-

სი ოსტატები ასპარეზობდნენ. თანაქალაქელ მოჭადრაკეებს გ. კირკიტაძეს, ლ. ზაიჩიკს (ცნობილი დიდოსტატის გ. ზაიჩიკის მამა), ოთხმეზურს და სხვებს კარგად იცნობდნენ რესპუბლიკურ თუ საკავშირო არენაზე.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავით ჩირაძე მეზობელი სოფლის, პატრიკეთის, რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნა და თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო მისი საჭადრაკო ოდიესა, მაგრამ „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაჩნდების", მისი ღალატი ვერ შესძლო, მიატოვა სასკოლო სარბიელი, ქუთაისში დაბრუნდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე ჭადრაკის უანგარო მსახური გახდა.

1949 წელს, როცა ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან დავით ჩირაძის ინიციატივით ჭადრაკის კაბინეტი შეიქმნა, ზოგიერთი სკეპტიკოსი ირონიული ღიმილით შეხვდა ამ საშვილიშვილო საქმეს.

გავიდა წლები და ქუთაისელი მოჭადრაკეები გამოჩნდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე. მართალია, პირველი მოკრძალებული შედეგები ბევრის არაფრის მთქმელი იყო, მაგრამ ისე როგორც ვახტანგ ქარსელაძეს, დავით ჩირაძესაც სჯეროდა, რომ ყოველდღიური ტიტანური შრომა და გარჯა ნაყოფს გამოიღებდა.

ამაგდარი პედაგოგის აღსაზრდელები და-ძმა გულნარა და გარი ბუცხრიკიძეები, საშა რაზოვსკი პირველი მერცხლები იყვნენ, რომლებმაც აღმზრდელს პირველი სიხარული არგუნეს.

დიდი წარმატებები კი უფრო გვიან მოვიდა. დავით ჩირაძის აღზრდილს, მსოფლიო ჩემპიონს სტუდენტთა შორის, საერთაშორისო დიდოსტატს თამაზ გიორგაძეს კარგად იცნობს მსოფლიოს სპორტული სამყარო. ჩვენი საამაყო თანაქალაქელი რამდენიმე წელიწადი ესპანეთის მოჭადრაკეთა ეროვნულ გუნდს ედგა სათავეში. რაც უფრო სასიხარულოა, დავით ჩირაძის აღზრდილი შეგირდები ჩვენი პლანეტის საჭადრაკო ოლიმპიადებზე საკმაოდ მრისხანე და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ.

როცა პატარა 7 წლის მაია დავით ჩირაძეს მიუყვანეს, გამოცდილმა აღმზრდელმა სულ მალე ნორჩ მოჭადრაკეში განუმეორებელი ხალასი ნიჭი და ტალანტი ამოიცნო. დაიწყო მოძღვრისა და შეგირდის ერთობლივი ხანგრძლივი და მომქანცველი მუშაობა. გაოცებული მწვრთნელი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა, თუ როგორ სწრაფად და ადვილად ითვისებდა მომავალი მსოფლიო ჩემპიონი საჭადრაკო სიბრძნეს. როცა დავით ჩირაძე დარწმუნდა, რომ პატარა მაია თანამედროვე ჭადრაკის ამომავალი ვარსკვლავი იყო, რომლის ბრწყინვალება და სიკაშკაშე ნებისმიერ მეტოქეს მოჭრიდა

თვალს, მის მშობლებს—ნელი და გრიშა ჩიბურდანიძეებს, ურჩია, რომ ბავშვი სასწრაფოდ თბილისში გადაეყვანათ.

მოხდა ისე, რომ მომავალში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს ბედმა მრავალ მწვრთნელთან არგუნა მუშაობა. მათ შორის უპირატესობას ჭადრაკის დედოფალი უპირველეს აღმზრდელს დავით ჩირაძეს ანიჭებს. იგი იგონებს—„დავით მასწავლებელი რომ დამინახავდა, შორიდანვე შემომძახებდა წაგების „ვირტუოზი და ოსტატი“ მოვიდაო.

ერთხელ, მორიგი დამარცხების შემდეგ რომ ავტირდი, კედლისაკენ გამახედა, სადაც გაფრინდაშვილის სურათი ეკიდა და მითხრა: „ნუ გეშინია, სულ მალე, შენს სურათსაც შორიახლოს მიუჩენენ ადგილსო“.

ამაგდარი პედაგოგი არ შემცდარა. 12 წელიწადი მაია ჩიბურდანიძეს მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი არ დაუთმია.

ახალგაზრდა ოსტატის, 14 წლის ასაკის გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონის, თეა ლანჩავას სახელი საქვეყნოდაა ცნობილი. ჭადრაკის ანბანი მას დავით ჩირაძემ ასწავლა. შემთხვევითი არ იყო, რომ ნორჩ აღსაზრდელს მისმა პირველმა მწვრთნელმა გზა დიდი სარბიელისაკენ დაულოცა.

კიდევ ერთმა აღსაზრდელმა ასახელა სახელოვანი მწვრთნელი დიდ სარბიელზე. კარგა ხანია საერთაშორისო დიდოსტატის გია გიორგაძის სახელი და გვარი არ შორდება რესპუბლიკურ თუ საკავშირო ჟურნალ-გაზეთებს, რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონი, მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების მონაწილე და პრიზიორი გულთბილად იგონებს თავის სპორტულ მწვრთნელთან გატარებულ წლებს: „1972 წელს დედამ პირველად მომიყვანა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში, რომელსაც მარად დაუვიწყარი ბატონი დავით ჩირაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ მან არამარტო შემასწავლა, არამედ შემაყვარა ჭადრაკი, მისი საიდუმლოებანი და ალბათ, ვერც ვერასდროს დავივიწყებ ამ შესანიშნავი ადამიანის ამაგს“.

ოთხი ათეული წლის პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში დავით ჩირაძემ მსოფლიო საჭადრაკო სამყაროს სამი საერთაშორისო დიდოსტატი მაია ჩიბურდანიძე, თამაზ და გია გიორგაძეები, ოცამდე სპორტის ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი შემატა. სახელოვანი პედაგოგის აღზრდილები არიან: მაკა ხანთაძე, მარინე და ირინე კლიმჩუკები, ირინე ქლიბაძე, ხათუნა გუბელაძე, ჰენრიეტა ლაგვილავა, რუსუდან ყიფიანი, დარეჯან გამყრელიძე, დარეჯან ჩაკვეტაძე, თეა ლანჩავა, ზაზა ლომინაძე, გია მენაბდე, სერგო გაბუნია, თენგიზ ხარლამპიდი, ზურაბ ბურკაძე, თემურ ხანთაძე, ელგუჯა ფხაკაძე, ბადრი გურგენიძე, დავით ტოტიშვილი, გიორგი ნეფარიძე, მინდია უგრეხელიძე, თემურ ჟორჟოლიანი, ავთო და მერაბ სინაურიძეები, ბესარიონ ხეცურიანი, ფრიდონ

ჯანაშია, რამაზ ძოძუაშვილი, ავთო ჯანელიძე, ალეკო თავდიდიშვილი, გია სოხაძე, მერაბ მეტრეველი, ელგუჯა აფრიდონიძე, ბადრი ბანძელაძე, გოგი გურგენიძე, სოსო ჭანტურია. ამ ღვთისნიერი კაცის დამსახურებაა, რომ დღეს ქუთაისში დიდი რუდუნებით მუშაობენ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელოვან მწვრთნელთა მთელი პლიადა და გიორგი ქანთარიას, მერაბ მეტრეველს, თენგიზ ხარლამპიდის, გია მენაბდის, და მრავალ სხვათა სახით. ბუნებრივია არც საშა რაზოვსკის და თენგიზ ხარლამპიდის დავიწყება შეიძლება, რომლებმაც ღირსეული კვალი დაამჩნიეს ქუთაისის საჭადრაკო ცხოვრებას.

ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე დავით ჩირაძის მოსწავლეთა რიცხვი გეომეტრიული პროგრესით იზრდებოდა. რაც მთავარია ყველა აღსაზრდელი დიდი რიდით, პატივისცემით და ყურადღებით იყო გამსჭვალული საყვარელი მასწავლებლისადმი. რა თქმა უნდა, მოძღვარს ასეთი აღიარება და დაფასება თავისით არ მოდის. დავით ჩირაძე თავად იყო ეტალონი სიკეთის, სიმართლის და კაცურკაცობის. ვინ მოთვლის ამ კაცთმოყვარე და კრისტალივით სუფთა კაცს რამდენი სიკეთე გაუცია.

დავით ჩირაძე იყო დიდი პედაგოგ-ნოვატორი, რომელიც შეგირდებს ნაწილ-ნაწილ, თამაშ-თამაშით აწვდიდა სულიერ საზრდოს. მისი ყოველი გაკვეთილი სიახლის ძებნა და ჭადრაკის უსაზღვრო სიყვარული იყო. არადა რაოდენ ენერგიას, ფსიქოლოგიურ დაძაბულობას მოითხოვდა ყოველი გაკვეთილი. ათასგვარი ამოცანების ვარიანტის გამოთვლა, ზღვა საჭადრაკო ლიტერატურის გაცნობა. წლების მანძილზე მისი შეგირდები რომ მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე, ყველაფერი ამაგდარი პედაგოგის დამსახურება იყო.

საღამოობით სკოლიდან მომავალი დაღლილ-დაქანცული სპორტის მუზეუმში შემოივლიდა. ხშირად მეტყოდა, აქ სულიერად ვისვენებო და ურთიერთსაუბრების შემდეგ გაუდგებოდა სახლისკენ მიმავალ გზას.

ქართული ჭადრაკის ისტორიამ ბევრი ტკბილად მოსაგონარი დღეები შემოგვინახა დავით ჩირაძის შესახებ. დარჩა მოგონებათა მთელი კომპლექსი, მოჭადრაკეთა და მწვრთნელთა დიდი რაზმი, ტკბილი ქართული ოჯახი და ნათელი სახე ღირსეული თანაქალაქელისა, რომელმაც რაინდულად განვლო ცხოვრების გზა, რომელიც სამაგალითოა შთამომავლობისათვის.

ტყიბული

საყურადღებოა, რომ სიბრძნის თამაშს, ჭადრაკს, ტყიბული ინტელიგენცია ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარშიც კარგად იცნობდა. მაშინ ქალაქში რამდენიმე ე.წ. საოჯახო სალონი არსებობდა. ისიც ფაქტია, რომ თავის დროზე გამოჩენილ ერისკაცებს აღნიშნულ საოჯახო სალონებში არაერთი საჭადრაკო პარტია უთამაშიათ. ამასთან დაკავშირებით მესამედი საუკუნის უკან გაზეთი „ლელო“ წერდა: „ეს სურათი (რომელიც „ლელოში“ იყო გამოქვეყნებული) ცნობილმა ფოტოგრაფმა შალვა ფურცხვანიძემ მისახსოვრა, წერს წერილის ავტორი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ბრწყინვალე ჟურნალისტი იყო დავით მიქელაძე, რომელსაც ქართველი საზოგადოება „მეველეს“ ფსევდონიმით იცნობდა. იგი ჯერ „დროების“, შემდეგ „ივერიის“ ფურცლებზე დიდი პათოსით იბრძოდა იმდროინდელი ცხოვრების მანკიერების წინააღმდეგ. ქადაგებდა სიკეთეს, მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულს. დავით მიქელაძეს ჭეშმარიტად ქართული სტუმართმოყვარე ოჯახი ჰქონდა. მასთან მისვლა ყველას ახარებდა. აქ მუდამ მოწიწებით ხვდებოდნენ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, იაკობ გოგებაშვილს, მელიტონ ბალანჩივაძეს, ფილიმონ ქორიძეს. ზოგჯერ მიქელაძეების ოჯახში საჭადრაკო პაექრობაც იმართებოდა. საერთო სიყვარულით სარგებლობდა დავით მიქელაძის ვაჟი პატარა ივერი. სწორედ ამ ბიჭუნას უძღვნა აკაკიმ ცნობილი ლექსი:

„ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა
მას მიეპარა ივერი
დაიჭირა და იამა“.

შემდეგ „ივერი“ ყმაწვილით შეიცვალა. ერთხელ დიდი მგოსანი პატარა ივერს ჭადრაკს ეთამაშა.—მამას ძალიან უყვარდა თამაში,—გაიხსენა დავით მიქელაძის ქალიშვილმა ნინომ, რომელსაც ამას წინათ ჩვენ ვეწვიეთ,—იგი ხშირად ეპაექრებოდა სტუმრებს. ერთხელ აკაკი წერეთელსაც მოუგო. მგოსანმა სათამაშოდ ივერი გამოიწვია, მაგრამ 6 წლის მეტოქესთან ვერაფერი გააწყო. მაშინ აკაკიმ ჩვეული იუმორით თქვა: „მამამ მომიგო, ძემ მომიგო, სულიწმიდა დამრჩაო“.

1983-84 წლებში დავით მიქელაძე ტყიბულის ქვანახშირის დამმუშავებელი ამხანაგობის „ნახშირის“ წევრი იყო. ერთხელ მას ცნობილი მხატვარი ნიკო ნიკოლაძის ცოლისძმა, დავით გურამიშვილი, ეწვია. ნასადილევს სტუმარმა ჭადრაკში საპაექროდ ივერი გამოიწვია. მას გაგონილი ჰქონდა აკაკი წერეთელთან პატარა მოჭად-

რაკის გამარჯვების ამბავი. ბიჭუნამ ამჯერადაც იყოჩაღა. ბავშვის თამაშით აღფრთოვანებულმა დავით გურამიშვილმა ფოტოსურათი სამახსოვროდ გადაიღო პატარა მეტოქესთან ერთად.

ივერი ჭადრაკს შემდეგაც თამაშობდა, თუმცა სერიოზულად ამ თამაშისათვის ხელი არასოდეს მოუკიდია,—გვითხრა ქალბატონმა ნინომ,—გიმნაზიაში სწავლის დროს იგი ერთდროული თამაშის სეანსებს ატარებდა, დაუსწრებლად ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსის მოსმენის შემდეგ კი ივერი ვექილის საქმიანობას ეწეოდა, იგი 1930 წელს გარდაიცვალა“.[1]

ქართული სპორტის ისტორიაში ღირსეული ადგილი დაიკავა სახელოვანმა ტყიბულელმა მოჭადრაკემ და იურისტმა ხარლამპი სირბილაძემ. მ. საყვარელიძის მიერ 1926 წელს გამოცემულ წიგნში „ჭადრაკი“ ვკითხულობთ: „თანამედროვე ქართველ მოჭადრაკეებში პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ხარლამპი სირბილაძე, რომელიც თავის დროის უდიდეს მოთამაშედ ითვლებოდა. პეტერბურგში სტუდენტად ყოფნის დროს ისწავლა მან ჭადრაკის თამაში და მალე სახელი გაითქვა, როგორც უძლიერესმა მოთამაშემ. 1890-იან წლებში სირბილაძე თამაშობდა რესტორან „დომინიკაში“, სადაც საუკეთესო მოჭადრაკენი იყრიდნენ თავს, სირბილაძე აქ ეთამაშებოდა ცნობილ შიფერს, ალაპინს, ოტოს, მიტროპოლსკის და უმეტეს შემთხვევაში უგებდა ხოლმე. მას აგრეთვე მოუხდა თამაში გამოჩენილ ჩიგორინთან. ჩიგორინმა თანაბარი თამაში არ მოისურვა და ფორად მხედარი მისცა. სირბილაძემ ხელი მოიგო. მეორე შეხვედრაშიც ჩიგორინმა თანასწორი თამაში არ ინება, მხარეები ამის გამო ვერ შეთანხმდნენ და მათი შეჯიბრება აღარ გამართლდა. 1904 წელს ტფილისში გაიმართა ტურნირი, მონაწილეობა მიიღო 25-მა კაცმა, სირბილაძემ ამ ტურნირზე პირველი ჯილდო აიღო. პეტერბურგში ყოფნის დროს სირბილაძეს ურჩევდნენ ჭადრაკს გაჰყოლოდა. დიდ მომავალს აღუთქვამდნენ. მან არ მოისურვა ჭადრაკი პროფესიად გაეხადა, სამწუხაროდ სირბილაძის არცერთი პარტია ჩანერილი არაა.

სირბილაძე დღეს თბილისში ცხოვრობს, მოხუცებულობამ (იგი 64 წლისაა) მის ძალაზე გავლენა მოახდინა. იგი დღესაც თამაშობს, თუმცა საჯარო ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობას არ იღებს.

თავის დროზე ხარლამპი სირბილაძეს დაუმარცხებია საქვეყნოდ ცნობილი რუსეთის უძლიერესი მოჭადრაკეები: ემანუელ შიფერსი და სიმონ ალაპინი, რაც თავისთავად მიგვანიშნებს ქართველი მოჭადრაკის მაღალ კლასზე. თუნდაც ის ფაქტიც, რომ საქვეყნოდ ცნობილ რუს მოჭადრაკესთან მიხეილ ჩიგორინთანაც უთამაშნია ჩვენს თანამემამულეს. მართლაც რომ მრავალის მთქმელია.

---

[1] გაზეთი „ლელო“. 1970 წელი, 30 ივნისი

აქვე იმასაც დავსძენთ, რომ სახელოვანი მამულიშვილის ერთ დროს მივიწყებული ხარლამპი სირბილაძის წარმოჩენა ქართველი მკითხველის წინაშე ქართული ჭადრაკის მკვლევარის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის თენგიზ გიორგაძის დიდი დამსახურებაა.

ირკვევა, რომ ომის შემდგომ წლებში ტყიბულსა და მის რაიონში ჭადრაკს პოპულარობა არ დაუკარგავს. 1954 წლის ივნისის პირველ ნახევარში ტყიბულის მეშახტე მოჭადრაკეთა ტურნირი „მაღაროელის" პირველობაზე სპორტის მოყვარულთა ცენტრში იყო. 15 მოჭადრაკეთა შორის პირველობა არავის დაუთმო სტალინის სახელობის შახტის წარმომადგენელმა ნ. ოკუჭავამ, რომელმაც 13,5 ქულა შეაგროვა, მეორე ადგილი 12 ქულით წილად ხვდა ი. ტაბიძეს. (ლენინის სახელობის შახტი), ზ. ოღაძემ 10,5 ქულით მესამე ადგილი დაისაკუთრა (ტყიბულ—ქვანახშირტრესტი), მეოთხე ადგილი წილად ხვდა ასევე ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მოჭადრაკეს კრივოშევს (9 ქულა).

1946 წლის დასაწყისში საინტერესოდ ჩატარდა ტყიბულის საქალაქო პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 13 მონაწილე ასპარეზობდა, ტურნირი წაუგებლად ჩაატარა გ. ნასარაიამ, რომელმაც 12 შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა, 10 ქულით მეორე იყო ლ. ჯაშიაშვილი, ხოლო მესამე ადგილები 9-9 ქულით გაინაწილეს მ. ცქიფურიშვილმა და დ. ქასრაშვილმა, რაც შეეხება იმავე წელს ჩატარებული ლენინის სახელობის შახტის მოჭადრაკეთა პირველობას, რომელშიც 12 კაცი მონაწილეობდა, 11 შესაძლებლობიდან 10,5 ქულით პირველობა არავის დაუთმო სახვაძემ, მეორე იყო ა. კუპრეიშვილი—8 ქულა, მესამე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს ლაცაბერიძემ და ხორხომელიძემ.

ტყიბულში მოჭადრაკეთა დიდ ზეიმად ითვლება 1981 წლის 15 აგვისტო, როცა ქალაქში პირველი საჭადრაკო კლუბი გაიხსნა, რაშიც დიდია სპორტკომიტეტის თავკაცის ვაჟა მერკვილაძის და მწვრთნელის ოთარ კობახიძის დამსახურება. დღიდან დაარსებისა არსებულ კლუბს მოვლა-პატრონობას არ აკლებდა ქართული სპორტის ამადგარი ქალბატონი გულნაზი ყიფიანი.

კლუბს მართლაც ბევრი რამ აქვს საამაყო, ალბათ ყველა ქალაქის თუ რაიონის საჭადრაკო კლუბს შეშურდება თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ 20-ამდე ოსტატობის კანდიდატი აღიზარდა ჭადრაკში. ესენი არიან: ნ. რაზმაძე და გოჩელაშვილი, ე. იოსელიანი, მ. ბოჭორიშვილი, კ. კობახიძე, გ. და რ. ცერცვაძეები, დ. ფორჩხიძე ვ. ბოჭორიშვილი, ვ. ჯანელიძე, ი. კაპატაძე, ჯანელიძე და სხვები. მათ სპორტულ მიღწევებს კარგად იცნობს არა მარტო ტყიბულის, არამედ რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულთა დიდი არმია.

1990 წლის მარტის მესამე დეკადაში ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს სსრ ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში. მასში მონაწილეობდნენ იანვარში გამართულ ზონალურ პირველობაში პირველ-მეორე ადგილზე (ოთხი ზონიდან) გამოსული გუნდები 6

ქაბუკი და ორი გოგონა. ჩვენ გუნდს წარმოადგენდნენ დაფების მიხედვით გ. კობახიძე (მეოთხე საშუალო სკოლა), გ. ჯანელიძე (მეექვსე საშუალო სკოლა), პ. კუბლაშვილი (მეექვსე საშუალო სკოლა), მ. ტურაბელიძე (მეხუთე საშუალო სკოლა), მ. ტურაბელიძე (მეხუთე საშუალო სკოლა), ვ. იოსელიანი (მესამე საშუალო სკოლა), მ. ბოჭორიშვილი (მეექვსე საშუალო სკოლა). პირველ და მეორე ადგილზე ვასული გუნდები იღებდნენ ფინალურ საგზურებს, რომელიც ბათუმში გაიმართა.

„ჩვენი გუნდი ახლოს იყო მიზანთან. ბოლო ტურში ვხვდებოდით წყალტუბოელ მოჭადრაკეებს, რომელთანაც დიდი ანგარიშით მოგების შემთხვევაში მეორე ადგილს და ფინალის საგზურს ვიღებდით, მაგრამ ფსიქოლოგიურმა დაძაბულობამ თავისი გაიტანა, წავაგეთ მოწინააღმდეგე გუნდთან 3:5 და საბოლოოდ მესამე ადგილს დავჯერდით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნახევარფინალში მონაწილე ყველა გუნდი ზონებში გამარჯვებული და კარგად მომზადებული იყო, ჩვენი გუნდისათვის მესამე ადგილი ურიგო არ არის.

საბოლოოდ პირველი ადგილი 45,5 ქულით დაიკავა მასპინძლების გუნდმა მეორეზე გამოვიდა გორის მოსწავლეთა გუნდი (34,5 ქულა), 32,5 ქულით მესამე ადგილს დაეუფლენ ჩვენი მოჭადრაკეები.

საპრიზო ადგილზე გამოსული გუნდები და მოსწავლეები (დაფების მიხედვით) დაჯილდოვდნენ შესაბამისი სიგელებით.

ჩვენი გუნდიდან პირველ დაფაზე გ. კობახიძემ მესამე ადგილი დაიკავა. მესამე დაფაზე სულხან ფორჩხიძე მეორე იყო, მეხუთე დაფაზე კონსტანტინე ტურაბელიძე მესამე ადგილს დასჯერდა. გოგონათა პირველ დაფაზე ე. იოსელიანმა მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო მეორე დაფაზე გაიმარჯვა მ. ბოჭორიშვილმა.

როგორც ვხედავთ, საქმე მთლად ცუდად არ არის, მაგრამ გასაკეთებელი ბევრია იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ქალაქში არსებული საშუალებები.

საჭიროა მოსწავლეთა მშობლებიც უფრო ახლოს იყვნენ ჩვენთან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჩვენს ღონისძიებებში“.[1]

1983, 1984, 1985 და 1990 წლებში ტყიბულის საჭადრაკო კლუბმა ოთარ კობახიძის თავკაცობით უმასპინძლა საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატებს.

დასასრულ, ნურც გასული საუკუნის 50-იანი წლების ტყიბულელ პრობლემისტს დ. სახვაძეს დავივიწყებთ, რომლის საჭადრაკო ამოცანები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთ „ლელოში“.

ტყიბულის საჭადრაკო ცხოვრების განვლილი წლები იმერეთის საჭადრაკო ცხოვრების ნათელი ფურცლებია.

---

[1] გაზ. „ტყიბული“, 1990 წელი. 10 აპრილი

ირკვევა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სოფელი ჩუნეში თავს იწონებდა ჭადრაკზე შეყვარებული ადამიანებით. ერთ-ერთ მათგანს, გვარად ჭუმბურიძეს, ჭადრაკის ფიგურების კომპლექსიც კი გამოუჩარხია და პატივის ნიშნად საჩუქრად მიურთმევია სოფლის სახელოვანი ადამიანისათვის, დასავლეთ საქართველოს მომრიგებელ მოსამართლის, მერაბ ლორთქიფანიძისათვის, შემდგომში ცნობილი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის მამისათვის.

მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე დიდი ბელეტრისტის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ქართული მწერლობის ამომავალი ვარსკვლავები ე. წ. „ცისფერყანწელებად“ წოდებული პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, დავით ჩხეიძე და სხვები. ოჯახში ლიტერატურული დისპუტის შემდეგ ჭუმბურიძის ნაჩუქარი ჭადრაკით ერთმანეთს ეპაექრებოდნენ ერის სახელოვანი შვილები.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თენგიზ კარტოზია 30 წელინადი ემსახურებოდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. სახელოვან მკვლევარს და მეცნიერს, არაერთი მონოგრაფიის ავტორს, ჯერ კიდევ 60-იან წლებში, როცა ქართველი ემიგრანტების ხსენებასაც კი ვეტო ედო, ახლო ურთიერთობა ჰქონდა და პირადად ხვდებოდა გრიგოლ რობაქიძეს, ვიქტორ ნოზაძეს, გოგი კორძახიას, რაც ბუნებრივია იმ პერიოდში დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

ღვაწლმოსილი მეცნიერი ჭადრაკის დიდი ტრფიალი იყო. წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა წყალტუბოში ჩატარებულ მოჭადრაკეთა საქალაქო ტურნირებში. ცნობილ ექიმებს ვ. წითლანაძეს, დ. დოლიძეს, ე. ქარცხავას, შ. ყიფშიძეს და სხვებსაც წარმატებით ებრძოდა საპრიზო ადგილისათვის.

წყალტუბოში ჭადრაკის განვითარების საქმეში ლომის წვლილი სპორტის ოსტატ ჯემალ ბერაძეზე მოდის. ნიჭიერ მოჭადრაკეს წლების მანძილზე არაერთხელ უასპარეზია ნარმატებით რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირებში.

1967 წელს ბელორუსიის ქალაქ კალინკოვოდში გამართულ სოფლის მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატზე ბრწყინვალედ იასპარეზა ქართველმა მოჭადრაკემ ჯემალ ბერაძემ, რომელმაც 16 მონაწილეთა შორის 12 ქულით ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა. არადა ისეთ ცნობილ მოჭადრაკეებთან ჭიდილში, როგორებიც იყ-

ვნენ ესტონელი ხოკიარნერი, ტაჯიკელი ვ. დანოვი, ესტონელი ხარბლინი, ლიტველი გ. პლუნგე და სხვები, მოპოვებულ ოქროს მედალს, მართლაც რომ ოქროს ელვარება ასხივოსნებს.

1971 წელს გაზეთი „ლელო“ წერდა: „19 ოსტატი და 17 ოსტატობის კანდიდატი იბრძოდა მოსკოვის 49-ე საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში. ერთ-ერთი ნახევარფინალის უფლებით მოსილი იყო „სპარტაკის,“ მოსკოვის საქალაქო ჩემპიონატი. ამ ტურნირში 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა, მათ შორის იყო სსრ კავშირის დედაქალაქში მცხოვრები ოსტატობის კანდიდატი ჯემალ ბერაძე, ბრძოლა უაღრესად მწვავე გამოდგა, რისი მიზეზიც ფინალის სამი საგზური იყო. ბერაძემ შესანიშნავად ითამაშა და პირველი და მეორე ადგილები გაიყო უკონკურსოდ მონაწილე ოსტატ ჩერემისინთან, ჯემალმა გაუსწრო ცნობილ ოსტატებს აბრამოვს, კოტოვს, ხასინს, ბოხოვსკის, იუდოვიჩს, ლეპიოშკინს, სოლოვიოვეს და სხვებს. მან ექვსი შეხვედრა მოიგო., ხუთი ყაიმით დაამთავრა და ერთი წააგო.

ამ წარმატებით ქართველმა მოჭადრაკემ მოიპოვა მოსკოვის „სპარტაკის“ ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება, „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს—ჩემპიონატის საგზური, ფინალური მატჩი გაიმართება კიევში და რაც მთავარია შეასრულა სპორტის ოსტატობის ნორმატივი, ჯ. ბერაძე იქნება პირველი ქართველი მოჭადრაკე, რომელიც მოსკოვის ჩემპიონატის ფინალში ითამაშებს, ჭადრაკის მოყვარულთ ალბათ ახსოვთ, რომ ჯ. ბერაძე სისტემატურად მონაწილეობდა საქართველოს ჩემპიონატებში, როგორც წყალტუბოს წარმომადგენელი 1964 და 1967 წლებში. საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილე წყალტუბოელმა ოსტატმა მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო კიკიანთან და კალატოზიშვილთან. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის დროს ჯემალ ბერაძე წარმატებით ასპარეზობდა დედაქალაქის საჭადრაკო ჩემპიონატებში.

წლების მანძილზე ნიჭიერი მოჭადრაკე თავკაცობდა წყალტუბოში ნორჩ მოჭადრაკეთა აღზრდისა და დაოსტატების საქმეს.

სწორედ მისი ინიციატივით წყალტუბოს სოფელ ჩუნეში დაარსდა ჭადრაკის კლუბი და მეზობელ სოფლებშიც აფრთიანებდა ჭადრაკში ნორჩ მართვეებს.

1988 წელს ვოლგოგრადში გამართულ დიდ საჭადრაკო ტურნირზე გამარჯვების თასზე ქ. წყალტუბო ორი გუნდით იყო წარმოდგენელი, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ნორჩმა მოჭადრაკეებმა დ. ფანცულაიამ, კ. ჭიღლაძემ, ვ. გურეშიძემ, გ. აზარაშვილ-

მა, კ. კინწურაშვილმა, ა. ქაჯაიამ, ს. ცირქვაძემ, ლ. ნემსაძემ, ნ. ნიჟარაძემ და გ. ჯიშკარიანმა მიიპყრეს ჭადრაკის სპეციალისტების ყურადღება.

წყალტუბოში ჭადრაკის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აქ ხშირად იმართებოდა მოჭადრაკეთა რესპუბლიკური ტურნირები, სადაც ასპარეზობდნენ წყალტუბოელი მოჭადრაკეები ფიქრია კირთაძე, მაკა მდივანი და სხვები.

1988 წლის თებერვალში წყალტუბომ უმასპინძლა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდეტთა მე-13 ტურნირს; სადაც დიდოსტატებმა ნანა იოსელიანმა და ელენე ახმილოვსკაიამ პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს. ფიდეს დებულებით გამარჯვებულებმა მიკრო დამატებითი მატჩ—ტურნირი გამართეს. სადაც დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა დაამარცხა ძლიერი მეტოქე და მოიპოვა უფლება შეხვედროდა მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს.

წლების მანძილზე წყალტუბოელი ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული თეთრხალათიანი მედიცინის მუშაკები წარმატებით ასპარეზობდნენ სპორტსაზოგადოება „მედიკის“ რესპუბლიკურ ტურნირებში.

1980 წელს თბილისში გამართულ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების მე-13 სპარტაკიადაზე წარმატებით იასპარეზეს წყალტუბოელმა მოჭადრაკეებმა, რომლებმაც მეორე საპრიზო გუნდური ადგილი დაიკავეს. სპორტის ოსტატ ჯემალ ბერაძეს თავის დაფაზე არცერთი პარტია არ წაუგია. წარმატებით იასპარეზეს თეთრხალათიანმა მოჭადრაკეებმა ლადო ბოჭორიშვილმა და იმედო სულაბერიძემ.

კარგად მახსოვს 70-იანი წლების ქუთაისის სისხლსავსე სპორტული ცხოვრება. მაშინ ქუთაისის საჭადრაკო—საშაშო კლუბის დირექტორად ვმუშაობდი და რიონისპირა ქალაქში ლექციების ციკლის წასაკითხად და ალტერნატიული სეანსების ჩასატარებლად მოვიწვიე მსოფლიოში აღიარებული დიდოსტატები: სოლომონ ფლორი და ანდრეი ლილიენტალი. ბატონი გიგლა გაჩეჩილაძის თხოვნით საპატიო სტუმრები წყალტუბოში ჩავიყვანე, ჩვენმა მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს სტუმრების საპატივცემულოდ. რაც მთავარია, ცნობილ დიდოსტატებს საჭადრაკო დაფებზე უშეღავათო ბრძოლები მოუხდათ წყალტუბოს დამსვენებლებთან.

წყალტუბოში ჭადრაკის პოპულარობამ ხელი შეუწყო საჭადრაკო კლუბ„ მერანის“ გახსნას, რომელიც დამშვენებული იყო მდიდარი ბიბლიოთეკით და საგულდაგულოდ შედგენილი კართოთეკით.

1967 წელს წყალტუბომ საქართველოს მოჭადრაკეთა 28-ე ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც გამარჯვებული რომან ჯინჯიხაშვილი გამოვიდა. მეორე ადგილი ქუთაისელ თამაზ გიორგაძეს ხვდა წილად, მესამე-მეოთხე ადგილები ჯემალ ბერაძემ და კალატოზიშვილმა გაიყვეს.

1985 წელს წყალტუბომ საქართველოს ქალთა 42-ე ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც გამარჯვებული ქუთაისელი ჰენრიეტა ლაგვილავა გამოვიდა. ორი წლის შემდეგ წყალტუბომ საქართველოს ქალთა 47-ე ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც ი. ხურცილავამ გაიმარჯვა.

წყალტუბოს ჭადრაკის მოყვარულებს დღესაც კარგად ახსოვთ 24 წლის წინათ ქალაქში ჩატარებული ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი, რომელიც დიდოსტატის ბუხუტი გურგენიძის გამარჯვებით დამთავრდა. მასპინძლებმა კიდევ ერთხელ იხილეს ცნობილი დიდოსტატების მოსკოველი ვ. ვასილკოვის, რიგელი ა.გიპსლისის, ხარკოველი ა. ჩერნინის, ლენინგრადელი ა. ერმოლინსკის და სხვათა მაღალი საჭადრაკო ოსტატობა. ბუნებრივია ყოველივე ამან ხელი შეუწყო ნორჩი მოჭადრაკეების კიდევ უფრო დაინტერესებას.

ქუთაისელი მოსწავლე მოჭადრაკეები



დავით ჩირაძე შეგირდებთან



საქართველოს ჩემპიონატი მოსწავლეთა შორის.
1970 წ.



საერთაშორისო დიდოსტატი თამაზ გიორგაძე
ატარებს ერთდროული თამაშის სეანს.
საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში „საკარდო და სამაისო“
ქუთაისი, 2005 წ.

მაია ჩიბურდანიძე
1986 წ.

საქ. დამსახ. მწვრთნელი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲫᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ
პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ: ვიქტორ მამასახლისი,
ანა თედოშვილი, გივი გვენეტაძე, რატი გიორგაძე, გიორგი ცხაკაია.
მეორე რიგში: არჩილ მამასახლისი, შალვა ჩხიკვაძე

მწვრთნელ-მასწავლებელი ᲡᲝᲡᲝ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲐᲫᲔ
პირველ რიგშიმარცხნიდან მარჯვნივ: ბაჩანა ქურდაძე, ბექა ქურდაძე,
ტიტე ნიკოლაძე, ვიკა ბობოხიძე, ნატალია ახალაძე, გიორგი ჯანელიძე,
დათო ჩიტიძე, გუგა დევიძე. მეორე რიგში: ანა მეძმარიაშვილი,
თამარ კობახიძე, სულხან სირბილაძე.
6.III. 2004წ. ქ. ქუთაისი.

წინა პლანზე ვალერი გაფრინდაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში. 10 წლამდე გოგონათა და ჭაბუკთა შორის.
ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე. 4-12 მაისი 2004 წელი.
ჩემპიონატის მონაწილეები.

საქართველოს ჭადრაკის მწვრთნელები

მარცხნიდან მარჯვნივ.
ალექსანდრე არსენიძე, მაია ჩიბურდანიძე, გიორგი გიორგაძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი



საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში „სავარდო და სამაისო“— ქუთაისი, 2004. 27-28 სექტემბერი,2004 წ.

მარცხნიდან მარჯვნივ: ალექსანდრე არსენიძე, ხვიჩა სუპატაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, გოგი ქელბაქიანი, თენგიზ გიორგაძე.

ქ. ქუთაისი, საჭადრაკო კლუბი „მაია“, ამხანაგური შეხვედრა იმერელ და გალელ მოჭადრაკეთა შორის. 7-8 აგვისტო 2005 წელი. დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: გალის ჭადრაკის მწვრთნელი შავლეგ შამუგია, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში აკაკი ბობოხიძე, საჭადრაკო კლუბ „მაიას“ დირექტორი ალექსანდრე არსენიძე გალელ და იმერელ ნორჩ მოჭადრაკეებთან ერთად.

დავით ბენიძე — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის პრიზიორი და ჩემპიონი 14 წლამდე ჭაბუკთა შორის.
2005 წ. სერბეთი

იმერეთის ჩემპიონატის დახურვა.
გამარჯვებულებს აჯილდოებენ: იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, გიორგი გიორგაძე და ალექსანდრე არსენიძე



ქუთაისის საჭადრაკო კლუბი „მაია“, 7-8 აგვისტო, 2005 წ. ამხანაგური შეხვედრა გალელ და იმერელ მოჭადრაკეთა შორის (თემატური გაკვეთილი).

სამტრედიის ჭადრაკის მწვრთნელი ბესო ლეჟავა.
პირველ რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ: თინიკო ბუაჩიძე, რობერტ ტორონჯაძე, გიორგი მელიავა, გიორგი ცაგარეიშვილი, აკაკი რუხაძე, დაჩი ხონელიძე, ირაკლი მელქაძე;
II რიგში: ნიკა ნიკურაძე, ნინო ნიკურაძე, გვანცა მიქაძე, მარიამ თევზაძე, გიორგი ზაქარიაძე, ემილიანე კილაძე.

მწვრთნელი მურმან ესაძე
მარცხნიდან მარჯვნივ: ნიკოლოზ ბერძენაძე, დავით კაპანაძე, ლელა უგულავა.

ნინო თოლორდავა, რამაზ ენდელაძე, რამინ ფახურიძე, რეზო წივწივაძე,
მწვრთნელი მირიან ენდელაძე (ბაღდათი).

სკოლის დირექტორი ციალა ჯაფარიძე, ჭადრაკის მასწავლებელი ა. არსენიძე
და მე-2 დაწყებითი სკოლის ჩემპიონები: ზურაბ ჯავახაძე,
გიგა დარსაველიძე, ანა შამათავა.

მწვრთნელი მარინა კლიმჩუკი
I რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ: ანა გალდავაძე, გიორგი მშვილდაძე, დათო ანესიანი.

სამტრედიის ჭადრაკის მწვრთნელი: ნინო კოხრეიძე
პირველ რიგში: გურანდა ვაშაკიძე, რეზო ზარნაძე, მარიკა ბახტაძე, ჯაბა ქაფოძე, ლერი გიორგაია. მეორე რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ: ნაზიბროლა ორმოცაძე, მონიკა ოჩხიკიძე, ნიკა შენგელია, ლევან ნიქვაძე, ნოდარ ჩხაიძე.

საქართველოს 12 წლამდე ჩემპიონატი ჭადრაკში ქუთაისი, 12-21 მაისი, 2005 წ.
მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე. ჩემპიონატის მონაწილეები.

მწვრთნელი ინგა არსენიძე
პირველ რიგში, მარცხნიდან მარჯვნივ: ბესიკ გრძელიძე, ზურა ცირამუა, ოთიკო სინაურიძე. II რიგი: გიორგი გეგუჩაძე, ლალი შეყილაძე, დათო ახალაძე, ქრისტინე ცუცქირიძე, ბაქარი ცირეკიძე.
III რიგში: ანა მონონელიძე, გიგი ვადაქკორია.

მწვრთნელი ფრიდონ ერისთავი
მოსწავლეები, მარცხნიდან მარჯვნივ: თემურ ჭოლაძე, გვანცა კუხიანიძე, ირაკლი მარგველაშვილი, დათო ბერუაშვილი.

ჭადრაკის მწვრთნელი ნინო პარდოსანიძე
მარცხნიდან მარჯვნივ: მეელუდ საკანდელიძე, ლევან ჯიბაშვილი, ანა მალლაკელიძე, ჯონი ელკადი, ნანა ნიჟარაძე, დათო ღიბრაძე.



მწვრთნელი ირინა ქლიმჩუკი და მისი მოსწაულეები.



ალექსანდრე არსენიძე
მარცხნიდან მარჯვნივ: გუჯა ბაბუნაშვილი, გიორგი დანგაძე, მარიამ გაბუნია, ანა შამათავა, ნიკა კიკვაძე და ანა ბერძენაძე.

საერთაშორისო ტურნირი სწრაფ ჭადრაკში „სავარდო და სამაისო“ ქუთაისი-2005წ. მარცხნიდან მარჯვნივ: ალექსანდრე არსენიძე, აკაკი სონგულია, გია გიორგაძე, ტარიელ ძოწენიძე, ბესიკ გულორდავა, გია თეედორაძე.



საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გია მენაბდე.
მარცხნიდან მარჯვნივ: ნინო ჩორგოლაშვილი, ზურაბ ჯავახაძე, ანა მარდალეიშვილი, ბექა ნემსაძე, ნინო მეფარიძე, დათო ბენიძე.

საჩხერე

საჩხერეში საჭადრაკო საქმის პოპულარობა დაკავშირებულია ცნობილი თავადების წერეთლების სახელთან. მე-19 საუკუნის ქუთაისის საოჯახო სალონებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჭადრაკი. აკაკის მამა როსტომ წერეთელი და საქართველოს ბულბულიც ჭადრაკის დიდი მოყვარულები იყვნენ და ქუთაისის საოჯახო სალონებში ხშირად იღებდნენ მონაწილეობას. დიდი როსტომ წერეთელი ბუნებრივია საჩხერეშიც არ ივიწყებდა სიბრძნის თამაშს და ხშირად ეპაექრებოდა ჩამოსულ სტუმრებს. აკაკი წერეთელი „ჩემს თავგადასავალში" წერს: „მამაჩემი თავის დროზე განთქმული მოჭადრაკე იყო. ვერავინ უგებდა. განსაკუთრებით გენერლის შტაბის ოფიცრები იყვნენ მონდომებულები, რომ როგორმე მოეგოთ, მაგრამ ვერას აწყობდნენ. ერთხელ გენერალ—გუბერნატორს გ. ერისთავს შემოუთვლია ტფილისიდან „ერთი შესანიშნავი მოჭადრაკე პოლკოვნიკი გვეწვია, შენთან თამაში სურს და, თუ დრო გაქვს, მოდი, ჩემთან არისო. აბა შენ იცი, თუ შენებურად გვასახელებ ქართველებსო." მამაჩემიც წავიდა და გაიმართა თამაშობა. პოლკოვნიკმა დაინახა, რომ მოპირდაპირე ახირებულად ეთამაშებოდა და ჰკითხა: „თქვენ როგორც პირველსავე გამოსვლაზე გეტყობათ, თეორია არ უნდა იცოდეთ. კუთხის პაიკი რა ხელმოსაკიდებელი იყო?

—თეორია რა არის? —ეკითხება მამაჩემი.

—სხვადასხვა სათამაშო კანონები.

—ჩვენ ქართველებმა ერთი კანონის მეტი არ ვიცით რა: ისე უნდა ითამაშო, რომ მოპირდაპირეს მოუგო.

—ეს მართალია, მაგრამ უთეორიოდ არ შეიძლება.

—არ ამიხსნით მაინც რა არის თეორია?

—სხვადასხვა გამოჩენილ მოჭადრაკეთა ნათამაშები, რომელიც სხვებისთვის სამაგალითო კანონად დარჩენილა.

—პო, ისემც კარგი დაგემართოს! ისინიც ხომ ჩემისთანა მიწის შვილები იქნებოდნენ, ციდან ხომ ვერ ჩამოფრინდებოდნენ. ახლა ჩემს თამაშსაც უგდეთ ყური და თუ მოგეწონათ, ჩაწერეთ და თეორია იქნებაო.

პოლკოვნიკმა დაიწყო თამაში და არ გაუვლია დიდ ხანს, რომ კიდეც წააგო. შეწუხდა და თქვა: „აშიბკაო." ითამაშეს მეორე, კიდევ წააგო და თქვა „აშიბკაო!" მესამე, მეოთხე, მეხუთე... გაცხარებული პოლკოვნიკი აგებს და იძახის „აშიბკა აშიბკა." მამაჩემს გაეცინა და უთხრა: „პოლკოვნიკო ტყუილად ნუ ფიქრობთ, რომ მოიგო, სანამ ეს ვილაც „აშიბკა" გადაგკიდებია მაგას თავიდან არ მოიშორებო!"

ეს ხუმრობა მოპირდაპირეს ეწყინა, შეურაცხყოფად მიიღო და ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო. მამაჩემმა დამშვიდებით უპასუხა:—

ნარდი, ჭადრაკი და სათამაშოები სასიამოვნოდ და დროის გასატარებლადააო გამოგონილი ჩვენშიო. ხუმრობაც შეშვენის და მეც ჩემი ქვეყნის ჩვეულებაზე ვდგავარ, და თქვენში თუ საწყენი და გასაჯავრებელი ყოფილა, ჩემთან რა გინდა, ისევ თქვენებთან გეთამაშაო! გაჯავრებულმა დაავლო ქუდს ხელი და გამოვიდა გარეთ."

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ როსტომ წერეთელმა 1834 წელს სოფელ სხვიტორში სასახლეს რომ აშენებდა, ახლა მასში აკაკის მუზეუმია გახსნილი, ჭადრაკი არ დავიწყებია.

მუზეუმის დირექტორი ანდრო ლომიძე გვწერდა: „მშენებლები, როგორც ამას კედელში ჩატანებული სამშენებლო წარწერა გვაუწყებს, ბერძენი ხელოსნები ყოფილან. სასახლეში 5 ბუხარია, ბუხრის კვამლსადენი მილები აგებულია თლილი ქვის ფილებით. ბოლი გვერდითი ჭრილიდან გამოდის, ბუხრის ყელის თავზე ასევე თლილი ქვის ორ-ორი ფილა დევს. ამ ორი ფილის ჩაკეტვის მიზნით მასზე დგას გამოთლილი ჭადრაკის თითო ფიგურა. მეფე, ლაზიერი, ეტლი, მხედარი და კუ. ამ ფიგურებიდან ორი (კუ და ეტლი) გადარჩენილია და ამჟამადაც დგას. სამი ფიგურა განადგურებულია და ვფიქრობ, მათ აღდგენას."

გასაკვირი არ არის, რომ ასეთი ჭადრაკის ერთგული მამის შვილიც კარგი მოჭადრაკე იყო.[1]

საჩხერეში საჭადრაკო ცხოვრება გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთგვარად გამოცოცხლდა, რამეთუ საფუძველი ეყრება როგორც სასკოლო, ასევე სარაიონო ჩემპიონატებს. 1948 წელს ჩატარებულ მოჭადრაკეთა რაიონულ პირველობაზე მონაწილეობა მიუღია 10 კაცს. შეჯიბრება ორ წრედ ჩატარდა და სულ 18 ტური გათამაშდა. გამარჯვებული 14 ქულით კ. ნადირაძე გამოვიდა. მეორე და მესამე ადგილები 12,5—13,5 ქულით დაიკავეს ი. ვეშაპაძემ და გ. სადუნაშვილმა. მომდევნო ადგილები გაინაწილეს ა. აბაშიძემ, ი. ფარქოსაძემ, ზ. გუბელაძემ, ი. მღებროვმაა, გ. მაჭარაშვილმა და ა. შ.

ერთი წლის შემდეგ ჩატარებულ მოჭადრაკეთა რაიონულ პირველობაზე 12-მა მოჭადრაკემ იასპარეზა. ამჯერად გამარჯვებული 10 ქულით ი. ვეშაპაძე გამოვიდა. მეორე ადგილი 8.5 ქულა წილად ხვდა პ. ოვანოვს, მესამე ადგილი კი წინა ჩემპიონატში გამარჯვებულმა პ. თურმანიძემ დაიკავა (8 ქულა).

ჭადრაკი ასევე პოპულარობით სარგებლობდა მოსწავლე ახალგაზრდებს შორის. 1959 წლის ივლისში საჩხერეში ჩატარდა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ჭადრაკში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 1958 წლის რაიონის ჩემპიონი საჩხერის 8 წლიანი სკოლის მოსწავლე ა. ნოზაძე და არგვე-

[1] თ. გიორგაძე, ქართული ჭადრაკის მატიანე III 2000

თის საშუალო სკოლის მოსწავლე პ. ბაქრაძე. გაიმარჯვა ა. ნოზაძემ და შეინარჩუნა რაიონის ჩემპიონის საპატიო წოდება.

1965 წლის ჩატარებულ მოსწავლე მოჭადრაკეთა რაიონულ ჩემპიონატზე მონაწილეობა მიიღო 13 საშუალო და სამი რვაწლიანი სკოლის 40-მა მოსწავლემ. რაიონის კულტურის სახლი, რომელიც ასპარეზობას მასპინძლობდა ჭადრაკის მოყვარულებით იყო სავსე. გუნდურ ასპარეზობაში საპრიზო ადგილები საჩხერის მესამე, საირხისა და კოლბოურის მეორე საშუალო სკოლის გუნდებმა დაიკავეს. ჭაბუკთა პირად ასპარეზობაში იმარჯვა საჩხერის მესამე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ გ. ბარათაშვილმა. გოგონებში საპრიზო ადგილები დაიკავეს მ. ზამბახიძემ, (საჩხერის მეორე საშუალო სკოლა), თ. მჭედლიშვილმა (საირხის საშუალო სკოლა) და ე. დოღაძემ (ჯალაურის საშუალო სკოლა).

1965 წლის დეკემბერში ზემო იმერეთს დიდი ზეიმი ჰქონდა. საჩხერეს მსოფლიო საჭადრაკო მშვენება, საერთაშორისო დიდოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი ესტუმრა. გულთბილი საზეიმო შეხვედრის შემდეგ საპატიო სტუმარმა ერთდროული თამაშის სეანსი გამართა მონაწილეთა შორის მაშინ დამწყები ჟურნალისტი და მოჭადრაკე ნუგზარ მჭედლიშვილი იყო. დღეს ცნობილი ჟურნალისტი გულთბილად იგონებს აღნიშნული შეხვედრის პერიპეტიებს და ეამაყება, რომ თავისი პირველი საგაზეთო ინტერვიუ მსოფლიო ჩემპიონზე ნონა გაფრინდაშვილზე გააკეთა.

რაც მთავარია, საჩხერელებს დღესაც კარგად ახსოვთ 40 წლის წინანდელი ის საზეიმო დეკემბრის ერთი ცივი დღე და ამაყობენ კიდევაც ამით.

საინტერესოდ წარიმართა მოსწავლეთა სარაიონო პირველობა 1969 წელს, რომელშიც რაიონის 18 სკოლის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ვაჟთა შორის ო. ცარციძემ (ჯალაურის საშუალო სკოლა) იმარჯვა, ხოლო გოგონებში აბრამიშვილმა (საჩხერის მეორე საშუალო სკოლა).

2003 წლის 28 მარტს გაზეთი „ლელო“ წერდა: „საჩხერეში ჩატარდა ჭადრაკში პირველობა და რომ გაიმარჯვა შოთა ივანიშვილმა.“ დღეს იგი 70 წლისაა და ახლაც შემართებით თამაშობს ჭადრაკს. ყველას გასაოცრად მან ახლახან მეორე ადგილი დაიკავა საჩხერის საჭადრაკო პირველობაში და ფულადი პრემიაც მიიღო. მესამე ადგილი დაიკავა მეტყევე ინჟინერმა ალეკო ესებუამ. პირველობა კი არავის დაუთმო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა დათო მღებრიშვილმა, რომელმაც 10 შესაძლებლობიდან 9,5 ქულა მოაგროვა.

სამტრედია

სამტრედიაში ჭადრაკის ჩასახვისა და განვითარების საქმე მჭიდროდაა დაკავშირებული ნიკოლაძეების სახელთან. დიდი ქართველი მამულიშვილი, ცნობილი პუბლიცისტი, ეკონომისტი, მოაზროვნე და მეურნე კაცი ნიკო ნიკოლაძე დიდ ჯიხაიში ოჯახის წევრებთან თუ საპატიო სტუმრებთან ხშირად თავს ირთობდა ჭადრაკის თამაშით.

ნიკო ნიკოლაძის ოჯახში ყველა ეტრფოდა ჭადრაკს. თვითონ სასიქადულო პუბლიცისტი ხშირად ჩაბმულა საჭადრაკო ორთაბრძოლაში თავის მეგობრებთან ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან და ვანო მაჩაბელთან, რომლებიც თავის მხრივ ამ ბრძნული თამაშის დიდი მოყვარულები იყვნენ: ზოგჯერ მათ ასპარეზობას ნიკოს ვაჟი—გიორგიც ესწრებოდა. ჭადრაკმა ისიც გაიტაცა და 10 წლის იყო, როცა თავის მამიდაშვილთან ბესიკ ჭიჭინაძესთან ერთად ისწავლა თამაში.

გიორგი და ბესიკი პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ იმდროინდელ საჭადრაკო ცხოვრებაში. 1909 წელს ისინი დასწრებიან მ. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირს, სადაც პირველად უნახავთ მსოფლიო ჩემპიონის ე. ლასკერის, დიდოსტატების ა. რუბინშტეინის, კ. შლიბტერის და სხვების თამაში.

ოჯახს შემოუნახავს გიორგი ნიკოლაძის სტუდენტობისდროინდელი ჭადრაკის რვეული, რომელშიც შეტანილია ბესიკთან ნათამაშები პარტიები, შეჯიბრების ცხრილები.

მეფური თამაშის სიყვარული არც შემდგომ განელებიათ ახალგაზრდებს. თუმცა საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობას დიდი დრო მიჰქონდა. როგორც ცნობილია გიორგი ნიკოლაძე დიდი მეცნიერი გახდა, საქართველოში მეტალურგიის აღორძინების მოთავე და საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი. ხოლო ჩვენში პირველი ელექტროსადგური ზაჰესი სწორედ პროფესორ ბესარიონ ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით აშენდა[1].

სამტრედიაში საჭადრაკო ცხოვრება გასული საუკუნის 50-იან წლებში გამოცოცხლდა. 1952-53 წლებში სამტრედიელი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ ქუთაისის საოლქო ჩემპიონატებში. რაც შეეხება საქალაქო და სარაიონო მოჭადრაკეთა ჩემპიონატებს მას კიდევ უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს.

1958 წლის მაისის შუა რიცხვებში ჩატარებულ სამტრედიელ მოჭადრაკეთა საქალაქო პირველობაზე იბრძოდა 30 სპორტსმენი. შეჯიბრების მონაწილენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. პირველში

---

[1] თ. გიორგაძე, აივნის ჩრდილში, გაზე „ლელო," 166 წ. 16 აგვისტო

თამაშობდნენ წარმოება—დაწესებულებებისა და სპორტული საზოგადოებების მოჭადრაკეები. ხოლო მეორეში მოსწავლეები. პირველ ჯგუფში ჩემპიონის სახელი მოიპოვა ელექტროქსელის ელექტროტექნიკოსმა შ. ტაბიძემ, რომელმაც 10 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზეა სამტრედიის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელი ო. ჟორჟოლიანი (9,5 ქულა), მესამეზე „პირველი მაისის" წარმომადგენელი ი. ბარგალატი. მოსწავლეთა შორის პირველი იყო პირველი საშუალო სკოლის მოსწავლე თ. ლოლომაძე (14 ქულა), მეორე ადგილი დაიკავა ამავე სკოლის მოსწავლემ ა. მაჩიტაძემ. (112,5 ქულა), მესამე რკინიგზის 24-ე საშუალო სკოლის მოსწავლე თ. ნიკოლეიშვილმა[1].

60-იან წლებში სამტრედიის კულტურის სახლთან ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა ჭადრაკის წრე, რომელსაც თავისი ოთახი, ინვენტარი და ხელმღვანელი გააჩნდა. სამტრედიელები აქტიურად არიან ჩაბმული წრის მუშაობაში. ამას წინათ საინტერესოდ ჩატარდა წრის წევრთა მატჩი ქალაქის საავადმყოფოს მოჭადრაკეებთან, 10 დაფაზე შეხვედრა მოიგეს კულტურის სახლის მოჭადრაკეებმა 8:2, განმეორებით შეხვედრაში, რომელიც ექიმების „მოედანზე" გაიმართა, რევანში არ შედგა, საავადმყოფოს ნაკრებმა კვლავ განიცადა დამარცხება 2,5:9,5.

სისტემატური ხასიათი მიიღო რაიონის სკოლების მოჭადრაკეთა შეჯიბრებებმა, რომელშიც ყველა სკოლების ნორჩი მოჭადრაკეები იღებდნენ მონაწილეობას.

1966 წელს ჩატარებულ რაიონების მოჭადრაკეთა გუნდურ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღეს სამტრედიის მეორე, მესამე, რკინიგზის მე-14, კულაშის ვ. სტურუასა და კ. მკურნალის სახელობის დიდი ჯიხაიშის, საჯავახოს, ბაშის და იანეთის საშუალო სკოლის გუნდებმა. პირველი მეორე ადგილები გაიყვეს მეორე და რკინიგზის მე-14 სკოლების მოჭადრაკეებმა, სოფლის სასწავლებელთა შორის კი უძლიერესი სახელი დაისაკუთრა კულაშის ვ. სტურუას სახელობის სკოლის გუნდმა. პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგი აჩვენა დიდმა ჯიხაიშელმა მოსწავლემ ნ. რუხაძემ (5 ქულა ხუთიდან).

მოჭადრაკე ვაჟთა საქალაქო ტურნირები ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. 1971 წელს ჩატარებულ მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაზე 11-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. უძლიერესის სახელი მოიხვეჭა ოსტატობის კანდიდატმა მ. არჩვაძემ, რომელმაც 9 შეხვედრა მოიგო და ერთი ყაიმით დაამთავრა, გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა პირველთანრიგოსანი ა. მაჩიტიძე, მესამე ადგილი ხვდა პირველთანრიგოსან ა. ტორონჯაძეს.

---

[1] გაზეთი „ლელო," 1958 წელი, 22 აპრილი

რაიონში კარგი რეპუტაციით სარგებლობდნენ ცნობილი მოჭადრაკეები მ. არჩვაძე, ა. მაჩიტიძე, რომლებიც წლების მანძილზე რესპუბლიკურ ტურნირებშიც ასპარეზობდნენ. რესპუბლიკურ ტურნირებში ასევე ასპარეზობდნენ რ. შანიძე, შ. ტაბიძე, ს. ბარლამატა, მ. კიკაჩეიშვილი, ა. ტორონჯაძე და სხვები.

რაც შეეხება ნიჭიერ სამტრედიელ მოჭადრაკეს სოფიკო ტერელაძეს, მას არაერთ რესპუბლიკურ და საკავშირო პირველობებზე უსახელებია თავი. რესპუბლიკის სპორტის გულშემატკივრები ნიჭიერი მოჭადრაკისაგან ახალ წარმატებებს მოელოდნენ და არცთუ უსაფუძვლოდ.

80-იან წლებში ქალაქ სამტრედიასა და რაიონულ სპორტულ ცხოვრებაში აშკარად იგრძნობა დიდი საჭადრაკო და საშაშო ციებცხელება. რაც მთავარია მოვიდა ნიჭიერი თაობა ახალგაზრდა სპორტსმენებისა, რომლებმაც სარეკორდო დროში თავი ისახელეს როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო არენაზე. 1983 წლის 19 მარტს გაზეთი „წინსვლა" წერდა: „ახლახან გორში დამთავრდა საქართველოს 1983 წლის პირადი პირველობის შესარჩევი ტურნირი ჭადრაკში ვაჟთა შორის, რომელიც შვეიცარული სისტემით ჩატარდა 13 ტურად, მონაწილეობდა რესპუბლიკის 38 მოჭადრაკე. მათ შორის 18 ოსტატობის კანდიდატი. ბრძოლა მიმდინარეობდა უმაღლესი ლიგის ერთი და პირველი ლიგის 5 საგზურისათვის.

ამ ტურნირში ჩვენი რაიონის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ოსტატობის კანდიდატები: რ. კაპანაძე, ვ. ჩხაიძე, ს. ელბაქიძე, ვ. ლეჟავა, მ. არჩვაძე, პირველთანრიგოსანი ა. გურიელიძე, მეორეთანრიგოსანი კ. მიქაძე. თუ თვალს გადავავლებთ გასული წლის როგორც საჭადრაკო კლუბის, ასევე რაიონის პირველობათა შედეგებს, რამდენადაც პრესაში არ გამოქვეყნებულა შესაბამისი მასალა ვფიქრობთ მათი გაცნობა მკითხველთათვის საინტერესო იქნება და ნათელი გახდება თუ როგორ ემზადებოდნენ ჩვენი მოჭადრაკეები.

საჭადრაკო კლუბის მეორე ჩემპიონატში, რომელიც 1982 წლის ნოემბერში გაიმართა ადგილები ასე განაწილდა: 9 შესაძლებლობიდან 8-8 ქულა დააგროვეს და პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს მ. არჩვაძემ და ზ. კაპანაძემ. მესამე-მეოთხე ადგილებზე 5-5 ქულით გამოვიდნენ მ. ჩხაიძე და მ. ლეჟავა. მომდევნო ადგილზეა ა. მაჩიტიძე (4,5 ქულა), ი. იოსელიანი (4 ქულა), ზ. ხვედელიძე, ვ. მორჩაძე (3,5 ქულა), ა. გურიელი (3 ქულა), ზ. ჩხეიძე (0,5 ქულა).

რაიონის 1982 წლის დეკემბრის ჩემპიონატში ნ. არჩვაძემ 8 შესაძლებლობიდან 7 ქულა დააგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ვ. ჩხაიძე და ვ. კარანაძე (5,5 ქულა), მეოთხეზე ნ. ლეკვეიშვილი (5 ქულა), მეხუთეზე კ. ძნელაძე (4,5 ქულა), მეექვსეზე გ. ლეჟავა (4 ქულა), მეშვიდეზე ა. გუ-

რიელიძე (2 ქულა), მერვეზე დ. დანელია (1,5 ქულა), მეცხრეზე მ. ბოკელავაძე (1 ქულა).

ნიჭიერი მოჭადრაკეები ზეინაბ ხვედელიძე, ნანა ლეჟავა, გოჩა ჩაჩუა, ინგა ბოცვაძე, სოფიკო დარჯანია, თამრიკო შენგელია, ელგუჯა მორჩაძე, თამარ თვალავაძე, ალექსანდრე ვაშაკიძე, ბაჩუკი ჩაბრაძე, ელა ხუჭუა, ბადრი მიქაძე და სხვები წარმატებებს აღწევენ რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირებში.

1984 წელს ქალაქ სტალინგრადში ჩატარებულ სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე 14 მონაწილეს შორის ნანა ლეჟავა პირველი იყო (მწვრთნელი ანზორ მაჩიტიძე).

1983 წლის აპრილის დეკადაში თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის საშუალო სკოლების ფინალური, გუნდური პირველობა ჭადრაკში გარდამავალ თასზე, მიძღვნილი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მ. შიშოვისადმი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: ზონებში გამარჯვებულნი თბილისის №1, ქუთაისის №23-ე, ზესტაფონის №7, ხაშურის №3, ოჩამჩირის №15, და სამტრედიის №24 საშუალო სკოლის ნაკრები გუნდები. (თითოეულ გუნდში გამოდიოდა ორი ვაჟი და ერთი გოგონა).

ტურნირი, რომელიც წრიული სისტემით ერთ წრედ ჩატარდა, სამტრედიელების გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებულ გუნდში გამოდიოდნენ პირველ დაფაზე სპორტის ოსტატობის კანდიდატი კობა ძიძიგური, მეორე დაფაზე პირველთანრიგოსანი დავით დანელია, მესამე დაფაზე თამრიკო თვალავაძე. აღსანიშნავია, რომ სამტრედიის №24 საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა გუნდმა ასევე იმარჯვა ამ ტურნირზე 1982 წელს, როცა სახელოვანი მოჭადრაკის ხსოვნისადმი მიძღვნილ გარდამავალ თასის გათამაშებას ჩაეყარა საფუძველი.

საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა სამტრედიის საჭადრაკო კლუბში 1980 წელს ჩატარებული სკოლის საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც იმით განსხვავდებოდა წინათ ჩატარებული ფესტივალისაგან, რომ მისი გეოგრაფიული არე გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს. გათამაშებაში თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, გორის, ცხაკაიას, ახალციხის, წყალტუბოს, წულუკიძის, ვანის, წალენჯიხის და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობდნენ ლიპეცკელი მოჭადრაკეები. ფესტივალი მიეძღვნა გეორგიევსკის 200 წლისთავს. უმაღლეს ჯგუფში სადაც სპორტის ოსტატობის კანდიდატები და თანრიგოსნები გამოდიოდნენ შვიდი შესაძლებლობიდან 6,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა საჭადრაკო სკოლის აღზრდილმა მოსწავლემ ქუთაისელმა ელგუჯა მორჩაძემ. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ სამტრედიელი

ნანა ლეჟავა და ლიპეცკელი მაქსიმ ლოგინოვი. მეოთხე ადგილზე სამტრედიელი ტარიელ ძნელაძე გამოვიდა.

მეორეთანრიგოსნები დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გამარჯვებული სამეული ასე გამოიყურებოდა: რომან სიჯინავა (ცხაკაია), დავით სამსონიძე (ახალციხე), თამრიკო თვალავაძე (სამტრედია).

მეორე ჯგუფში თბილისელმა ზურაბ იაგორაშვილმა იმარჯვა, 10 წლის სამტრედიელი ალექსანდრე ვაშაკიძე მესამე იყო.

მესამე თანრიგოსანთა შორის იმარჯვა თბილისელმა ოთარ მაისურაძემ, სამტრედიელებმა ბაჩუკი ჩაბრაძემ და ლელა ხუჯაძემ მეორე მესამე ადგილები დაიკავეს. ასევე კარგად იასპარეზეს სამტრედიელმა მოსწავლეებმა ბადრი მიქაძემ, ნანა ლეჟავამ და თ. თვალავაძემ.

1983 წლის 1 ნოემბერს სამტრედიის გაზეთი „წინსვლა“ წერდა: ქ. გორში 15 დღეს მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ მოზარდთა რესპუბლიკური ჩემპიონატი ჭადრაკში. შეჯიბრებებში ჭაბუკთა შორის ასპარეზობდა სამტრედიის №3 საშუალო სკოლის მე-5 კლასელი ს. ტერელაძე, მან დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, 13 შესაძლებლობიდან 10 ქულა დააგროვა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ სოფიკო პირველ ადგილზე გამოსულ ნ. სუპატაშვილს ერთი ქულით ჩამორჩა, ხოლო მეორე ადგილზე გამოსულ გორელ გ. ნადირაძეს—0,5 ქულით. გოგონებს შორის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ სამტრედიის საჭადრაკო სკოლის მოსწავლეები ნ. ლეჟავა და მ. დუნდუა. კარგად იასპარეზა დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ნ. ლეჟავამ, რომელიც მესამე ადგილზე გამოვიდა და 0,5 ქულით ჩამორჩა პირველ-მეორე ადგილზე გასულ ბასილაძეს (გორი) და გაბადაძეს (ქუთაისი).

აღნიშნულ ტურნირში ჩვენი რაიონის მეორე წარმომადგენელი—რკინიგზის №24-საშუალო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე მაია დუნდუა მე-7 ადგილს დასჯერდა.

სამტრედიის საჭადრაკო სკოლამ არაერთი ნიჭიერი მოჭადრაკე წარმოაჩინა, ერთ-ერთი მათგანია ზეინაბ ხვედელიძე, მისი პირველი მასწავლებელი, ოსტატობის კანდიდატი, სამტრედიელი მერაბ არჩვაძე იყო. ეს ხდება 1980 წელს. ერთი წლის შემდეგ სამტრედიელმა საოცრებამ საკავშირო ტურნირზეც ისახელა თავი. ამასთან დაკავშირებით 1981 წელს გაზეთ „წინსვლა“ წერდა: პირველიდან 17 აგვისტომდე ქ. სლავიანსკში (დონეცკის ოლქი) მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა ჭადრაკში გოგონათა შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდა 14 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი მო-

ჭადრაკე გოგონა ლენინგრადიდან, კიევიდან, მინსკიდან, ბაქოდან და მოძმე რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ღირსების დაცვა მიენდო სამტრედიელ პირველთანრიგოსან ზეინაბ ხვედელიძეს, (უმაღლესი დაოსტატების №1 რესპუბლიკური სკოლა), მწვრთნელი ოსტატობის კანდიდატი მერაბ არჩვაძე. ზეინაბმა დიდი აღმავლობით ჩაატარა ეს მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრება. ტურნირის მსვლელობისას იგი მუდმივად იმყოფებოდა ლიდერთა ჯგუფში. გაიმარჯვა 6 პარტიაში, 6 ყაიმით დაამთავრა, და მხოლოდ ერთხელ ცნო თავი დამარცხებულად. ზ. ხვედელიძემ საბოლოოდ 13 შესაძლებლობიდან 9 ქულა მოაგროვა და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, პირველი ადგილი წილად ხვდა კიეველ ოსტატობის კანდიდატს ი. ბერეზინას.

ამ ასპარეზობამ ნიჭიერ მოჭადრაკე გოგონას კარგი სპორტული თვისებები გამოავლინა,—თქვა ოსტატობის კანდიდატმა რაულ კაპანაძემ, რომელიც ახლდა ზ. ხვედელიძეს და ქმედით დახმარებას უწევდა სლავინსკში გამოსვლისას. მომავალ წელს ზ. ხვედელიძე, როგორც „სპარტაკის" ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პროფსაბჭოს პირად პირველობაში გოგონათა შორის. 15 სექტემბერს კი სპარტაკელი მოჭადრაკეები ზეინაბ ხვედელიძე და სოფიკო ტერელაძე მონაწილეობას მიიღებენ ქობულეთში უმცროსი ასაკის მოსწავლეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში, წარმატება ვუსურვოთ მათ[1].

იმავე წელს საქართველოს პირველობაზე 13 წლის ასაკის გოგონათა შორის ზეინაბ ხვედელიძემ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

1982 წელს რესპუბლიკის მოსწავლეთა გუნდურ პირველობაში მან თავის დაფაზე 7-დან 7 ქულა მოაგროვა და ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. 1983 წელს პირველი იყო საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში, ხოლო ფინალში მესამე ადგილზე გავიდა, დიდი წარმატებით (მეორე ადგილი) ითამაშა მან შეიარაღებული ძალების გოგონათა პირველობაში, ის, რომ შეიარაღებული ძალების ნაკრებმა წლეულს სსრ კავშირის თასი მოიპოვა, ამ გუნდის წევრის ზეინაბ ხვედელიძის დამსახურებაც არის.

რა თქმა უნდა, ცალკე აღნიშვნის ღირსია ცნობილი ოსტატის სოფიკო ტერელაძის სპორტული მიღწევები. სპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, როცა სამტრედიას ცნობილი დიდოსტატი დავით ბრონშტეინი ეწვია, მაშინ ხომ მისმა საგაზეთო წერილმა სათაურით „სამტრედიელი სოფიკო," რომელიც გაზეთ „იზვესტიაში" დაიბეჭდა, არაერთი საკავშირო და რესპუბლიკური პრესა მოიარა. ნიჭიერი მოჭადრაკის წარმოჩენა საჭადრაკო სარბიელზე ამაგდარი

[1] გაზ. „წინსვლა." 1981 წ. 10 სექტემბერი

მწვრთნელების: რაულ კაპანაძის, ნიკოლოზ ლეკვეიშვილის და კიეველი ოსტატის ჟიდკოვსკის დიდი დამსახურება იყო.

1982 წლის 15 აპრილს გაზეთმა „წინსვლამ" ვრცელი წერილი უძღვნა სამტრედიელი მოჭადრაკეების წარმატებას რესპუბლიკურ ტურნირზე. 18 მარტიდან 7 აპრილამდე წულუკიძეში ჩატარდა საქართველოს 1982 წლის პირველობის ნახევარფინალური ტურნირი ქალთა შორის, შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 18 წარმომადგენელი. სამტრედიის რაიონიდან ტურნირში ფინალის საპატიო საგზურისათვის ბრძოლაში სამი პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე მონაწილეობდა, დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლის მე-6 კლასელი ინგა სალდაძე (მწვრთნელი ა. მაჩიტიძე). რკინიგზის სამტრედიის მე-14 საშუალო სკოლის მე-7 კლასელი ზეინაბ ხვედელიძე და სამტრედის №3 საშუალო სკოლის მესამე კლასელი სოფიკო ტერელაძე (ორთავეს მწვრთნელი მ. არჩვაძე). შეჯიბრების პირველი სამი პრიზიორი საქართველოს პირველობის ფინალის საგზურს იღებდა.

სამტრედიის მოჭადრაკეების მომზადების დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი ტურნირის მსვლელობის მანძილზე ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდნენ და საპატიო შედეგიც მიიღეს. ორი მათგანი ზეინაბ ხვედელიძე და სოფიკო ტერელაძე ფინალური საგზურის მფლობელები იყვნენ. ზ. ხვედელიძემ 17 შესაძლებლობიდან 14 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ს. ტერელაძემ მესამე მეოთხე ადგილები გაიყო ქუთაისელ მაკა ცხვედიანთან ერთად. 13-13 ქულა კოეფიციენტთა უკეთესი მაჩვენებლებით მესამე ადგილი სამტრედიელ ნორჩ მოჭადრაკეს მიეკუთვნა. ინგა სალდაძემ 15.5 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ზ. ხვედელიძე მეორედ ითამაშებს ფინალში, ხოლო ს. ტერელაძე საქართველოს პირველობის გათამაშების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნორჩი მონაწილე იქნება.[1]

სასიამოვნო იყო სამტრედიელი ნიჭიერი მოჭადრაკეების ასპარეზობა სხვადასხვა რანგის რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირებზე. 1983 წელს ქუთაისში გამართულ უმაღლესი სპორტული დოსტატების რესპუბლიკის №1 სკოლის (დირექტორი კ. გონაძე) გუნდური პირველობა ჭადრაკში ნათქვამის ნათელი დადასტურებაა. აღნიშნულ შეჯიბრებაში, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ ქუთაისის (სამი), სამტრედიის (ორი), გორის, ცხაკაიის და წულუკიძის გუნდები, შეჯიბრებაში 40 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ოსტატებიც: ქუთაისელი თამილა მესხი, გორელი ციალა ქასოშვილი და 10 სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

---

[1] გაზ.: „წინსვლა". 1982 წ. 15 აპრილი

უძლიერესის სახელი 28 ქულით 35 შესაძლებლობიდან მოიპოვა ქუთაისის პირველმა გუნდმა. მეორე ადგილზე 24 ქულით გავიდა სამტრედიის პირველი გუნდი (მწვრთნელი ოსტატობის კანდიდატი მ. არჩვაძე), გუნდის შემადგენლობაში დაფების მიხედვით გამოდიოდნენ: ნ. ლეჟავა, გ. მახნიაშვილი, ა. გურულიძე, კ. მიქაძე, ზ. ხვედელიძე. სამტრედიის მეორე გუნდს (მწვრთნელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. მაჩიტიძე) 20 ქულით წილად ხვდა მეოთხე ადგილი. აქ გამოდიოდნენ კ. ძიძიგური, კ. ძნელაძე, ბ. დანელია, მ. ოკალავაძე, ი. სალდაძე.

გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ სათანადო პრიზებით.

1985 წელს სამტრედიამ „თეთრი ეტლის" პრიზის საკავშირო გათამაშებას უმასპინძლა. მასპინძლები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ნორჩ მოჭადრაკეთა პაექრობას.

ქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა მორიგ 43-ე ჩემპიონატმა, რომელიც 1986 წლის მაისივნისში გაიმართა. ჩემპიონატი 13 წლის სამტრედიელი გოგონას, სოფიკო ტორელიძის, გამარჯვებით დამთავრდა, რომელიც პირველი სპორტის ოსტატია ჭადრაკში სამტრედიიდან.

ცნობილი ენთუზიასტის და ჭადრაკის დიდი მოყვარულის, მწვრთნელის და აღმზრდელის ანზორ მაჩიტიძის დიდი შრომის შედეგად პროფკავშირთა საზოგადოების სამტრედიის რაისაბჭოსთან, საფუძველი ჩაეყარა საჭადრაკო სკოლა-კოოპერატივს „როქის". „როქელები" წარმატებებს აღწევენ სხვადასხვა რანგის ტურნირებში. ასე იყო ვოლგოგრადში, მოსკოვში, ლენინგრადსა და ხარკოვში, სადაც სამტრედიელები მოხდენილი თამაშით ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყვნენ.

მოსკოვის ოლქის ქალაქ ფრიაზინოში სამტრედიელებმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს, სადაც თავი ისახელეს ინგა ბოცვაძემ და სოფიკო დარჯანიამ. ლენინგრადში წარმატება ხვდა 13 წლის გოჩა ჩაჩუას, ხოლო ხარკოვში ასევე კარგად იასპარეზა მაკა მაჩიტიძემ.

სამტრედიელებმა ორჯერ იასპარეზეს ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც მოწონება ხვდა „როქის" მწვრთნელებს ინგა ნინუას და ინგა სულდაძეს. სხვათა შორის სოფიის საერთაშორისო ტურნირზე ასევე თავი ისახელეს მამა-შვილმა რევაზ და ვახტანგ შანიძეებმა. უკანასკნელ წლებში ყურადღება მიიქცია ანზორ მაჩიტაძის კიდევ ერთმა ნორჩმა შეგირდმა, რომელმაც წარმატებით იასპარეზა იუნიორთა რესპუბლიკურ ტურნირებში.

სამტრედიის საჭადრაკო ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ცნობილი ენთუზიასტების ანზორ მაჩიტიძის და მერაბ არჩვაძის

სახელთან. სწორედ მათი ინიციატივით რაიონში ტრადიციად იქცა სხვადასხვა რანგის მოჭადრაკეთა ტურნირების ჩატარება, სადაც წარმატებით გამოდიოდნენ და სამტრედიის ჩემპიონები იყვნენ შოთა ქაბიძე, როდიკო ჟორჟოლიანი, მერაბ არჩვაძე, ანზორ მაჩიტიძე და სხვები.

სამწუხაროდ, 2001 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა ანზორ მაჩიტიძე. მრავალი მოჭადრაკის აღმზრდელი, 1983 წელს სამტრედიაში ჩატარებული გიორგი ნიკოლაძის, ხოლო 1984 და 1985 წლებში ვანში ჩატარებული გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მემორიალის ჩატარების ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი.

2002 წელს გამოვიდა ანზორ მაჩიტიძის წიგნი „საშამათო ფინალები". სამწუხაროდ ავტორი წიგნის გამოსვლას ვერ მოესწრო.[1]

სამტრედიის საჭადრაკო ცხოვრება კვლავაც გრძელდება.

უკანასკნელ წლებში საქართველოს საჭადრაკო ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა სამტრედიელი ოსტატის მერი არაბიძის სახით. ნიჭიერი გოგონა დღეს სულ რაღაც 12 წლისაა, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად ქ. სამტრედიის მესამე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლემ მოასწრო საჭადრაკო უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა თავისი ასაკის თანატოლებს შორის. სამტრედიის, იმერეთის და საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა უკვე ორჯერ მოასწრო 10 და 12 წლის გოგონებს შორის მოეპოვებინა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდება. ორი წლის წინათ ასევე იმარჯვა 2003 წლის საერთაშორისო ფესტივალსა და შავი ზღვის საჭადრაკო ფესტივალის „ფოთი—2003"— ტურნირებზე. მერი არაბიძე უდროოდ გარდაცვლილი ცნობილი მოჭადრაკის, მოძღვარის და მოქალაქის ანზორ მაჩიტიძის აღმოჩენაა. დღეს კი ნორჩ შეგირდს საჭადრაკო საქმიანობაში ახალგაზრდა და ნიჭიერი მწვრთნელი გოჩა ჩაჩუა აკვალიანებს, ერთი სიტყვით ახალგაზრდა ჭადრაკის ოსტატი მომავალ გამარჯვებებს გვპირდება.

[1]

[1] თ. გიორგაძე, ქართული ჭადრაკის მატიანე. თბ. 2000 წ.

ზესტაფონი

ომის წინა წლებში ზესტაფონლებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ჭადრაკი. წარმოება-დაწესებულებებთან ყალიბდება საჭადრაკო წრეები, რომელთა საქმიანობის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის რესპუბლიკური პრესა. რაც მთავარია ზესტაფონლები არ კმაყოფილდებოდნენ საქალაქო და რაიონული ტურნირებით, მონაწილეობდნენ საქალაქთაშორისო შეხვედრებსა და რესპუბლიკურ ტურნირებში. 1937 წლის გაზეთ „ფიზკულტურელის" ცნობით: „მიმდინარე წელს ჯუღელის რაიონში ჩატარდა ჭადრაკში ორი სერიოზული მატჩი, სადაც გამოვლინდა საუკეთესო მოჭადრაკეები: ტიხოგოვი, სტატნიკოვი, არაბიძე, ჩიქობავა და სხვა.

ეს ამხანაგები დაჯილდოვებული იქნენ კომიტეტის მიერ, მაგრამ სპორტის საქმეთა კომიტეტმა დღემდე ვერ მოახერხა საკვალიფიკაციო ბარათების და ჯილდოების გადაცემა. საჭადრაკო საქმის განვითარებას ფიზკულტურის კომიტეტის მაგალითით არც ცალკეულ სპორტსაზოგადოებებში აქცევენ ყურადღებას. „სპარტაკში" და ქ. ჯუღელში ეს საქმე სრულიად მივიწყებულია. უნდა ითქვას, რომ საქართველოს საშაშო-საჭადრაკო სექციაც მხოლოდ ინსტრუქციების გზავნით კმაყოფილდება და პრაქტიკულად არავითარ დახმარებას არ უწევს რაიონს. საჭადრაკო საქმეს მეტი ყურადღება ესაჭიროება რაიონებში."[1]

იმავე გაზეთის ცნობით „ზესტაფონში ჭადრაკის საუკეთესო მოჭადრაკეები არიან და იქ არის სრული შესაძლებლობა საჭადრაკო მუშაობის გაშლისათვის. მაგრამ ფიზკულტურის საქმეთა კომიტეტი (თავ-რე გ. არჩვაძე) ვერ ხედავს ამ შესაძლებლობას. მას სთხოვენ რაიონში საჭადრაკო მუშაობისათვის დახმარების გაწევას. შეეძინა საჭადრაკო დაფები, გამოეძებნა საჭადრაკო ოთახი, მაგრამ ამაოდ. თხოვნა თხოვნად რჩება და დღემდე ამ დარგში არაფერი გაკეთებულა, ასეთივე მდგომარეობაა ფერომარგანეცის ქარხნის მუშათა კლუბში. აქ უწინ გაშლილი იყო საჭადრაკო მუშაობა. ახლა კი საჭადრაკო ოთახი კლუბმა დაისაკუთრა და მუშაობა შეჩერდა, როდემდის გაგრძელდება ეს მდგომარეობა."[2]

---

[1] გაზეთი „ფიზკულტურელი", 1937 წელი, 15 აგვისტო
[2] გაზეთი „ფიზკულტურელი", 1937 წელი, 5 დეკემბერი

1938 წლის იანვრის მეორე დეკადაში დაიწყო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშათა საქარხნო პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 20 მოჭადრაკე ასპარეზობდა, მათ შორის 1937 წლის ჩემპიონი ცირეკიძე, აგრეთვე ვ. საყვარელიძე, ტიხონოვი, ჭანტურია და სხვები. საყურადღებოა, რომ ფეროშენადნობთა ქარხნის სპორტულ ცხოვრებაში ტრადიციად დამკვიდრდა მოჭადრაკეთა ყოველწლიური საქარხნო ჩემპიონატები. მაშინ ქარხანაში ძლიერი მოჭადრაკეები იყვნენ: ცირეკიძე, შათირიშვილი, საყვარელიძე, კიშინსკი, შადრინი, სახვაძე, კრუჟენსკი და სხვები.

ქართული ჭადრაკის მემატიანე, საერთაშორისო არბიტრი ჟურნალისტი თენგიზ გიორგაძე იგონებს: „მეორე მსოფლიოს ომამდე ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მოჭადრაკეები მართავდნენ ამხანაგურ მატჩებს მეზობელი ქალაქების გუნდებთან. მაშინ ქარხნის ძლიერ მოჭადრაკეებად ითვლებოდნენ ახალგაზრდა ინჟინრები გ. შათირიშვილი, ვ. საყვარელიძე, გ. ცირეკიძე, ს. სააკიანი და სხვები.

იმედია კადნიერებაში არ ჩამომართევთ ქარხნის 1938 წლის პირველობაში მეც 13 წლის ბიჭი ვღებულობდი მონაწილეობას.

ცხადია, ზესტაფონის რაიონის მოსწავლეთა პირველობებიც ტარდებოდა. სხვათა შორის 1940 წლის პირველობაში რომ გავიმარჯვე, თბილისში გამომგზავნეს საქართველოს ჩემპიონატზე. აქაც პირველი ვიყავი, რაც, რა თქმა უნდა, დღესაც ძალიან მეამაყება.“[1]

1946 წლის მაისის პირველ რიცხვში ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა მოჭადრაკეთა საქალაქო ტურნირი ჩაატარა, რომელშიც ათი კაცი მონაწილეობდა, გაიმარჯვა მ. მეხოილმა, ხოლო მეორე ადგილი ს. ჩიქობავას ხვდა წილად.

იმავე წლის მაისის მეორე ნახევარში ზესტაფონს ცნობილი მოჭადრაკე თენგიზ გიორგაძე ეწვია. გამოცდილმა მოჭადრაკემ მოიწონა დ. გურიელის, გურამ კვინიკაძის, ზ. არაბიძის, გურამ სირაძის და ბონდო ლაცაბიძის კარგი თამაში ერთდროული თამაშების სეანსების ჩატარების დროს.

1959 წელს ჩატარებულ სარაიონო პირველობაზე საპრიზო ადგილები გაიყვეს ს. ჩიქობავამ, ი. თოლორაიამ და მ. ცირეკიძემ.

---

[1] თ. გიორგაძე, ქართული ჭადრაკის მატეანე. 3, 2000 წელი

რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი მოჭადრაკეების ხშირი სტუმარი იყო პირველთანრიგოსანი ლ. სახვაძე. 1972 წლის 10 ნოემბერს მან მოსწავლეებთან 24 დაფაზე ერთდროული თამაშების სეანსი გამართა. 19 დაფაზე ლ. სახვაძემ იმარჯვა. დამარცხდა მოსწავლეებთან ზ. ბიწაძესთან, ზ. კოპაძესთან, ზ. თაბაგართან და მარინე კარანაძესთან, ყაიმით დამთავრდა შეხვედრა თინათინ ხუსკივაძესთან. იმ წლებში ზესტაფონის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე გურამ თურქაძე წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა რანგის მოჭადრაკეთა ტურნირებში. რამდენიმე წლის წინათ ნაამაგარ მოჭადრაკეს ეროვნული ოსტატის წოდება მიანიჭეს.

ზესტაფონში საქალაქო და სარაიონო საჭადრაკო ცხოვრებას შეიძლება ითქვას მეორე საჭადრაკო სუნთქვა მაშინ გაეხსნა, როცა ქალაქში საჭადრაკო კლუბი გაიხსნა, რომელსაც სათავეში ახალგაზრდა ინჟინერი, ჭადრაკის დიდი ტრფიალი, ჯემალ მახათაძე ჩაუდგა. სწორედ ამ კაცის დიდი დამსახურებაა, რომ ტრადიციად იქცა საქალაქო და სარაიონო მოჭადრაკეთა ტურნირები, ზესტაფონლების მონაწილეობა მოჭადრაკეთა სხვადასხვა რანგის ტურნირებში, სახელოვანი მოჭადრაკეების მიწვევა, ერთდროული თამაშების სეანსების გამართვა და სხვა.

ცოტა უფრო გვიან ნიჭიერმა მოჭადრაკემ ჯემალ მახათაძემ ძალები საჭადრაკო კომპოზიციაშიც სცადა და, შეიძლება თამამად ითქვას, შესაშურ წარმატებებს მიაღწია. ათეული წლების მანძილზე ჩვენში თუ უცხოეთში სისტემატიურად ქვეყნდება საჭადრაკო ამოცანები და ეტიუდები, სასიხარულოა, რომ გამარჯვებულთა სიაში ხშირად ვნახავთ ნიჭიერ ზესტაფონელ მოჭადრაკეს. მისი დებიუტი საჭადრაკო კომპოზიციაში 1956 წელს დაიწყო, როცა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კონკურსში სამსვლიან ამოცანებში საქები შეფასება დაიმსახურა. აქედან მოყოლებული თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მონაწილეობს მრავალ ტურნირებში და საკმაო წარმატებითაც. არაერთხელ უმარჯვნია და დაუკავებია საპრიზო ადგილები გაზეთების „ავანგარდის“, „ლელოს“, „ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი“, „მერანი“, აგრეთვე საგარეჯოს, ვანის და ზესტაფონის საჭადრაკო კლუბების ტურნირებში. მის არქივშია გამარჯვებები „სვერდლოვსკაია პრავდას“

(1977 წ.), „ბოგატირი“ (1986წ.), 1-2 „შახ-ეხო“ (გფრ), 2 „ნევ-სტეის-მენ“ (ინგლისი 1971-72), „შახ“ (გდრ, 1976).

რაც მთავარია დღეს საჭადრაკო კომპოზიტორი თითქმის ყველა ჟანრში მუშაობს.

საჭადრაკო კომპოზიციის საქართველოს ჩემპიონატზე ჯემალ მახათაძე ჯერ კიდევ 1974 წელს გამოჩნდა, ხოლო 1989 წლის მესამე ჩემპიონატზე სამი საპრიზო ადგილი დაიკავა ორსვლიან, სამსვლიან და მრავალსვლიან ამოცანებში.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ „ფიდემ“ ოთხ ათეულ წელზე მეტია შემოიღო ე.წ. „ფიდე-ს ალბომი“ რომელშიც ჩვენი პლანეტის საუკეთესო საჭადრაკო კომპოზიტორთა ნაწარმოებებია წარმოდგენილი. 1971-1970 წლების აღნიშნულ ალბომში შეყვანილია ჯემალ მახათაძეც.

საჭადრაკო კომპოზიციაში სასახელო წარმატებებისათვის ჯემალ მახათაძეს 1977 წელს ეროვნული ოსტატის წოდება მიენიჭა.

რაც მთავარია ნიჭიერ შემოქმედს თანამოაზრენიც გამოუჩ-ნდნენ. მათ შორის აღსანიშნავია ნიკოლოზ გავაშელაშვილი, რომე-ლიც თხზავს ამოცანებს და კონკურსებშიც მონაწილეობს. დღესაც ზესტაფონის საჭადრაკო სკოლა, რომელსაც ჯემალ მახათაძე უდ-გას სათავეში ყველაფერს აკეთებს რაიონში საჭადრაკო ცხოვრების აღმასვლისთვის.

საჭადრაკო ციებ-ცხელება ვანში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება, როცა ცალკეული ენთუზიასტების მიერ კულტურის სახლთან და განათლების პროფკავშირებთან მოჭადრაკეთა პირველი სექციები ჩამოყალიბდა. სამწუხაროდ რაიონში ჭადრაკის მასიურობას და აქაური მოჭადრაკეების გამოსვლას რესპუბლიკურ სარბიელზე ხელს უშლიდა მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური პირობები. ამიტომ იყო, რომ 1957 წლის ერთ-ერთ ნომერში გაზეთი „ლელო" გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენი რესპუბლიკის რომელ რაიონშიც არ უნდა ჩახვიდეთ, ყველგან შეხვდებით ჭადრაკის მოყვარულებს. ასეა ვანის რაიონშიც, მაგრამ ისინი არ არიან დარაზმული და ამიტომ რაიონში მასობრიობის ნიშან-წყალიც არ შეიმჩნევა. დღემდე არ ეწყობა შეჯიბრებები, არ არის მოჭადრაკეთა შესაკრები ოთახი, ამიტომაა, რომ აქაურ მოჭადრაკეებს ზ. ახვლედიანს, ა. და ა. ჩიკვაშვილებს, ზ. ლუტიძეს, კ. დოლონაძეს, ა. ქანთარიას და სხვებს დღემდე არ აქვთ თანრიგი მინიჭებული, მუშაობა, რომელსაც პიონერთა სახლში მოჭადრაკე დ. ლორთქიფანიძე ეწევა, ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მოჭადრაკეთა მოთხოვნილებებს."[1]

საბედნიეროდ ენთუზიასტთა წყალობით ვანელ მოჭადრაკეთა სპორტულ საქმიანობაში მალე ხდება ძირეული გარდატეხა, ტრადიციად იქცა შიგა საკოლექტივო და სარაიონო ტურნირების ჩატარება უძლიერეს მოჭადრაკეთა მონაწილეობით. 1966 წლის მარტში გაზეთი „ლელო" იტყობინებოდა: „ამას წინათ დამთავრდა რაიონის საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა გუნდური ჩემპიონატი, თითოეულ გუნდში შედიოდა ორი ჭაბუკი და ორი გოგო. პირველობა დაისაკუთრა ვანის კიროვის სახელობის კოლექტივმა (ვ. დიასამიძე, თ. რამიშვილი, ე. შარაშენიძე და მ. კორძაძე). მეორე იყო შუამთის, ხოლო მესამე—შუაგორის საშუალო სკოლის გუნდი. დაფების მიხედვით პირველნი იყვნენ ჩიტორელიძე (შუა გორა), მეორე ო. ხელაძე (შუამთა), მესამე ე. შარაშენიძე (ვანი), მეოთხე ზ. ხურციძე (საპარასია) დაკომპლექტდა რაიონის ნაკრები, რომელიც გამოვა რესპუბლიკურ პირველობაში."[2]

1971 წელს გამართულ რაიონის მოჭადრაკეთა პირად გუნდურ პირველობაში საწარმოო-დაწესებულებათა 12 გუნდი მონაწილეობდა. შეჯიბრება დაუმარცხებლად დაამთავრა რაიკავშირის გუნდმა, რომელსაც გარდამავალი თასი და სიგელი გადაეცა. მეორე ადგილზეა „სალხინოს" საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდი. მე-

[1] გაზეთი „ლელო", 1975 წელი, 2 ივლისი
[2] გაზეთი „ლელო", 1966 წელი, 20 მარტი

სამე საპრიზო ადგილი სოფელ შუამთის კულტურის კოლექტივმა დაიკავა. პირად პირველობაში ყველას ე. მაღლაკელიძემ (რაიკავშირი) აჯობა, რომელმაც 11-ი შესაძლებელობიდან 10 ქულა დააგროვა.

1972 წლის რაიონის მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში სპორტსაზოგადოებამ „კოლმეურნესა" და საწარმოო-დაწესებულებათა გუნდები მონაწილეობდნენ. თითო გუნდში ორი ძირითადი და ერთი სათადარიგო მოთამაშე შედიოდა. პირველი ადგილი არავის დაუთმო შარშანდელმა ჩემპიონმა ადგილობრივი რაიკოოპერატივის გუნდმა. მეორე ადგილზეა სოფელ ქვედა ვანის სასოფლო-სამეურნეო არტელის ნაკრები, ხოლო მესამე ადგილზე სოფელ გორას კოლმეურნეობის კოლექტივი გავიდა.

მასიურობით გამოირჩეოდა 1977 წელს ჩატარებული მოჭადრაკეთა სასკოლო რაიონული პირველობა, რომელშიც 15 გუნდი ასპარეზობდა. თითოეულ გუნდში ორ-ორი ჭაბუკი და გოგონა იყო. რაიონის ჩემპიონის სახელი მეორედ დაისაკუთრა ვანის კიროვის სახელობის საშუალო სკოლის გუნდმა. მეორე ადგილი დაიკავა სოფელ შუა გორის, ხოლო მესამე სალხინოს საშუალო სკოლის ნაკრებმა.

1978 წელს ჩატარებულ მოჭადრაკეთა რაიონულ პირველობაზე 14 გუნდი ასპარეზობდა. პირველი ადგილი „კოლმეურნეს" წარმომადგენლებმა დაიკავეს. (ე. მაღლაკელიძემ, შ. კალანდაძემ, ა. ჩიკვაშვილმა), მეორე ადგილი წილად ხვდა სალხინოს საშუალო სკოლის მოსწავლეებს, მესამე ადგილი შუამთის კულტურის სახლის მოჭადრაკეებმა დაიკავეს. „ჩვენ ვეძებთ ოქროს საწმისს ჭადრაკში"— ამ დევიზით ქ. ვანში 1987 წლის ივნისის მეორე დეკადაში ჩატარდა საკავშირო ფესტივალი ჭადრაკში. ტურნირებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ჩამოსული მოჭადრაკე ბავშვები, ასევე ქ. მაიაკოვსკის საჭადრაკო კლუბ „მაიას" მოჭადრაკეები. შემადგენლობა ძლიერი იყო. ტურნირში 20 გუნდი მონაწილეობდა. თითოეულში სამი ჭაბუკი და ერთი გოგონა. გაიმარჯვეს ოდესელმა მოჭადრაკეებმა 32,5 ქულით. მეორე ადგილზე გავიდა ვანის გუნდი, მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ლანჩხუთის და ტყიბულის გუნდებმა. მაიაკოვსკის გუნდი გავიდა მეხუთე ადგილზე. გოგონათა დაფაზე წარმატებით ითამაშა 6 წლის მაიაკოვსკელმა სოფიკო სხილაძემ, რომელმაც პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა და სპეციალური პრიზი დაიმსახურა. პირველ და მეორე დაფაზე კარგად ითამაშეს ძმებმა რომეო და ნუკრი ლილუაშვილებმა, 9 ტურიდან 8 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს. კვა-

ლიფიკაცია აიმაღლეს ბ. ალიხანაშვილმა, ლ. ჩხეიძემ, ბ. ჭელიძემ და ნ. გორგოძემ.[1]

ერთი წლის შემდეგ ვანის საჭადრაკო კლუბმა „არგომ“ მოჭადრაკეთა რესპუბლიკურ ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, მოსკოვის, ლენინგრადის, ლიპეცკის, სამტრედიის, ვანის, ბაღდათის და სხვა ქალაქების წარმომადგენლები.

საყურადღებოა, რომ ტურნირის მსვლელობისას ვანს ეწვია მსოფლიო ჭადრაკის ლეგენდა, ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც იმჟამად წყალტუბოში ისვენებდა. სახელოვანი მამულიშვილის სტუმრობამ აღნიშნულ საჭადრაკო ტურნირს მეტი ეშხი და პეწი შესძინა.

1984-85 წლებში ვანმა ორჯერ ზედიზედ უმასპინძლა სახელოვანი ქართველი პოეტების გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების ხსოვნისადმი მიძღვნილ პირველ და მეორე რესპუბლიკურ ტურნირებს ჭადრაკში.

აღნიშნულ ტურნირებში საასპარეზოდ ვანს საქვეყნოდ ცნობილი მოჭადრაკეები აზმაიფარაშვილი, სტურუა, ლენინგრადელი ე. ბარკოვსკი, ოდესელი მ. პოდგაეცი, სამარყანდელი გ. ტუნიკი, მოსკოველი რ. ხოლმოვი, გ. გიორგაძე, ი. ჩიქოვანი და სხვები ეწვივნენ. პირველი მემორიალი აზმაიფარაშვილი—სტურუას გამარჯვებით დამთავრდა. მეორე მემორიალზე კვლავ აზმაიფარაშვილმა იმარჯვა.

1986-91 წლებში ვანის საჭადრაკო კლუბს თავკაცობდა ოსტატობის კანდიდატი, ცნობილი მწვრთნელი გურამ მაჭავარიანი, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ადგილობრივი ჭადრაკის ენთუზიასტებთან ერთად „არგომ“ ფილიალები გახსნა სოფლებში: ტობანიერში, შუამთაში, ბზვანში, ისრითში, ზეინდარში და სხვა. მართალია იყო დიდი წინააღმდეგობები, თუნდაც მწვრთნელების ნაკლებობა, მაგრამ ყველაფერი რაიონში ჭადრაკის პოპულარობის გზით მიდიოდა, რაც მთავარია ახალგაზრდობა ჭადრაკის ბაცილით დაავადდა.

სამწუხაროდ, გასაგები მიზეზების გამო, მეოცე საუკუნის 90-იან წლებიდან ვანის საჭადრაკო ცხოვრება ისტორიის საკუთრება გახდა.

---

[1] გაზეთი „წითელი დროშა“, 1987 წელი, 11 ივლისი

ჭიათურლების ინტერესი ჭადრაკისადმი ყოველთვის დიდი იყო. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ჭიათურელი მოჭადრაკეები რესპუბლიკურ სარბიელზეც გამოჩნდნენ. 1953 წლის იანვრის მესამე დეკადაში ჭიათურელმა მოჭადრაკეებმა ქუთაისის ოლქის პირველობაზე იასპარეზეს გუნდურ პირველობაზე. 15 კოლექტივს შორის ჭიათურელებმა შესანიშნავად ითამაშეს და გამარჯვებული ქუთაისის ნაკრები გუნდის შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს. შემდეგ კი ჭიათურის გუნდის წევრები მ. ტარსაიძე, გ. ძინძიბაძე და იანსენეცკი ქუთაისის ოლქის მოჭადრაკეთა პირველობაში ჩაებნენ.

რაც შეეხება საქალაქო ტურნირებს ყოველთვის საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობდა. 1954 წელს ჩატარებულ საქალაქო პირველობასთან დაკავშირებით გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი" წერდა: „11 მარტს ქალაქ ჭიათურის 1954 წლის პირველობაზე ჭადრაკში გათამაშდა გადადებული და გამოტოვებული პარტიები. პ. ოგანოვი თამაშის განუახლებლად შეთანხმდა ყაიმზე თ. ნადირაძესთან და ა. იასენეცკისთან. დიდი ინტერესი გამოიწვია ფ. ნადირაძე, ა. იასენეცკის პარტიამ. ნადირაძემ მშვენიერი ოსტატობით ჩაატარა შეხვედრა და დამსახურებულად გაიმარჯვა. იასენეცკიმ ითამაშა აგრეთვე გადადებული პარტია მ. ტარსაიძესთან. ტარსაიძემ ვერ შეძლო მოპოვებული უპირატესობის რეალიზაცია და იძულებული გახდა ყაიმით დაკმაყოფილებულიყო.

ამრიგად, ქალაქ ჭიათურის 1954 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში დამთავრდა. პირველი ადგილი და ჩემპიონობის საპატიო ადგილი მოიპოვა მეორე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ თავრიზ ნადირაძემ (8 ქულა). თ. ნადირაძე კარგი მონაცემების მქონე მოჭადრაკეა. იგი კარგად ერკვევა რთულ პოზიციებში. ძლიერად და ოსტატურად თამაშობს ენდშპილს, მაგრამ შედარებით მოისუსტებს დებიუტების თეორიაში. ახალგაზრდა ჩემპიონმა ბევრი უნდა იმუშაოს საჭადრაკო თეორიის ღრმად შესწავლისათვის.

მეორე ადგილზე 7,5 ქულით გავიდა პ. ოგანოვი, რომელმაც წაუგებლად ჩაატარა მთელი ტურნირი.

მესამე ადგილზეა მ. ტარსაიძე (7 ქულა), მეოთხეზე ა. იასენეცკი (6,5 ქულა), შემდეგ ადგილებზე არიან დ. გურული და პ. ტაბატაძე (6 ქულა თითოეულს), დ. ხაინდრავა (5 ქულა), გ. ძინძიბაძე, ვ. ვაჩაძე და გ. წერეთელი (4,5 ქულა თითოეულს), ვ. სხილაძე (4 ქულა), დ. ბიბილეიშვილი (2,5 ქულა).

ქალაქში იმდენად პოპულარული იყო ჭადრაკი, რომ წარმოებადანესებულებები თუ სასწავლებლები შიდა საკოლექტივო პირველობებს მართავდნენ. იმავე წლის მარტის პირველ ნახევარში სტალინის სახელობის მაღაროელთა სამმართველომ ჩაატარა მოჭად-

რაკეთა პირველობა, რომელშიც 22 კაცი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილები დაიკავა შ. კოპალეიშვილმა, ვ. მახარაძემ და პ. ბოდედოვმა.

იმავე პერიოდში აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა მსახიობ მოჭადრაკეთა ტურნირი თეატრის პირველობაზე, სადაც პირველი მეორე ადგილი დაიკავეს ცნობილმა მსახიობებმა გ. ვაჩაძემ და გ. ტყაბლაძემ.

პარალელურად ჭიათურელი მოჭადრაკეები სხვადასხვა რანგის რესპუბლიკურ ტურნირებშიც მონაწილეობდნენ. ასე მაგალითად, 1954 წლის მაისის პირველ დეკადაში შავი ოქროს ქალაქმა უმასპინძლა სპორტსაზოგადოება „მეტალურგის" რესპუბლიკურ პირველობას ჭადრაკში. გათამაშებაში მონაწილეობდნენ რუსთავის, ზესტაფონის და ჭიათურის ორი ნაკრები გუნდები. ჭიათურის პირველმა გუნდმა, რომლის რიგებში იყვნენ გ. ძინძიბაძე, ა. იასენეცკი, ვ. სხილაძე, პ. ივანოვი და ფ. ნადირაძე, თანამიმდევრულად დაამარცხეს ჭიათურის მეორე გუნდი ანგარიშით 3:2, ზესტაფონის კოლექტივი 3,5:1,5 ხოლო რუსთაველები ანგარიშით 4:1 და 10,5 ქულით გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

ერთი თვის შემდეგ თბილისში გამართულ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე მეორე ჯგუფის გუნდებს შორის ჭიათურლებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

ჭიათურელი მოჭადრაკეები მ. ტარსაიძე, რ. ჩხაიძე, თ. შეყრილაძე, ჯ. კვანტალიანი, კ. ჭიოკიძე, დ. ერონდიდი, ა. ჩაჩანიძე, მ. გამყრელიძე და სხვები სისტემატურად მონაწილეობდნენ მოჭადრაკეთა სხვადასხვა რანგის ტურნირებში.

ამბობენ კარგი სენი გადამდებიაო. ასე მოუვიდა ჭიათურელ პედაგოგებს, როცა მათ, მართალია ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც საფუძველი ჩაუყარეს რაიონის პედაგოგთა ჩემპიონატს. პირველი ასეთი ტურნირი მაღაროელთა ქალაქში 1957 წელს გაიმართა. ასპარეზობაში 18-მა პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა და განათლების განყოფილების სპორტული სკოლის პედაგოგის ზ. ბარათაშვილის გამარჯვებით დამთავრდა.

იმავე პერიოდში საკავშირო-სამრეწველო გაერთიანებამ „სოიუზტრუდის" სამთო-მადნეულის კომბინატის „ჭიათურმარგანეცის" ფიზკულტურის კოლექტივმა გარდამავალი თასი გაითამაშა ჭადრაკში. საპატიო ჯილდო კვლავ შეინარჩუნეს ითხვისის მაღაროელთა სამმართველოს მოჭადრაკეებმა. საუკეთესო შედეგებისათვის დაჯილდოვდნენ დ. ერონდიდი, ა. ჩაჩანიძე, მ. გამყრელიძე და სხვები.

1964 წლის ივლისის პირველ რიცხვებში თბილისში ჩატარებულ მედიცინის მუშაკთა მოჭადრაკეთა რესპუბლიკურ პირველობაზე წარმატებით იასპარეზეს ჭიათურელმა ექიმმა სპორტსმენებმა.

გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლელა დეკანოიძე, მიხეილ ტარსაიძე, გიორგი კიკნაძე და გივი გაბუნია წარმატებით იასპარეზეს თავიანთ ქვეჯგუფში და პირველი ადგილი დაიკავეს. პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ჭიათურლებმა დაამარცხეს მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებული თბილისის 26 კომისრების სახელობის რაიონის ექიმ-მოჭადრაკეთა გუნდი და ღირსეულად მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება.

70-იან წლებში ჭიათურაში ტრადიციად იქცა ცნობილი ნიჭიერი დოსტაქარისა და მოჭადრაკის მ. ტარსაიძის მემორიალი, ამასთან დაკავშირებით 1972 წლის 21 აპრილს გაზეთ „ჭიათურის მაღაროელში" ვკითხულობთ: „ამ დღეებში დამთავრდა მ. ტარსაიძის მემორიალი. ამ საინტერესო შეჯიბრებაში, რომელიც პირველად ჩატარდა ჩვენს ქალაქში, მონაწილეობა მიიღო 12-მა უძლიერესმა მოჭადრაკემ. ოთხ მოჭადრაკეს ერთნაირი ქულა ჰქონდათ დაგროვილი და უკანასკნელ ტურამდე გაურკვეველი იყო თუ ვინ გახდებოდა საპატიო ჯილდოს პირველი მფლობელი. დასკვნით ტურში მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა დ. ერონდიდსა და თ. ბრეგაძეს შორის. ამ უკანასკნელმა ძლიერად წარმართა შეხვედრა და რამდენჯერმე გაუშვა ხელიდან გამარჯვება. საბოლოოდ შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. საქართველოს დამსახურებული ექიმის, ჩვენი ქალაქის არაერთგზის ჩემპიონის მ. ტარსაიძის სახელობის თასის მფლობელი მისივე ყოფილი მოსწავლე დიმიტრი ერონდიდი გახდა. მეორე და მესამე ადგილები წილად ხვდა კ. ნამიჭეიშვილს და შ. ოვანოვს.

ნუ გაგიკვირდებათ თუ თერჯოლაში ჭადრაკის პოპულარობა სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ცნობილი დოსტაქრის გრიშა კირკიტაძის სახელთან. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ახალგაზრდა ექიმი თავის პროფესიულ საქმიანობასთან ერთად ჭადრაკით იყო გატაცებული და ღრმად იყო ჩახედული მის ურთულეს ლაბირინთებში.

1935 წლიდან გრიშა კირკიტაძე სისტემატურად მონაწილეობდა სარაიონო ქუთაისის საოლქო, რესპუბლიკურ და საკავშირო მოჭადრაკეთა ტურნირებში. წარმატებით იცავდა როგორც თერჯოლის, ასევე მშობლიური ქალაქის ქუთაისის სპორტულ ღირსებას. საყურადღებოა, რომ 1933 წელს თბილისში ჩატარებულ მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობაზე მედიცინის პროფკავშირების ხაზით, რომელშიაც ამიერკავკასიის უძლიერესი მოჭადრაკეები ასპარეზობდნენ, ჩვენმა თანამემამულემ წარმატებით იასპარეზა და საპატიო პირველი ადგილი დაიკავა. გრიშა კირკიტაძეს არაერთხელ უასპარეზია ლენინგრადში, ვორონეჟში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში გამართულ მოჭადრაკეთა საკავშირო ტურნირებზე. რაც მთავარია ამაგდარ ადამიანს ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის თერჯოლელ მოჭადრაკეთა დაოსტატების საქმეში, არც ის იყო გასაკვირი, რომ ომამდელ წლებში რაიონში ერთგვარ ტრადიციადაც იქცა მოჭადრაკეთა შიდა საკოლექტივო ტურნირები.

1946 წლის ივნისში ჩატარებულ მოჭადრაკეთა სარაიონო პირველობაზე კარგად იასპარეზეს გიორგი რობაქიძემ, ლ. აბესალაშვილმა და ი. ყაველაშვილმა, რომლებმაც საპრიზო ადგილები დაიკავეს.

რაიონში ჭადრაკის პოპულარობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად იმართებოდა როგორც შიდა საკოლექტივო, ასევე რაიონული ტურნირები. 1965 წლის თებერვლის მეორე ნახევარში ჩატარებულ საწოლების ქარხნის მოჭადრაკეთა პირველობაზე 8 სპორტსმენი ასპარეზობდა. ტურნირი დ. ცხადაძის გამარჯვებით დამთავრდა, მეორე ადგილი შ. ცერცვაძეს, ხოლო მესამე ჟ. აფრიდონიძეს ხვდა წილად.

1967 წელს ჩატარებულ მოჭადრაკეთა რაიონულ ჩემპიონატზე 14 გუნდი ასპარეზობდა. ყოველ გუნდში იყო ერთი ჭაბუკი და ერთი გოგონა. გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს ღვანკითელმა მოსწავლეებმა, მეორე ადგილზეა ქვედა სიმონეთის სკოლის

კოლექტივი, მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ჭოგნარის და საზანოს საშუალო სკოლის გუნდებმა. პირად ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ გოგონებში რ. ზაქარიაძე (ქვედა სიმონეთი), ჭაბუკებში ღ. ყუფარაძე (კვახჭირი).

1969 წლის თებერვლის მეორე ნახევარში თერჯოლაში ჩატარდა რაიონის მასწავლებელთა საჭადრაკო პირველობა. უძლიერესის სახელი მოიპოვა ჩხარის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ს. სახელაშვილმა და მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიეღო მასწავლებელთა რესპუბლიკურ პირველობაზე. მეორე ადგილი ხვდათ კოვზირიძეს (ღვანკითი), მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს მ. ქოჩიაშვილმა (თერჯოლა) და ა. აბესაძემ (თუზი).

სხვადასხვა დროს შიგა საკოლექტივო და სარაიონო მოჭადრაკეთა ტურნირებში გამარჯვებული გამოსულან თ. ლიკლიკაძე, ა. ზაქარიაძე, კ. სულამანიძე, რ. ნიკოლაძე და სხვები.

ცნობილ ეტიუდისტს, ზედა სიმონეთელ ემზარ ჭუმბურიძეს, კარგად იცნობს ქვეყნის საჭადრაკო სამყარო. იგი საჭადრაკო კომპოზიციის ასამდე ამოცანის და ეტიუდის ავტორია. არაერთხელ მოუპოვებია წარმატებები სხვადასხვა კონკურსებში. არის გაზეთ „სოფლის ცხოვრების" მეხუთე კონკურსის გამარჯვებული ეტიუდებში და მესამე პრიზის მფლობელი. არის 1980 წლის საკავშირო კონკურსში გამარჯვებული. არაერთი ქება დაუმსახურებია ვანის, გორის და სხვა ქალაქების მიერ მოწყობილ საჭადრაკო კომპოზიციის კონკურსებში. ემზარ ჭუმბურიძე დღესაც ემსახურება რაიონში ნორჩი მოჭადრაკეების აღზრდა-დაოსტატების საქმეს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ საქმეში მასთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვით თერჯოლის საჭადრაკო ცხოვრების წინსვლის საქმეში მერი და ალეკო ჩაფიჩაძეებს.

საბედნიეროდ საჭადრაკო ცხოვრება თერჯოლაში დღესაც გრძელდება. ამასთან დაკავშირებით 2003 წლის 28 მარტის გაზეთ „ლელოში" თერჯოლის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის კოტე ჩარექიშვილის წერილში ვკითხულობთ: „ჩატარდა რაიონის პირველობა ჭადრაკში ნორჩ მოჭადრაკეებს შორის, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბავშვთა სპორტული სკოლა (დირექტორი რამინ რობაქიძე).

10 წლამდე ჭაბუკ მოჭადრაკეებს შორის პირველი ადგილი თერჯოლის №2 საშუალო სკოლის მოსწავლეს ზურაბ მაკარიძეს

ხვდა წილად. მეორე იყო ჯონი დევდარიანი (თერჯოლა №1 სკ), მესამე—მალხაზ კუპატაძე (ქვედა ალისუბანი).

გოგონებში პირველი იყო ქეთინო ქველიძე (ქვედა ალისუბანი), მეორე ნატო ძონენიძე (№2 სკ.), მესამე მარი აბულაძე (ჩხარი).

12 წლის ბიჭებში ადგილები ასე განაწილდა: I გია ჭუმბურიძე (ზემო სიმონეთის სკოლა), II-III — ტყუპები ძმები თენგიზ და თამაზ გუგუმბერიძეები. გოგონები: I თეონა გუგუმბერიძე (ქ. ალისუბანი), მაგდა კირკოტაძე (ჩხარი), III მარიკა მაკარიძე (№2 სკ). 14 წლამდე ბიჭები I მამუკა კუპატაძე (ქვედა ალისუბანი), II გია ჭუმბურიძე (ზ. სიმონეთი), III თენგიზ გუგუმბერიძე.

გოგონები: I ნინო მაკარიძე, მეორე — მარიკა მაკარიძე, მესამე — ნათია მაკარიძე (სამივე №2 სკ).

გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცა დიპლომები და საჩუქრები. შეჯიბრებას ხელმძღვანელობდნენ ემზარ ჭუმბურიძე (მთ. მსაჯი) და მერი ჩაფიტაძე (მსაჯი).

ხონი

ხონის საჭადრაკო ცხოვრების ისტორია გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება, როცა საფუძველი ჩაეყარა მოჭადრაკეთა როგორც სარაიონო, ისე საქალაქო ტურნირებს. ხონის რაიონის სოფელ მათხოჯიდან გახლავთ გასული საუკუნის 50-იანი წლების ახალგაზრდა მოჭადრაკე, ოსტატობის კანდიდატი აკაკი ფირცხალავა. ცნობილმა მოჭადრაკემ 1949 წელს თბილისში გამართულ საქართველოს მეათე ჩემპიონატზე ისეთ ცნობილ მოჭადრაკეებთან ჭიდილში, როგორებიც იყვნენ ალექსანდრე ბლაგიძე, ალექსანდრე გაუცაევი, თენგიზ გიორგაძე, ვახტანგ ქარსელაძე, არჩილ ებრალიძე და სხვები, ღირსეულად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება. აკაკი ფირცხალავა ავტორია წიგნისა „ბოტვენიკ-ბრონშტეინის მატჩი“ 1954 წ.

1965 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში ხონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის 10 მოჭადრაკე ჩაება სასწავლებლის პირველობაში. წარმატებით ითამაშა ვ. პირქუშვილმა, რომელმაც ყველა პარტია მოიგო. მეორე და მესამე ადგილები ზ. გელაშვილმა და ი. ძიძიგურმა გაიყვეს.

გაზეთ „ლელოს“ ცნობით 60-იანი წლებიდან ხონში ტრადიციად იქცა მოსწავლეთა სარაიონო ჩემპიონატები. 1964 წლის იანვარში მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში ხონის რაიონის მოსწავლეთა პირველობაზე ჭადრაკსა და შაშში 105 მოსწავლეს მიუღია მონაწილეობა. მათ შორის ჭადრაკში 56-ს. რვაწლიანი სკოლის გოგონებში გაიმარჯვა სოფელ ივანდიდის სკოლის მოსწავლემ მ. ღოღობერიძემ, ხოლო ვაჟთა შორის ქვემო ნოღის აღსაზრდელმა ლ. ბოცვაძემ.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ხონში დიდი საჭადრაკო ბუმი იგრძნობოდა. საქმე იმაშია, რომ 1980-1982 წლებში რაიონმა ორჯერ უმასპინძლა მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკურ ჩემპიონატებს. ხონელებმა საკუთარი თვალით იხილეს ცნობილი მოჭადრაკეების თამილა მესხის, ციალა ქასოშვილის, ციური კობაიძის, ეკატერინე ფახიროვას მაღალი საჭადრაკო ხელოვნება. ბუნებრივია ხონელებში ერთიორად იმატა ინტერესმა ჭადრაკისადმი.

ხონში საჭადრაკო ცხოვრება ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა და ამის შესახებ არაერთხელ აღნიშნავს რესპუბლიკის პრესაც. ჯერ კიდევ 46 წლის წინათ გაზეთი „ლელო“ წერდა იმ დიდ ენთუზიაზ-

მზე, რომელმაც რაიონში ხელი შეუწყო ჭადრაკის ფართო პოპულარობის საქმეს: „წულუკიძეში საჭადრაკო მუშაობა მაღალ დონეზეა. აქტივისტების ა, ადამიას, რ. ჩხენკელის, ა. წვერავას, ვ. ჯაფარიძის, ს. ხუნწულიას, გ. ბახტაძის ენერგიული მუშაობის შედეგად ქმედითუნარიანი გახდა რაიონის საჭადრაკო სექცია. გამოყოფილია საჭადრაკო ოთახი. შეძენილია ჭადრაკის 30 კომპლექტი, მომზადდა თანრიგოსანი მოჭადრაკეები. ამას წინათ შვეიცარული სისტემით ჩატარდა რაიონის პირველობა, რომელშიც 20 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ქუთაისის საკონსერვო ქარხნის რწმუნებულმა ი. ჩირგაძემ, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. იგი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს მე-19 პირველობის ნახევარფინალში.“[1]

რაც მთავარია გასული საუკუნის 80-იან წლებში რაიონის საჭადრაკო სკოლის აღზევებას ხელი შეუწყო ახლადგახსნილმა ჭადრაკის კლუბმა. უფროს მწვრთნელად უმაღლესი საჭადრაკო განათლების მქონე მურმან ერაძე დაინიშნა. ნიჭიერი პედაგოგის საქმიანობას მოჰყვა ის, რომ ხონში არაერთი სახელოვანი მოჭადრაკე აღიზარდა. თუნდაც რად ღირს საერთაშორისო ოსტატის ინგა ხურცილავას წარმოჩენა. ნიჭიერ ხონელ მოჭადრაკეს მრავალ ტურნირში უსახელებია თავი. 1991 წელს 15 წლის გოგონამ პირველად მიიღო მონაწილეობა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე და მოხდა საოცრება. ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეებთან ციალა ქასროშვილთან, სოფიკო ტერელაძესთან, სოფიკო ნიკოლაძესთან, ნათია აფხაიძესთან, თეა ლანჩავასთან და სხვებთან ჭიდილში 11 შესაძლებლობიდან 9.5 ქულით საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ ინგა ხურცილავამ მოჭადრაკეთა 2000 წელს საქართველოს ქალთა 57-ე ჩემპიონატზე პირველი მეორე ადგილი გაიყო სამტრედიელ სოფიკო ტერელაძესთან ერთად. იმავე წელს ნიჭიერმა მოჭადრაკემ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზეც მიიღო მონაწილეობა და პირველ წრეში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი დაამარცხა. სამწუხაროდ მეორე წრეში ანგარიშით 1,5:0,5 დამარცხდა შმილიტესთან.

ხონიდან გახლავთ დღეს უკვე ცნობილი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი ზვიად იზორია. რესპუბლიკური რანგის ტურნი-

---

[1] გაზეთი „ლელო“, 1957 წ. 2 ივლისი

რებში არაერთგზის გამარჯვებულმა და პრიზიორმა მსოფლიო სარბიელზე ასახელა ქართული საჭადრაკო სკოლა. 2000 წელს საქართველოს ჩემპიონმა 16 წლის ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი დაიკავა 20 წლის მოჭადრაკეთა შორის.

იმავე წელს 16 წლის ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე მოსინჯა ძალები და ოქროს მედალი დაისაკუთრა, ხოლო 20 წლის მოჭადრაკეებს შორის მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება.

იმავე წელს ბაქოში გამართულ დიდ საერთაშორისო მოჭადრაკეთა ტურნირზე გუნდურ ასპარეზობაში საქართველოს მეორე ნაკრებმა გუნდმა, რომლის წევრიც ზ. იზორია იყო მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. 2001 წელს ახალგაზრდა მოჭადრაკემ ოქროს მედალი მოიპოვა 20 წლის მოჭადრაკეთა შორის. იმავე წელს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ზვიად იზორია საქართველოს გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდა. მას მოუწია შეხვედრებმა ირლანდიის, საბერძნეთის, რუსეთის, ჩინეთის, ბელორუსიის, ჰოლანდიის, შვეციის და უნგრეთის გუნდების წარმომადგენლებთან. მათთან პაექრობაში 4,5 ქულა დააგროვა. ერთი მოგება, 7 ფრე და არც ერთი დამარცხება.

ასეთი იყო ზვიად იზორიას სპორტული შედეგი.

ნიჭიერ მოჭადრაკეს არასდროს დაავიწყდება იმავე წელს გამარჯვება სწრაფ ჭადრაკში, რომელიც ცნობილი იყო მსოფლიოს ექსჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის მემორიალით. 84 მონაწილეთა შორის ზვიად იზორიამ 9 ტურშიი 7,5 ქულით საპატიო პირველი ადგილი დაიკავა.

საქართველოს პრეზიდენტის გრანტის მფლობელი ხონელი მოჭადრაკე ზვიად იზორია გვწამს ახალი გამარჯვებებით ასახელებს მშობლიურ ერს.

ბაღდათი

ბაღდათში რაიონის საჭადრაკო ცხოვრების საწყისები ვლადიმერ მაიაკოვსკის ოჯახთანაა დაკავშირებული.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა დიდი პოეტი ხანის წყლის პირას მდებარე სახლ-კარს ესტუმრებოდა, მისი ხშირი სტუმრები იყვნენ ქართული ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობა პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, დავით ჩხეიძე, ნატო ვაჩნაძე და მრავალი სხვები. ხშირად ხანგრძლივი დისპუტის შემდეგ მწერლობისა თუ ხელოვნების საკითხებზე სახელოვანი მწერლები თავს ჭადრაკის თამაშით იმშვიდებდნენ.

1938 წლის ივლისში ბაღდათში ჭადრაკის მოყვარულთა პირველი წრე ჩამოყალიბდა, რომლის ხელმძღვანელად ბერიძე დაინიშნა. როგორც იმავე წლის 4 ოქტომბრის გაზეთი „ფიზკულტურელი" იუწყება: „ჭადრაკის წრეში დღემდე არცერთი მეცადინოება არ ჩატარებულა, საჭადრაკო სექციის თავმჯდომარემ უნდა იზრუნოს მუშაობის გამოცოცხლებაზე".

შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და აბა სპორტისათვის ვიღას ეცალა, როგორც სპორტის სხვა სახეებიც, ისე ჭადრაკიც დავიწყებას მიეცა.

ომის შემდგომ წლებში რაიონის სკოლებში საფუძველი ჩაეყარა და ტრადიციად იქცა მოსწავლეთა სასკოლო პირველობები, სპორტული საზოგადოებები, „კოლმეურნე", „სპარტაკი" და სხვა სისტემატურად ატარებდნენ თავიანთი ხაზით მოჭადრაკეთა რაიონულ ჩემპიონატებს.

1968 წლის 7 მარტს მაიაკოვსკის გაზეთი „წითელი დროშა" წერდა:

„დამთავრდა ნსს „კოლმეურნეს" რაიონული პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 9 გუნდი. დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველ ადგილზე გავიდა დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის მოჭადრაკეთა გუნდი. (ხელმძღვანელი ა. ჟვანია), რომელმაც 26,5 ქულა მოაგროვა. მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოჭადრაკეთა გუნდს. ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდა გასული წლის ჩემპიონი ზეგნის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლექტივი. პირველ დაფაზე უძლიერესი იყო დაბა მაიაკოვსკელი ვ. ადამია, რომელმაც 8 ქულა მოაგროვა, მეორე დაფაზე პირველი ადგილი წილად ხვდა როხელ გ. ქვილორიას, მესამე დაფაზე—ვარციხის საბჭოთა მეურნეობის მუშას ლ. კვინიკაძეს, ხოლო მეოთხე დაფაზე როხელ ჯულა-

ყიძეს. დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის მოჭადრაკეთა გუნდს, რომელიც „კოლმეურნეს“ ჩემპიონი გახდა გადაეცა პირველი ხარისხის დიპლომი და გარდამავალი თასი.

პარალელურად სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რაიონული ხელმძღვანელობა ყოველმხრივ უწყობდა ხელს სპარტაკელ მოჭადრაკეთა დაოსტატების საქმეს.

ამისათვის სათანადო ინვენტარიც შეიძინა და მოჭადრაკეთა ჯგუფებიც ჩამოაყალიბა.

იმავე წლის თებერვლის მესამე დეკადაში მაიაკოვსკმა უმასპინძლა ნორჩ მოჭადრაკეთა სასკოლო გუნდურ პირველობას, რომელშიც მონაწილეობა 13 საშუალო სკოლის 39-მა მოჭადრაკემ მიიღო. საერთო გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდა ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის გუნდს. მეორე ადგილი ბაღდათის, ხოლო მესამე სოფელ დიმის ნორჩ მოჭადრაკეებმა დაიკავეს.

გოგონათა შორის გამარჯვებული ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის მეექვსე კლასელი ეთერ გოქსაძე გამოვიდა. მეორე ადგილი დაიკავა ვ. მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლემ მანანა მაჩიტიძემ, ხოლო მესამე ადგილზე გამოვიდა წითელხევის საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე მარინე გრძელიძე.

ვაჟთა შორის პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ მერაბ ბასილაძემ და დიმის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ რომან ცერცვაძემ. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს მაიკოვსკის სახელობის საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ ჩუბინიძემ და ე. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის მერვე კლასელმა პ. ჭრელაშვილმა.

მონონება დაიმსახურა მურმან გიორგაძის, ნ. ფურცელაძის, ნესტორ ჭელიძის გათამაშებულმა პარტიებმა.

ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი უძველესი სამეურნეო დაწესებულებაა ჩვენს ქვეყანაში. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ძმები ანანოვების მიერ აქ წარმოებულმა ღვინის და კონიაკის საუკეთესო ნიმუშებმა მსოფლიო აღიარება ჰპოვეს. საბჭოურ პერიოდში შეიძლება ითქვას ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას და მის დამზადებულ პროდუქციას ფართო გზა მიეცა მსოფლიო ბაზარზე. ვარციხელებს არც ფიზკულტურა და სპორტი ავიწყდებოდათ, ისინი ხშირად მონაწი-

ლეობდნენ სხვადასხვა სახის რაიონულ შეჯიბრებებში, ხოლო 90-იან წლებში აქ შექმნილმა ქალთა საფეხბურთო გუნდმა „როდოპოლისმა“ საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

ბუნებრივია ვარციხელებისათვის არც საჭადრაკო ხელოვნება იყო უცხო ხილი, რამეთუ მეურნეობის მოჭადრაკეები ვ. კაცაძე, ა. ხურციძე, მ. ლაბაძე, ვ. ბაჯაძე, ლ. კვინიკაძე, ნ, ლაბაძე და სხვები ხშირად მონაწილეობდნენ მოჭადრაკეთა რაიონულ ტურნირებში.

70-იან წლებში მოსწავლე მოჭადრაკეები ვ. კანჯარაძე, გ. ღვინიანიძე, ა. ყიფიანი, ლ. კოჩაძე, ი. დევდარიანი, ტ. ჭრელაშვილი, თ. ღვინიანიძე, ვ. ებანოიძე, ტარიელ გრძელიძე, ე. გოქსაძე, პ. ებანოიძე, ნ. ლაბაძე, ვახტანგ ენდელაძე, ალბერტ გორგოძე, გოგი ცაავა, ბადრი თათელიშვილი, დავით ორბელაძე, ეთერ გოქსაძე, მარინა გრძელიძე, დარეჯან დოგრაშვილი წარმატებით ასპარეზობდნენ მოჭადრაკეთა სხვადასხვა რანგის ტურნირებში.

რაც შეეხება ბაღდათის საჭადრაკო ცხოვრების აღმავლობას, მას შემდეგ დაიწყო, როცა ბაღდათში საჭადრაკო კლუბი „მაია“ გაიხსნა.

1981 წლიდან რაიონულ საჭადრაკო ტურნირებში სისტემატურად ასპარეზობდნენ ჯ. ადამია, ა. გრძელიძე, რ. მიქიაშვილი, ტ. რობაქიძე, კ. ვერულაშვილი, ჰ. მაღლაკელიძე, ზ. ენდელაძე და მრავალი სხვები.

1987 წლის 1 იანვარს ბაღდათში დიდი საზეიმო განწყობილება სუფევდა. ამ დღეს საჭადრაკო კლუბ „მაიაში“ სტუმრად ჩამოვიდა სსრ კავშირის სამგზისა და ევროპის ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი ნანა იოსელიანი, რომელიც ერთდროული თამაშის სეანსში შეხვდა ადგილობრივ მოჭადრაკეებს. საპატიო სტუმრებს ახდენენ სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი გოგონათა შორის, ევროპის მესამე პრიზიორი თამილა მესხი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ ხარლამპიდი. სტუმრების მისვლამ დიდი სიხარული შესძინა ნორჩ მოჭადრაკეებს, ისინი ცდილობდნენ მედგარი წინააღმდეგობა გაეწიათ უფროსებისათვის, მაგრამ გაიმარჯვეს სტუმრებმა, სამაგიეროდ ნორჩმა მოჭადრაკეებმა პირადად გაიცვნეს მაღალი რანგის მოჭადრაკეები და ის დღე მათ ცხოვრებაში დაუვიწყარი იქნება.[1]

იმავე წლის ივნისის მეორე ნახევარში ქ. ქუთაისში ჩატარდა საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც ბაღდათის საჭადრა-

---

[1] გაზეთი „წითელი დროშა“, 1987 წ. 1 იანვარი

კო კლუბ „მაიას წევრებმაც მიიღეს მონაწილეობა. წარმატებით იასპარეზეს ბაღდათელებმა ი. დოღაძემ, ლ. ცერცვაძემ, ზ. ფურცელაძემ, ლ. ჩხეიძემ, ნ. გორგიძემ, ა. ალიხანაშვილმა, გ. გიორგაძემ და ო. გორგოძემ, რომლებმაც სათადარიგო ნორმატივი აიმაღლეს.

რაც შეეხება იმ დღეებში ქ. ბათუმში მწვანე კონცხზე გამართულ საქართველოს მოჭადრაკე ბავშვთა ფინალურ ასპარეზობას, ბაღდათიდან მონაწილეობდნენ 6 წლის სოფიკო სხილაძე და 12 წლის რომეო ლილუაშვილი. შეჯიბრება, რომელიც შვეიცარული სისტემით ჩატარდა ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები მონაწილეობდნენ.

პატარა სოფიკომ ყველანი გააოცა ჭკვიანური და საზრიანი თამაშით. მან 9 ტურიდან 5,5 ქულა დააგროვა და სპეციალურ პრიზთან ერთად მეორე თანრიგის ნორმაც შეასრულა.

რაც შეეხება რომეო ლილუაშვილს, მან 9 ტურიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი და საქართველოს პირველობაზე თამაშის უფლება მოიპოვა.

1988 წელს ბაღდათელმა მოჭადრაკე პედაგოგებმა რაიონული ჩემპიონატი გაითამაშეს ჭადრაკში, ქალთა შორის საპრიზო ადგილები დაიკავეს წითელხეველმა ტაისა გრძელიძემ, ბაღდათელმა ცაცა ენდელაძემ და ზეგნელმა თინა სამხარაძემ. ვაჟთა შორის საპრიზო ადგილები წილად ხვდათ ბაღდათელ ჯაბა ადამიას, დიმელ ჯემალ ბეგიშვილს და ნერგიეთელ თ. ცერცვაძეს.

იმ პერიოდში ბაღდათელი ნორჩი მოჭადრაკეები ნუკრი გორგოძე, ფატი მამარდაშვილი, სოფიკო სხილაძე, ელიზბარ მამარდაშვილი, ხ. ჭელიძე, ს. სხილაძე, ი. დოღონაძე, ნ. გორგოძე, ბ. ალიხანაშვილი და სხვები წარმატებით ასპარეზობდნენ როგორც რაიონის, ასევე რაიონის გარეთ ჩატარებულ მოჭადრაკეთა ტურნირებში.

აღნიშვნის ღირსია 1989 წლის მაისში ქალაქ ხარკოვში ჩატარებული მოჭადრაკეთა საკავშირო საჭადრაკო ფესტივალი ი. გაგარინის სახელობის პრიზზე. აღნიშნულ შეჯიბრებაზე მონაწილეობდნენ ბაღდათელი მოსწავლეები ხათუნა ჭელიძე და ოთარ ჩოგოვაძე. ხათუნამ წარმატებით იასპარეზა და ოსტატობის კანდიდატის ნორმის შესასრულებლად ერთი ქულა დააკლდა. ოთარ ჩოგოვაძე ნორჩ მოჭადრაკეთა ტურნირში ასპარეზობდა და მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულა...

იმ პერიოდში რაიონულმა გაზეთმა „წითელმა დროშამ“ ვრცელი წერილი უძღვნა ნიჭიერ ნორჩ მოჭადრაკეს სოფიკო სხილაძეს სა-

თაურით „დიდ სარბიელზე“. საქმე იმაშია, რომ 1987 წელს ბაღდათში ჩატარებულ რესპუბლიკურ ფესტივალში ჭადრაკში ყველაზე მცირე ასაკის მონაწილემ სოფიკომ პირველ დაფაზე მეორე ადგილი დაიკავა. ამას მოჰყვა იმავე წლის მაისში ტყიბულში ჩატარებულ „თეთრი ეტლის“ პრიზზე მეხუთე დაფაზე მოპოვებული მეორე ადგილი. მთავარი და გასაოცარი მაინც ის იყო, რომ იმავე წელს საგაზაფხულო არდადეგების პერიოდში ქუთაისში გამართულ მოსწავლე მოჭადრაკეთა ტრადიციულ ტურნირზე სოფიკოს როგორც საბავშვო ბაღის შეგირდს, უფლება დართეს მონაწილეობა მიეღო ასპარეზობაში. მონაწილეების თუ მაყურებლების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა 17 საუკეთესოთა შორის მან ყველა შეხვედრა მოიგო. ამას მოჰყვა იმავე წლის ნოემბრის პირველ დეკადაში სამტრედიაში გამართული მოსწავლე-მოჭადრაკეთა ტურნირზე გამარჯვება. სოფიკოს სახელი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა და აი, 1987 წლის დეკემბერში, უკრაინელებმა ციცქნა მოჭადრაკე სსრ კავშირის გმირის ე. ზვენკოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ მოჭადრაკეთა ტურნირზე მიიწვიეს და რაც მთავარია, 12 მონაწილეს შორის მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

1988 წელს სოფიკომ ქობულეთში გამართულ უფროსი ასაკის მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ცოტა უფრო გვიან ტყიბულში ჩატარებულ ტურნირში „თეთრი ეტლის“ პრიზზე, როგორც ქუთაისელ მოჭადრაკეთა წარმომადგენელი პირველ დაფაზე საუკეთესო იყო. შემდეგ ქუთაისის გუნდი საასპარეზოდ ბულგარეთში მიიწვიეს. სოფიკომ, რომელიც ქუთაისის სპორტულ ღირსებას იცავდა, ყველა შეხვედრაში გაიმარჯვა, მოუგო ბულგარეთის გუნდის წევრს 14 წლის ქრისტინა პრივატას და სპეციალური პრიზი დაიმსახურა. ბუნებრივია ნორჩი შეგირდის წარმატებებით მისი მწვრთნელები, სპორტის ოსტატობის კანდიდატები, მარინა თავაძე და სერგო გაბუნია ხარობდნენ.

ბაღდათელმა მოჭადრაკეებმა მონაწილეობა მიიღეს 1989 წლის ნოემბერში ქ. სამტრედიაში ჩატარებულ მე-20 საჭადრაკო რესპუბლიკურ ფესტივალზე. ასპარეზობაში საქართველოს ქალაქების და რაიონების 34 გუნდი ჩაება. მათ შორის ბაღდათის საჭადრაკო კლუბი „მაია“ ორი გუნდით იყო წარმოდგენილი. პირველი გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ნუკრი გორგოძე, ირაკლი დოღაძე, ბესიკ ალიხანაშვილი და ხათუნა ჭელიძე. მეორე გუნდი კი ასე გამოიყურებოდა: გიგა სვანაძე, გიგა სანიკიძე, ლევან ცერცვაძე და სოფიკო სხილაძე ორივე გუნდმა დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩ-

ვენა, რაც შეეხება ცალკეული მონაწილეებიდან, ყველაზე კარგი შედეგი სოფიკო სხილაძეს ჰქონდა, რომელმაც 7 შესაძლობლობიდან 6 ქულა დააგროვა.

იმავე წლის ბოლოს ბაღდათელმა მოჭადრაკეებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ქუთაისში ჩატარებულ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის დავით ჩირაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ მოჭადრაკეთა პირველ საერთაშორისო ტურნირზე. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სოფიას, ვარნას, გროდნოს, თბილისის, ქუთაისის და სხვა ქალაქების ნორჩი მოჭადრაკეები. ბაღდათის საჭადრაკო კლუბ „მაიას" სპორტულ ღირსებას იცავდნენ: ნუკრი გორგოძე, ირაკლი დოღაძე, ბესიკ ალიხანაშვილი, სოფიკო სხილაძე და ხათუნა ჭელიძე. გამარჯვებული ქალაქ სოფიის ძლიერი გუნდი გამოვიდა, მეორე ადგილი ქუთაისის საჭადრაკო კლუბ „მაიას" წარმომადგენლებს ხვდათ წილად, მესამე ადგილი ქალაქ ვარნას მოჭადრაკეებმა დაიკავეს.

მართალია, ბაღდათელებმა 20 გუნდს შორის მოკრძალებული მე-12 ადგილი დაიკავეს, მაგრამ მათთვის ეს კარგი სკოლა იყო. ტრადიციულად საპატიო სიგელით სოფიკო სხილაძე დაჯილდოვდა.

80-იან წლებში რაიონულ ტურნირებში სისტემატურად მონაწილეობდნენ მ. ჯანგავაძე, ი. ჩიქვინიძე, ნ. ნატრიაშვილი, თ. ჯანგავაძე, რ. შვილდაძე, ლ. ჩიხლაძე, ზ. ღვინჯილია, ნ. ხუნდიაშვილი, ნ. კვეტენაძე, მ. მჟავანაძე, თ. ჭელიძე, ა. გრძელიძე, ა. ფურცელაძე, მ. ქვილორია, ბ. ავალიანი, ი. გაჩეჩილაძე, ლ. ენდელაძე, ვ. ნიჟარაძე და სხვები.

რაიონში ტრადიციად დამკვიდრდა მოსწავლე მოჭადრაკეების ტურნირები. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება 1983 წელს ჩატარებულა, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს. აღნიშნული ტურნირი გუნდურ ხასიათს ატარებდა, რომელიც დაძაბულად წარიმართა, პირველი ადგილი მაიკოვსკის სახელობის საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა დაიკავეს (დირექტორი თ. მემარნიშვილი ფიზკულტურის მასწავლებელი დ. ენდელაძე), მეორე ადგილი დიმის პირველი საშუალო სკოლის გუნდს ხვდა წილად (დირექტორი მ. ჯაფარიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ს. მუმლაძე). მესამე ადგილი წილად ხვდა წითელხევის პირველი საშუალო სკოლის ნორჩ მოჭადრაკეებს (დირექტორი ნ. კოტორეიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი მ. კოტორეიშვილი).

ნორჩი მოჭადრაკეებიდან თავი ისახელეს ი. ჯუღელმა, ა. გრძელიძემ, გ. ლელაძემ ი. ლოლაძემ, ზ. ენდელაძემ, ჯ. მხსვი-

ლაძემ, ი. ენდელაძემ, ტ. გურგენიძემ, ნ. ბერძენაძემ და ე. ფორჩხიძემ.

რაიონული გაზეთი „წითელი დროშა“ ბაღდათელი მოჭადრაკეების ასპარეზობას თავის ფურცლებზე ხშირად უთმობდა ადგილს. 1984 წლის 15 მარტს გაზეთი წერდა: „პიონერთა და მოსწავლეთა სახლში დამთავრდა ნსს „კოლმეურნეს“ რაი-საბჭოს მიმდინარე წლის გუნდური პირველობა ჭადრაკში. თითოეული გუნდი შედგებოდა სამი მამაკაცისაგან, თითო ქალის, გოგონასა და ჭაბუკისაგან. შეჯიბრებაზე სრულყოფილად დაკომპლექტებული გუნდი წარმოადგინა დიმის, სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა რაიონის 1984 წლის გუნდური ჩემპიონობა, გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა როხის, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოჭადრაკეთა გუნდი, მესამე ადგილი წილად ხვდა ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს.

ვაჟთა პირველ დაფაზე პირველი სამი ადგილი გაინაწილეს ა. გრძელიძემ (დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობა), გ. მჟავანაძე (როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. გ. მჟავანეძე (როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა) და ჯ. სანიკიძემ (ვარციხის საბჭოთა მეურნეობა). მეორე დაფაზე უძლიერესი იყო დიმელი ჯ. ფორჩხიძე, ხოლო მესამეზე—როხელი გ. ქვილორია. ჭაბუკთა დაფაზე ყველას აჯობა წითელხევის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნობის წარმომადგენელმა კახა ვერულაშვილმა. ქალთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა რაიკოოპერატივის გუნდის წევრმა მარინა თავაძემ, ხოლო გოგონათა შორის ვარციხელმა ირმა ზივზივაძემ.“[1]

ტრადიციად იქცა ბაღდათელ და ქუთაისელ ნორჩ მოჭადრაკეთა პაექრობა, 1984 წლის აპრილის პირველი ნახევარში ბაღდათში. იგი გაიმართა და ორ დღეს გაგრძელდა. განსაკუთრებით იაქტიურეს ქუთაისელმა მოჭადრაკეებმა: გ. ქვარიანმა, გ. ჟორჟოლაძემ, ი. მანაგაძემ, გ. კუხალაშვილმა თ. გიორგაძემ, მათ ორ-ორი შევხედრა მოიგეს და თავიანთ გუნდს გამარჯვება მოუტანეს. კარგად იასპარეზეს მასპინძლებმა ბ. გოგნაძემ, ე. და მ. ენდელაძეებმა, დ. გუმბერიძემ და ვ. ჟორჟოლიანმა.

თუმცა ამ შეხვედრამ დაგვანახა, რომ ჩვენი გუნდი ჯერაც არაა სასურველ ფორმაში და მათთან მეტი მუშაობაა საჭირო.

სტუმრებს შეხვედრის შემდეგ გავაცანით რაიონის ღირსეშსანიშ-

---

[1] გაზეთი „წითელი დროშა“, 1984 წელი, 15 მარტი.

ნეობები. მათ დიდი ინტერესით დაათვალიერეს ვლადიმერ მაიკოვსკის მუზეუმი. გულთბილი მასპინძლობისათვის სტუმრების სახელით მადლობა გადაგვიხადა ქ. ქუთაისის პიონერთა სასახლის საჭადრაკო კლუბის ხელმძღვანელმა დავით ჩირაძემ.[1]

რაიონში ტრადიციად ქცეულ მოსწავლე-მოჭადრაკეთა სხვადასხვა რანგის ტურნირები ყოველთვის მოსწავლეთა სიმრავლით გამოირჩეოდა. რაც მთავარია ბავშვთა სპორტული სკოლა რაიონში არაერთ საინტერესო მოჭადრაკეთა ტურნირების ჩატარების ორგანიზატორი იყო.

1987 წლის დასაწყისში განათლების რაიონის ბავშვთა და სპორტსკოლის მიერ ორგანიზებულ მოსწაველთა რაიონულ პირველობაზე, რომელსაც ახლად რეკონსტრუირებული საჭადარაკო კლუბი „მაია" მასპინძლობდა საშუალო სკოლების 10 და 8 წლიანი სკოლების ორი გუნდი ასპარეზობდა, კარგად მომზადებული გუნდი წარმოადგინა ქალაქის ვ. მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლამ (დირექტორი დ. კვირიკაძე, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ტ. კოვზაძე) აქაურმა მოჭადრაკეებმა თავი ისახელეს როგორც ნახევარფინალურ, ასევე ფინალურ ასპარეზობაშიც. თანმიმდევრულად სძლიეს დიმის, მეორე ფერსათის, პირველი როკითის, პირველი ობჩის, წითელხევის პირველი საშუალო და დიმის რვაწლიანი სკოლების გუნდებს. ორივე ეტაპის ჯამით 25,5 ქულა დააგროვეს, დამსახურებულად დაეუფლნენ რაიონის გუნდური ჩემპიონის ტიტულს. ორი ეტაპის ჯამით მეორე შედეგი 21, 5 ქულა აღმოაჩნდა ქალაქის ეგ. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის (დირექტორი თ. მემარნიშვილი, ფიზ. აღზრდის მასწავლებელი დ. ენდელაძე) მოჭადრაკეთა გუნდს, მაგრამ ვიცე-ჩემპიონი გახდა პირველი ობჩის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. დემეტრაძე, ფიზ. აღზრდის მასწავლებელი ლ. კარკაძე) მოჭადრაკეთა გუნდი, რომელმაც ორივე ეტაპის ჯამით მართალია 20,5 ქულა დააგროვა, მაგრამ ფინალში ანგარიშით 3:1 სძლია და საბოლოოდ ნახევარი ქულით გაუსწრეს ძირითად კონკურენტს, ეგნ. ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის გუნდს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ობჩელებმა ფინალში მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობის გამო უბრძოლველად მიიღეს ორი პლიუსი. მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ წითელხევის, ხოლო მეხუთეზე—დიმის მეორე საშუალო სკოლის მოჭადრაკეები. ვაჟთა პირველ დაფაზე იასპარეზა დიმის მეორე საშუალო სკოლის

[1] გაზეთი „წითელი დროშა", 1984 წელი 25 აპრილი.

მერვე კლასელმა ზაზა ღვინჯილიამ. მან ორივე ეტაპის ყველა პარტია მოიგო და ათი ქულით პირველობა არავის დაუთმო. მეორე დაფაზე ყველას გაუსწრო პირველი ობჩის საშუალო სკოლის წარმომადგენელმა ავთანდილ გუნიავამ, რომელმაც 7 ქულა შესძინა თავის გუნდს. ქალთა პირველ დაფაზე კარგად ითამაშა და პირველი ადგილი დაიკავა ვ. მაიაკოვსკის სახელობის საშუალო სკოლის მეორე კლასელმა მაია ენდელაძემ, ხოლო მეორე დაფაზე მისმა დამ და თანაგუნდელმა ეკატერინე ენდელაძემ, რომლებმაც ორივე ეტაპის ჯამით 7-7 ქულა დააგროვეს. გამარჯვებული გუნდები და მოსწავლეები დაჯილდოვდნენ განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის დიპლომებით და სიგელებით.

1987 წლის 11 ივნისის გაზეთ „წითელ დროშაში" ვკითხულობთ: „ქალაქ ტყიბულში დამთავრდა რესპუბლიკის გუნდური ჩემპიონატი პიონერ რაზმეულთა შორის „თეთრი ეტლის"პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 22-მა გუნდმა, მათ შორის ჩვენი რაიონის მოსწავლე-მოჭადრაკეებმა, ოსტატობის კანდიდატებმა, რომეო ლილუაშვილმა, ვლადიმერ ევტინმა, ნორჩმა მოჭადრაკეებმა ბესიკ ალიხანაშვილმა, ირაკლი დოღაძემ და სოფიკო სხილაძემ, რომელიც ჩატარდა შვეიცარული სისტემით 7 ტურად. როგორც მოსალოდნელი იყო ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის პიონერ-მოჭადრაკეებმა, რომელთა გუნდი დაკომპლექტებული იყო მხოლოდ ოსტატობის კანდიდატებით პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ქუთაისელი მოჭადრაკე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის კანდიდატი არის. მათ შვიდივე მატჩი მოიგეს. მეორე ადგილზე სამტრედიელები აღმოჩნდნენ. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა რუსთაველ პიონერებს.

მაიკოვსკელმა მოჭადრაკეებმა—გვიამბო შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა, ქუთაისელმა თ. ხარლამპიდმა, მართალია გუნდური მოკრძალებული მეოთხე ადგილი დაიკავეს, მაგრამ ცალკეულ დაფაზე კარგად ითამაშეს ოსტატობის კანდიდატებმა:. რომეო ლილუაშვილმა (პირველ დაფაზე 5,5 ქულა შვიდიდან) და ვლადიმერ ევტინმა (მეორე დაფაზე 6 ქულა შვიდიდან). აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაიაკოვსკის გუნდის ბოლო სამ დაფაზე შეჯიბრების ყველაზე უმცროსი მონაწილეები იყვნენ, რისთვისაც 6 წლის ირაკლი დოღონაძემ და სოფიკო სხილაძემ სპეციალური პრიზები და სიგელები დაიმსახურეს.

ომის შემდგომ წლებში ტრადიციად იქცა სხვადასხვა სახის მოჭადრაკეთა ტურნირები. 1947 წლის მარტში ჩატარებულ მოსწავლე-მოჭადრაკეთა რაიონულ პირველობაზე 12-მა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებული ვაჟთა საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ოთარ გოცირიძე გამოვიდა, რომელმაც 11 შეხვედრაში 11 გამარჯვება მოიპოვა. მეორე ადგილი ამავე სკოლის მოსწავლეს თეიმურაზ დევდარიანს ხვდა წილად.

1952 წლის მარტის მეორე დეკადაში ჩატარებულ მოჭადრაკეთა რაიონულ პირველობაზე მონაწილეობდნენ ზონალურ შეჯიბრებაში საპრიზო ადგილზე გამოსული მოჭადრაკეები.

ფინალში მონაწილეობის უფლება ძირეული ფიზკულტურული ორგანიზაციებიდან მოიპოვა 8 კაცმა: გ. კიკნაველიძემ, ბ. ჩხეიძემ (სარაინო კულტურის სახლი), ი. კურტანიძემ (ღორეშას კოლმეურნეობა), ო. ჯიმშიაშვილმა (კიცხის კოლმეურნეობა) ნ. ჩადუნელმა (მარელისის საავეჯო ფაბრიკა), გ. არღუნაშვილმა (ფარცხნარის სკოლა), ი. კიკნაძემ და რ. დევდარიანმა (ხარაგაულის ვაჟთა საშუალო სკოლა).

საინტერესო ბრძოლების შემდეგ პირველი ადგილი ბ. ჩხეიძემ დაიკავა, რომელმაც წაუგებლად ჩაატარა მთელი ტურნირი და დააგროვა 6 ქულა. მეორე ადგილი 6 ქულით რ. დევდარიანმა დაიკავა.

მაშინ, როცა გასული საუკუნის 50-იან წლებში ქუთაისის ოლქი შეიქმნა ხარაგაულელი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ საოლქო ტურნირებში. მართალია ზემო იმერეთის წარმომადგენლებს საპრიზო ადგილები არ დაუკავებიათ, მაგრამ ის ფაქტი, რომ რაიონის წარმომადგენლები სისტემატურად მონაწილეობდნენ საოლქო ტურნირებში თავისთავად მეტყველებს ჭადრაკის პოპულარობაზე ხარაგაულის რაიონში.

სხვადასხვა წლებში სარაიონო, საოლქო რესპუბლიკურ ტურნირებში მონაწილეობა მიუღია რაიონში აღზრდილ მოჭადრაკეებს: ქ. კიკნაძეს, გურამ ფცქიალაძეს, გოგი ლაცაბიძეს, მურმან კურტანიძეს, გივი და სოსო მელქაძეებს და მრავალ სხვებს.

სხვადასხვა წლებში იმერეთის ერთ-ერთ ამ ულამაზესი კუთხის სტუმრები იყვნენ ქუთაისელი მოჭადრაკეები დავით ჩირაძე, ოთარ ტაბიძე, საშა რაზოვსკი და სხვები. საპატიო სტუმრები ერთდროული თამაშების სეანსში ეპაექრებოდნენ ხარაგაულელ მოჭადრაკეებს, რაც ბუნებრივია ხელს უწყობდა ჭადრაკის განვითარების საქმეს ხარაგაულში.

სარჩევი

ქუთაისი 3
ტყიბული 57
წყალტუბო 61
საჩხერე 65
სამტრედია 68
ზესტაფონი 77
ვანი 81
ჭიათურა 84
თერჯოლა 87
ხონი 90
ბაღდათი 93
ხარაგაული 102